

უცხოეთის მრთხარობები

ტფილისი
1980

ა. ფ. მინიკოვი'ს სახ. სტამბა გმც-ბა „ზარია ვოსტოკა“-სი
შეკვეთის № 557. ტირაჟი 4000. მთავლ. 408

ეს მოთხრობები დაწერილია სხვა და სხვა
ქვეყნის და სხვა და სხვა ეპოქის მწერლების
მიერ; მათი თემაა ძლიერი მაგაქაცი, რომელიც
დღეს იწინებსა და რძროს მაქივბელში სახიერ-
დება, წარსულს საუკუნეებში კი კანდში სახიერ-
დებოდა. ისინი შეარჩია და გადმოაქართულა

გერონტი ქიქოძე

ԵՄՈՒՆՈՒԹՅԱՆ ԲՆԱԿԱՆՈՒՄ

ტყის ჰვითინი

— შენ ალბათ არასოდეს არ გიჭამია ნამდვილი მაიმუნის ხორცი, — მითხრა ინჟენერმა რეკაბარენმა, რომელმაც მრავალი ახალი გზა აღმოაჩინა ამორძალის მდინარის უღრან ტყეებში, სამხრეთ ამერიკაში. — ხუმრობა არ გეგონოს, ეს ძალიან გემრიელი რამაა, თუ იგი შენმა თანამგზავრმა, წითელკანიანმა ინდოელმა კარგათ გახვია მისვე კანში, შესწვა სურნელოვანი შტოების ცეცხლზე და თან თავისი ჯადოქრული ჰანგები დალილინა. მაგრამ შეიძლება იხიცი გინდოდეს გიამბო, რატომ შემძაგდა სამუდამოთ მაიმუნის მწვადი?

* *
*

ეს ამბავი მოხდა ჩანჩამაიოს ტყეში, რამდენიმე დღის სავალზე ლორეტოს დიდი მდინარეებისა და განათლებული და ფუფუნებიანი ადგილებიდან. თან პაზლდა ორი თავაზიანი წითელკანიანი თავისუფალი კამპას ტომიდან და ცრუპენტელა კარლო-

სი, თეთრკანიანი მამის დაწითელკანიანი ღედის შვილი, რომელსაც ერთს ღროს განზრახვა ჰქონოდა მღვდლათ კურთხეულიყო და ქრისტიანობის სხივი მოეფინა ველურ ინდოელებისთვის, მაგრამ რადგან გადაქარბებული სიყვარული გამოეჩინა ვერცხლის ბარძიმ-ფეხშუმისა და საზედაზე ღვინისადმი, იძულებული გამხდარიყო ნაადრევათ შეეწევიტა ღვთის მსახურების სარბიელი. შეიძლება გასაკვირლათ გეჩვენოს, მაგრამ კარლოსი მაინც ჩემი უერთგულესი თანაშემწე გახდა. ან კი რა დიდი სათნოება უნდა მოვსთხოვოთ ტყის ძმას? შეიძლება ერთს მშვენიერ დღეს იგი სადღაც გაჰქრეს შენს ქისასთან ერთად, შეიძლება მის წინააღმდეგ დამბაჩის ამოღებაც ან სატევრის შიშვლებაც დაგქირდეს.

ერთი სიტყვით, ამ უკაცურ ადგილას საუცხოვო დახმარებას მიწევდა სამი ჯმუხი მამაკაცი, რომელთაც უკვე ორი დღე არაფერი ეჭამათ და მცენარეების ფოთლებს ღეჭავდნენ ძალღონის შესანარჩუნებლათ. საგზალი კარგა ხანია გამოგველია, თუნუქის კოლოფები დაცალიერებული იყო, ჩვენ ყველანი ცოტათი დაავადებული ვიყავით ამერიკული სურავანდით, რომელიც ნელნელა არაქათს აცლის და ასივებს ადამიანის სხეულს, თუ მას ხილისა და ახალი ხორციულის საკვები მოაკლდა. ტყეში ბნელო-

და, ჰაერი არ იძროდა, შხამიანი სეიბოს ხეების ატყორცნილი კენწეროები ცის ლაქვარდს გვიფარავდნენ, ლიანებში ვიხლართებოდით და დამპალი ფოთლების ნიადაგში ვიფლობოდით, არაფერი გვე¹ სმოდა გარდა მხეცთა ღმუილისა, წივილისა და ჩხავილისა, გზად არავინ გვხდებოდა გარდა დევისებური ობობებისა. რასაკვირველია, მაიმუნის მწვადი ძალას შეგვემატებდა, მაგრამ როგორ ჩაგვეგდო ხელში ეს ყავისფერი, ბანჯგვლიანი ნაყოფები, რომელნიც ცისკრისა და სადამოს ლოცვის ჟამს უმოძრაო პალმების ტოტებზე ეკიდებოდნენ? ერთი კვირა იყო რაც უქანასკნელი ტყვია დავწვით.

კარლოსმა, რომელიც მუდამ თან ატარებდა მაიმუნის ტყავის დოლს, სადღაც ინდოელის ქოხში მოპარულს, განზე გამიხმო და მიაპბო რა საშუალება ჰქონდა მოგონილი პაწია ნაცრისფერი მაკაკების დასაჭერათ. მაკაკები ნაკლებ ზარმაცები არიან ვიდრე სხვა მაიმუნები, ისინი ჩვენ თავაზიანათ გვახლდნენ ამაღლაში, ტოტიდან ტოტზე ხტებოდნენ და მეგობრულად თავს გვიკრავდნენ.

— მერწმუნეთ, პატრონსიტო, — მეუბნებოდა კარლოსი, — როცა მაიმუნის ტყავის დოლს უკრავ, მაკაკებს მათი მშობლები აგონდებათ. იმდენათ ახლო მოდიან, რომ მათი დაჭერა ადვილია.

არ ვიცი შიმშილმა დამტანჯა და იმის ბრალი იყო, თუ დაბნედილი ვიყავი და არაფერი გამეგებოდა, ეს კი მახსოვს—დავთანხმდი. მხოლოდ ჩემი თანამგზავრის დოლი და ჯადოქრობა უძლური აღმოჩნდა. მაგრამ რადგან შევამჩნიე, რომ მაიმუნები ცნობის მოყვარენი ყოფილან, გადავსწყვიტე გამომეყენებია ეს მათი ადამიანური თვისება, და ამისთვის ერთ პაწია ველზე შევჩერდით, სადაც ჩვენ

რველათ დავინახეთ ცის ნაკერი. შეიძლება გაგეცინოს, მაგრამ მაშინ ვამაყობდი ამ ველური ზარების გამოგონებით, რომელიც რამდენიმე დაცალიერებული თუხუქის ყუთიდან შესდგებოდა და სხვადასხვა ხმაზე წკრიალებდა, თითქო უქმისძალის რეკა ან ნობათი ყოფილიყოს.

სამრეკლოს მაგივრობას ასრულებდა საუცხოვო მანგოს ხე, ხოლო მნათესას ახლად ამოვარდნილი ქარი. უცნაური ხმაურობა მოისმოდა უტეხი ტყიდან: სადღაც უხილავი ნაკადი მზუოდა, სადღაც ათასწლოვანი ხე ეცემოდა, შორიახლო მაიმუნი სევდიან ნანინას მღეროდა, ხოლო უსახელო ფრინველები, რომელთა მონათლვა ვერც სამოთხეში მოასწრეს, ვერც ნოეს კიდობანში, განუწყვეტლივ კიკიკობდნენ.

ეს იყო გულის გამგვირავი ტყის ორკესტრი, რომელსაც ადამიანის ყური პირველათ ისმენდა. და მას პირველათ ჩაერთო კათოლიკური ზარების წკრიალი, რომელიც თითქო ტრერის ბინადართ ლოცვისთვის უზმობდა! ნუ თუ ისინი არ უნდა შეშფოთებულიყვნენ?

ჩვენ ამოფარებული ვიყავით უზარმაზარი მანგოს ფართო ფოთლებს და ორი საათის განმავლობაში სულგანაბული ველოდით მსხვერპლის შოახლოვებას.

ბოლოს გამოჩნდა მშვენიერი მაიმუნი, ოქროს ფერი, სიმიდის ფოჩისებური წვერით და მოკრძალებით ხელი შეახო მოქანავე ზარებს. იგი კიდევ იცინოდა, იცინოდა ისე რომ მოყვითალო კბილები უჩნდა, როცა ჩვენ ოთხივენი მივეარდით და ღიანებით შევბოჭეთ ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ, რაც ჩვენ მხოლოდ კანის გაკაწვრათ დაგვიჯდა. იმავე მანგოს ხეს მივაბით როგორც დასახვრეტი ტყვე.

უსაზღვროთ გაოცებული გვიცქეროდა, თითქო გაბუტული იყო, მაგრამ მაინც იცინოდა, მხოლოდ ეს სიცილი უფრო დაცინვას ჰგავდა. გაღიზიანებულმა გავიწიე, რათა მისთვის სატევრით თავი მომეკვეთა, მაგრამ კარლოსმა მოკრძალებით შემაჩერა ხელის მოძრაობით.

— შესდეგით, პატრონსიტო, იგი ამ წუთში გაბოროტებულია, ამიტომ მისი სისხლი შხამიანია, ხოლო ხორცი გამოუსადეგი. ჯერ ყელიდან სისხლი უნდა გამოვუშვათ.

მან უკუაგდო სატევარი, რომლითაც ძნელია დოსტაქარივით მოქმედება, და თავისი შარვლის ჯიბეებში დაიწყო იმ გრძელი და ვიწროდანის ძებნა, რომელიც ერთნაირათ ვარგა გველის დასაკლავათაც ტყეში და პურის გასაქრელათაც ქალაქში. მაიმუნი თვალს ადევნებდა ყოველ ჩვენს ნოძრახობას და როცა თავის ყელთან გალესილი მახვილი დაინახა, თვალები დახუჭა, ისევე როგორც ჩვენც დავხუჭავდით ასეთ შემთხვევაში, მაგრამ ამასთანვე აიბურძღლა და მთრთოლვარე ზარები შეანძრია. გაისმა საშინელი კივილი, შემდეგ თითქო მსახიობი ქალის ქვითინი, შემდეგ ბლავილისა და ხრიალის მსგავსი ხმაური, რომელმაც ჩემი თანამგზავრი წითელკანიანებიც შეაძრწუნა, თუმცა ისინი გულჩვილობას გადაჩვეულნი იყვნენ ტყეებში. გარეული მხეცი იბრძვის და იმუქრება თუნდ სულმობრძავიც იყოს; სულ სხვანაირია ილაჯგამოცლილი მსხვერპლი, რომლის სისხლი კისრის ძარღვიდან ნელა გადმოსჩქეფს სველ ბეწვზე და პაწია ბუშტებს იკეთებს სულთმობრძავის ყოველ ამოოხვრაზე!..

მოთმინებადაკარგული მივეუახლოვდი მაიმუნს, რათა თავი მომეკვითა და ამ სანახაობისთვის ბოლო მომელო, მაგრამ სახტათ დავრჩი თოფნაკრავით.

დაკრილი ცხოველის მასლობლათ; თითქო მიწიდან ამომძვრალიყოს, დედალი მაიმუნი იდგა და შავი ბრქუალებით მის საბელს გლეჯდა. რალაცას ჩასჩურჩულებდა მომაკვდავს, შეიძლება ალერსის სიტყვებს, შეიძლება რჩევას, რომელსაც იგი უნდა გადაერჩინა.

ჩემი თანამგზავრი კარლოსი არასოდეს თავგზას არ ჰკარგავდა ტრაგიკულ ვარემოებაში; მომიახლოვდა და კბილის კრეჭით მითხრა:

— ბატონო, ორი დაგვიჭერია ერთად. ამ უკანასკნელს დავამარილებთ და მოვიმარაგებთ. და ხომალდის ბაგირივით მაგარი ლიანები მანიშნა, მათი შემწეობით ადვილათ გავბაწრავდით სასოწარკვეთილ და მგლოვიარე ცხოველს. ეს მსუქანი დედალი მაიმუნი გემრიელ საგზალს მოგვცემდა.

მაგრამ ჩვენ ანგარიშში არ მიგვიღია ბნელი ტყის ძალები, რომელნიც ყოველთვის დასცინიან ადამიანებს.

ღაინახა თუ არა თავისი შეიარაღებული ჯალათები, მაიმუნი ათრთოლდა, თითქო დედაკაციო,

გულის გამგვირავათ ატირდა, შემდეგ ვნებიანათ აღრიალდა, როგორც ღრიალებს ძუ ცხოველი, რომელიც ცხელი ზაფხულის ღამეში მთელი ტყის ხვადებს უძახის. ეს იყო ნამდვილი ქალი, რომელიც მტერს ემუდარებოდა და მშველელს უხმობდა, მაგრამ თავს როდი იცავდა.

ამის შემდეგ მოხდა მოულოდნელი რამ, რამაც ერთი წუთით ყველანი გაგვაქვავა: მეც, ჩემი გზის მაჩვენებელი კარლოსიც, წითელკანიანებიც. დედალმა მაიძუნმა თავი დახარა თავისი უკვე მიცვალებული მეგობრის კისერზე, ხოლო ამავე დროს ტყის სიღრმიდან ასობით, ათასობით მაიმუნები მორბოდნენ ქვითინით, ღრიალით და კივილით, რათა მკვდარი დაეტირათ. რამდენი იყვნენ ისინი? ამის თქმა ძნელია, მე ვხედავდი მხოლოდ სხვადასხვა ჯიშის მაიმუნებს, ზოგს ადამიანის მსგავსს, ზოგს ქაჯივით ბანჯგელიანს, ზოგს მსუბუქი, ფრინველისებური ბუმბულით შემოსილს. ამ საშინელს აღაპზე მოდიოდნენ მეღამური მაიმუნები, რომელთაც კოტიებური თვალები აქვთ და პატარა მაკაკები, რომელნიც ძუძუმწოვარა ბავშვებივით ახველებენ, ხოლო ტევრიდან თითქო მოახლოვებული დაფდაფების ხმა მოისმოდა.

რასაკვირველია, უკან მოუხედავით გავიჭეციოთ, ისე რომ არც საუცხოვო კოცონი გაგვხსენებია, არც

მსხვერპლი, რომელიც იქ უნდა შეგვეწვა. გავრბოდით განადგურებულნი, დამარცხებულნი ამ ქაოსით, ამ საუკუნოებრივი წყევლით, ხოლო ამავე დროს ტყე დაგვტიროდა, დიახ სწორეთ ქვითინებდა, თითქო რალაც ზღაპრული, ტანჯული მდინარე ყოფილიყოს; და ეს ტირილი ხანდახან იმდენათ ძლიერი იყო, რომ კაკალი სცვივოდა მაღალი ტოტებიდან, ხან კი ნელდებოდა და შორეული მამლის ყვილივით გაისმოდა.

ნესტიანი ბურუსი გვეარავდა, ებორძიკობდით ხის ძირებზე, რომელნიც გველებივით გაწოლილიყვნენ, ყურები ხელებით გვექონდა დაცობილი, რათა არ გაგვეგონა ეს კონცერტი, რომელიც შხამიანი ხეებიდან გამოდიოდა როგორც უზარმაზარი, შეჩვენებული საკრავიდან.

საბედნიეროთ მდინარის პირას, რამდენიმე საათის სირბილის შემდეგ, კაჭჩუკის მაძიებელის განმარტოებულს ქოხს მივაწყდით, მან გადაგვარჩინა, მაგრამ ამის შემდეგ აღარ მიგემნია მაიმუნის მწვადი.



მ ქ ს მ ს ზ მ ბ ბ

ოქროს ხეობა

ეს ამბავი მოხდა ხეობის მწვეანე გულში. პირქუშმა ნაპრალებმა უკან დაიხიეს და მყუდრო, მოფარებული კუთხე შემოზღუდეს.

გარშემო თითქო ყოველივე ისვენებდა, და თვით ფეხმარდი, ჩხრიალა მდინარე ამ ხეობაში აყოვნებდა თავის გამალებულ სრბოლას. წაბლისფერი ირემი მუხლებამდე წყალში ჩამდგარიყო, დაბლა თავი დაეხარა და თვალები დაეხუჭა.

მდინარის ერთს ნაპირას პატარა, მწვეანე კორდი იშლებოდა, იგი თითქმის მკაცრათ მოღუშული კედლის პირამდე აღწევდა; ხოლო მეორე მხარეს ხეობის კედელს დაფერდებულ ზეგანი ეყრდნობოდა, იგი მობიბინე ბალახით და ყვითელი, სოსანისფერი და ოქროსფერი ყვავილებით იყო დაფარული. ქვემოთ კედლები ხელახლა ვიწროვდებოდნენ, და ხეობა თითქო იხურებოდა მრავალი ხავსმოკიდებული ფრილო კლდით, რომელნიც ერთმანეთს აწვებოდ-

ნენ და ალაგ ალაგ ქოჩრიანი მცენარეების ქოლგას იხურავდნენ ან ბალახის ხავერდოვან წამოსასხამს ისხამდნენ. ზემოთ, შორეულ სივრცეში გაურკვევლად ისახებოდნენ ტყიანი გორაკები და ქედები; ხოლო კიდევ უფრო შორს ღრუბლების და ზღაპრული მინარეთების წსგავსათ სიერის მთების თოვლიანი მწვერვალები ატყორცნილიყვნენ.

აქ მცენარეულობა და ბალახი სუფთა და ხელუხლებელი იყო, მტვერი ვერ აღწევდა ხეობამდერუს ნაპირას სამი არყის ხე შრიალებდა, მათი თეთრი ფანტელა ჰაერში ტრიალებდა, სანამ მიწაზე დაეცემოდა. ალაგ—ალაგ გაყინულ პეპლების მსგავსათ სხადასხვა ფერის შროშანები დამსხდარიყვნენ, ისინი თითქო ყოველ წუთში მზად იყვნენ ჰაერში ასაფრენათ. ქარი ჩამდგარიყო, ჰაერი შედედებულყო სურნელებათა სიმძიმის ქვეშ, იგი თითქო ყვავილების სიტკობებით და გაზდნარი მზის სინათლით იყო გამსქვალული. ყოველი მხრიდან ტყის ფუტკრის მთვლემარე ბზუილი მოისმოდა. რუ თითქმის უხმოთ მოსრიალებდა ხეობაში, მისი ნელი ბუტბუტი ოდნავ ისმოდა. ხმების ციმციმი ყვავილების ციმციმს უერთდებოდა და ნაზს, მსუბუქს და გაურკვეველს ტალღას ჰქმნიდა, ხეობის სულის განპიროვნებას. ეს იყო არა სიკვდილის, არამედ სიწყნარის

და მშვიდობიანობის, არა მოქმედების, არამედ მოძრაობის, ეს იყო ძალდატანებასა და ბრძოლას მოკლებულ ცხოვრების სული...

წაბლისფერმა ირემმა, თითქო ხეობის სულს დაემორჩილაო, ჩასთვლიმა. სახითათო არაფერია, უველგან სიწყნარეა... მაგრამ უცებ ცხოველმა ყუჩუბი იცქვიტა. მას ადამიანის ხმა მოესმა. მოესმა რკინის ჟღარუნის. ირემმა დაიჭიხვინა, ფეხები იშვირა და კორღზე გადახტა. შემდეგ მოიხედა გაოცებული თვალებით და ხმას ყური დაუგდო... ნელი ნაბიჯით მიიმალა.

ადამიანის ხმა ახლოვდებოდა, და უკვე შეიძლებოდა სიმღერის სიტყვების გარჩევა... ვილაც ჩამოეშვა ნაპრალის კედელზე. მაშინ დამფრთხალი ხეობის სულიც გაედევნა წაბლისფერი ირმის კვალს. უცნობმა თამამი ხელით გასწია მწვანე ტალავარი; გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც თვალი მიმოავლო ხეობას. სახეზე ეტყობოდა საქმის კაცი უნდა ყოფილიყო. მან კმაყოფილებით წამოიძახა:

— ეს ხომ ნამდვილი სამოთხეა... რა გინდა სულო და გულო; ტყე, რუ, კორდი, ფერდობი! ნამდვილი სავანეა!

ახლად მოსული ქერა მამაკაცი იყო; მხიარული და კეთილი თვალები ჰქონდა. აზრის ანარეკლი მეტ-

ყველს სახეზე ისე გამოკრთოდა, როგორც ქველი მოძრაობს კამკამა ტბის ზედაპირზე. ეტყობოდა, მის თმას სავარცხელი კარგა ხანია არ მიჰკარებოდა. თვალეში ბავშური გულუბუყრილობა ეხატებოდა, მაგრამ ისიც სჩანდა, რომ დიდი თვით რწმენა და მტკიცე ნებისყოფა ჰქონდა, რაც ხანგრძლივი ხეტი-ალის, მღელვარების და შემთხვევებით აღსავესე ცხოვრების შედეგი უნდა ყოფილიყო.

მან ჯერ წერაქვი, ნიჩაბი და ოქროს სილის გასარეცხი ტაშტი გადმოისროლა, შემდეგ თვით გამოძვრა. ტანზე ძველი შარვალი და შავი ჩითის ხალათი ეცვა, ფეხებზე მძიმე, ლურსმებ დაქედილი ჩექმები; ხოლო თავზე გაურკვეველი ფორმის ქუდი ეხურა, ეს ქუდი მოწმობდა, რომ პატრონს მრავალი წლის განმავლობაში ებრძოლა ავდრისა, სიცხისა და კვამლის წინააღმდეგ.

მიწაზე დაეშხო და წყალს დაეწათა.

— რა გემრიელია! — წამოიძახა მან და აუჩქარებლივ ტუჩები მოიწმინდა. ეტყობოდა შეჩვეული იყო თავის თავთან საუბარს. შემდეგ ცნობის-მოყვარეობით მიმოავლო თვალეში ფერდოებს და ნაპრალებს. ეს იყო გამოცდილი, საქმის მცოდნე კაცის შეხედვა. ეტყობოდა, კმაყოფილი დარჩა. მარდათ გადახტა ქვიდან ქვაზე, მდინარის მეორე

მხარეზე გადავიდა, მუქა—მუქა მიწა და სილა აიღო და ტაშტში ჩაყარა. შემდეგ წყლით აავსო და საცერით შეანძრია. მსუბუქი ნაწილები ამოტივტივდა, და ცოტა ხნის შემდეგ ტაშტის ფსკერზე მხოლოდ შლამი და სილა დარჩა. მან ხელახლა წყლით აავსო ტაშტი და როცა ხელახალი გარეცხის შემდეგ ტაშტში თითქო არაფერი დარჩა გარდა სუფთა წყლისა, მარჯვე მოძრაობის შემწეობით გადაასხა ეს წყალი და ფსკერზე წვრილი შავი სილის ძარღვი აღმოაჩინა, რომელშიც დაკვირვების შემდეგ ნემსის წვერის ოდენა ოქროს ნამცეცები დაინახა.

— შვიდია! — წამოიძახა მან და ზეზე წამოდგა. — შვიდია! — გაიმეორა დაბეჯითებით, თითქო ეშინოდა ეს ციფრი არ დამავიწყდესო. დიდხანს ხარბათ უცქირა ფერდობს. ყოველს მის მოძრაობაში სჩანდა თავდავიწყებული მონადირე, რომელმაც ნადირის ახალ ნაკვალევს მიაგნო.

რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა, ხელახლა მიწა და სილა ჩაჰყარა ტაშტში და წინანდებურად გარეცხა.

— ხუთია! — წამოიძახა მან მუშაობის გათავების შემდეგ: — ხუთი! რამდენჯერმე გაიმეორა ასეთი გამოკვლევა, მაგრამ რამდენადაც წინ მიდგოდა, მით უფრო კლებულობდა ოქროს ნამცეცების რიც-

ხვი. უკანასკნელმა გარეცხამ მხოლოდ ერთი ნამ-
ცეცი მისცა. მაშინ ოქროს მაძიებელმა უკან იბრუ-
ნა პირი და ხელახლა იმ ადგილიდან დაიწყო, სა-
დაც პირველად მოახდინა გამოკვლევა. რამდენა-
დაც ზევით მიდიოდა, მით უფრო მატულობდა ნამ-
ცეცების რიცხვი.

— თოთხმეტი, თვრამეტი, ოცდაერთი, ოცდა-
ექვსი, — იმახსოვრებდა იგი. ფონთან ოცდათექვსმეტი
ნამცეცი აღმოაჩინა.

მზე უკვე მალლა იდგა.

უცნობი წინ მიდიოდა, სილას რეცხდა, მაგ-
რამ ოქროს რაოდენობა უკვე კლებულობდა. უკა-
ნასკნელმა ცდებზე უნაყოფოთ ჩაიარა. მაშინ იგი
ფეხზე წამოდგა, სიხარულით თვალი მიმოავლო
მიდამოს და სთქვა:

— დიახ, ოქროს ძარღვიანო ქალბატონო!
თუმცა ამ ფერდობში ჩამჯდარხარ, მაინც დაგეპა-
ტრონები. ვერსათ წამიხვალ!

თავი ასწია და მზეს შეხედა, რომელიც თით-
ქო მიმაგრებული იყო უღრუბლო ლაქვარდის გუმ-
ბათს. შემდეგ მდინარის ნაპირას გაჰყვა ქვევით,
მეორე მხარეზე გადავიდა და ხეებში მიიმალა. მა-
გრამ მისი ხმა კიდევ დიდხანს ისმოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მწვანე ტოტები შეი-
რხა და ჯერ ცხენის თავი გამოჩნდა, შემდეგ ტანი,
რომელსაც ფოთლები ეყრებოდა წვრამასავით. ცხენმა
გაკვირვებული სახით მიმოიხედა, შემდეგ თავი და-
ხარა და ხარბათ დაიწყო ბალახის ძოვა. ჩქარა მე-
ორე ცხენიც გამოჩნდა, მექსიკური უნაგირით შეკა-
ზმული. ბოლოს კაციც გამოვიდა, ცხენებს უნაგირი
მოხსნა და სადილის მზადებას შეუდგა; ამოილო
ტაფა, ყავადანი, კიდევ სხვა ხელსაწყო თუ ქურ-
ქელი და დიდი ქვის კერაზე ფიჩხი დაჰყარა ცეც-
ხლის დასანთებათ.

—ძალიან კი მომშიენია! მგონია რკინის ნახერხი
და ლურსმებიც კი შეეჭამო. მაგრამ არა, ერთხელ
კიდევ უნდა ვცადო, სადილი არსად გამეჩქევა.

იგი ხელახლა ძირს დაეშვა და რამდენიმე
წყრთის მანძილზე პირველი თხრილებიდან მეორე
რიგის ამოთხრა დაიწყო. მზე დასავლეთისკენ გა-
დაიხარა, ჩრდილები დაგრძელდა, მაგრამ კაცი არ
ისვენებდა და მესამე რიგს სთხრიდა. მან გადასწყვი-
ტა მთელი ფერდობი დაესერა და გამოეკვლია. შეა-
მჩნია, რომ მეტ ოქროს ცენტრი იძლეოდა, ნაპირებ-
ზე კი თითო ოროლა ნამცეცი ხვდებოდა. ამ რი-
გათ, ოქროს ძარღვიანი ადგილი სამკუთხედს ემსგო-
ვებოდა, რომლის ფუძე მდინარის ნაპირს ებჯი-

ნებოდა, ხოლო წვერი სადღაც ზემოთ უნდა ყოფილიყო ფერდობზე. საბოლოო მიზანი ეს წვერი იყო, ოქროს მაძიებელს დიდათ აინტერესებდა, სად უნდა ყოფილიყო იგი.

— კეთილინებეთ და ჩამობრძანდით, ოქროს ძარღვიანო ქალბატონო! ეჰ, რა ვქნათ, თუ თქვენ არ მობრძანდებით, მე თვით გეახლები.

რამდენათაც ზევით მიიწევდა, მით მეტს პოულობდა და ჩქარა ოქროს სილით აავსო პატარა თუნუქის ყუთი, რომელსაც ჯიბისკენ უყო თავი.

მზე უკვე ჩაესვენა. ბინდბუნდი ლამის წყვილადმა შესცვალა, ოქროს ნამცეცების გარჩევა შუძლებელი გახდა. მაშინ უცნობი წელში გასწორდა და წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო! სადილის ქამაც კი დამვიწყნია.

სიბნელეში ხელახლა გადაიარა მდინარე, ცეცხლი დაანთო და თავის ღარიბულ ლობიოს შექამადს და ქონში მომწვარ ორცხობილას შეექცა. ფიჩხი ნელ-ნელა იფერფლებოდა, უცნობი კერასთან იჯდა, ჩიბუხს ეწეოდა, ყურს უგდებდა ლამის ხმაურობას და თვალს ადევნებდა მთვარის შუქის თამაშს. შემდეგ ჩექმები გაიხადა, ლოგინი გაიშალა და საბანი წაიხურა. მთვარის სინათლეში იგი მი-

ცვლებულს ჰგავდა, სუღარაში გახვეულს; მაგრამ ეს ცოცხალი მიცვალეზული იყო. უცებ წამოდგა, ფერდობზე გადაიხედა და სთქვა: — ლამე მშვიდობისა, ოქროს ძარღვიანო ქალბატონო! ლამე მშვიდობისა!

იგი მზის პირველმა სხივმა გამოალვიდა. თვლები მოიფშენიტა, გარშემო მომოიხედა და გუშინდელი დღის ამბები გაიხსენა. ტანთჩაცმას დიდი დრო არ დასჭირებია; რამდენიმე წუთის ყოყმანის შემდეგ, როცა ხან კერას უცქეროდა, ხან ფერდობს, მან ჩაილაპარაკა:

— თავი და თავია არ აჩქარდე, ბილლ. ოქროს ძარღვი ვერსად წაგივა, ასე რომ ჯერ შეგიძლია დანაყრდე. ხომ გესმის, ბილლ?

რაკი ამ სიტყვებით თავის თავი დააჯერა, მდინარისკენ დაეშვა, ანკესი გადააგდო და რამდენიმე წუთის შემდეგ უკან დაბრუნდა ორიოდ მოზრდილი კალმახითურთ. საუზმის შემდეგ გულმოდგინეთ შეუდგა მუშაობას, იგი არ შეუწყვეტია დაღამებამდე. სხეული სრულიად გაშეშებული ჰქონდა დაღლილობისაგან, ძლივს გაიმართა წელში.

— როგორც მოგწონთ? არც დღეს მისადილია. საძაგელი რამაა ეს ოქროს ძარღვი: კაცს აღარაფერი ახსოვს.... ლამე მშვიდობისა, ქალბატონო, — წარმოსთქვა მან დაძინების წინ.

აღიონზე ხელახლა მუშაობას შეუდგა, თითქოს დაავიწყდა კიდევ გუშინდელი დაღლილობა. იგი გაფაციცებით ავსებდა ტაშტს, წყალზე მირბოდა, საჩქაროთ რეცხდა და ისე ზევით არბოდა; სული ეკუბებოდა, ქაქანებდა, მხიარულათ იგინებოდა.

ახლა ასი წყრთის სიმაღლეზე მუშაობდა მდინარის ზემოთ. სამკუთხედის გვერდებმა გარკვეული მოხაზულობა მიიღო, ოქროს მადიებელი დარწმუნდა ჩქარა მივალწევ მთავარ ბუდობსო.

მაგრამ რამდენადაც ზევით მიიწევდა, მით უფრო ღრმათ უხდებოდა ნიადაგის მკერდში შეჭრა; ახლა ოქროს ქვიშა მხოლოთ ერთი მეტრის სიღრმეში ხედებოდა. მუშაობა თან და თან უფრო ძნელი ხდებოდა. მაგრამ სამაგიეროთ ტაშტში გარეცხის შემდეგ მეტი და მეტი ოქრო რჩებოდა. უკანასკნელმა გარეცხამ მთელი დოლარის ოქრო დასტოვა. ამის შემდეგ კაცმა გადასწყვიტა დაესვენა.

— სანაძლეოს დავდებ, თუ ეშმაკმა აქ ვინმე არ მოიყვანოს!—წაილულლულა მან ჩაძინების წინ და უცებ თავი წამოჰყო:

— ყური დამიგდე, ხვალ მიდამო უნდა დაათვალიერო და გაიგო რა ხდება? გესმის? ხვალვე, სიტყვის შეუბრუნებლად!

მეორე დღით მზეს აასწრო საწოლიდან ადგომა. პირველი სხივები მიწსალმა, როცა მაღლობზე ავიდა და ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ადგილი მართლაც სრულიად უდაბური იყო. აღმოსავლეთით, შორეულ სივრცეში სიერის მოვერცხლული უნაგირი ამართულიყო; სამხრეთით და ჩრდილოეთით დაუსრულებელი, მაგრამ უფრო დაბალი მთაგრეხილები გაწოლილიყო. დასავლეთით მთები თან და თან მცირდებოდა და გორაკებში გადადიოდა, ხოლო შემდეგ თვალუწვდინელი დაბლობი იწყებოდა.

მან დიდხანს იცქირა ირგვლივ. უცებ მოეჩვენათითქო შორიახლოს კვამლის წვრილი ზოლი იკლაკნებოდა; მაგრამ როცა კარგათ დააცქერდა, დარწმუნდა, ეს მოლურჯო ნისლი იყო, ხეობაში გაწოლილი.

ბევრი აღარ დაუყოვნია, მარდათ დაეშვა ძირს, თითქო მძიმე დალუსრმული ჩექმების მაგივრად ჯიხვის ჩლიქები ჰქონოდა. პირველმა ტაშტმა ორ დოლარზე მეტი ოქრო მისცა. ეს ტაშტი სწორეთ იქ აავესო, სადაც მისი ვარაუდით მთავარი ბუდობი უნდა ყოფილიყო. მარჯვნივ და მარცხნივ ოქროს პროცენტი სრულიად უმნიშვნელო იყო. ოქროს ძარღვი უფრო და უფრო ღრმათ მიდიოდა მიწის გულში, და შუადღისას თხრილს თითქმის

ორი მეტრის სიმაღლე ჰქონდა. ახლა თითო ტაშტი უკვე სამ-ოთხ დოლარს იძლეოდა. ოქროს მაძიებელი თითქო შეშფოთებული იყო.

— ეშმაკმა დაგლახვროს, ბილლ! ეს რა ჯოჯობეთი მოგელის. აქ მგონია იმდენი ოქროა, მთელს შენს სიცოცხლეში ვერ გაზიდავ.

ამ ლამეს მის თვალს რული არ მიჰკარებია. ამოთ უხმობდა ძილს, — ~~ამოთ~~ ხუჭავდა თვალებს და თავზე საბანს იხურავდა... ოქროს უიმშილი ჰქენჯნიდა. ოქროს დაეპყრო მთელი მისი არსება, და დაქანცული, მთვლემარე ადამიანი ბუტბუტებდა: „ნეტავ ჩქარა მზე ამოვიდეს!“

ბოლოს როგორც იყო ჩაეძინა. მაგრამ როცა გამოეღვიძა, შეამჩნია, ვარსკვლავებს ჯერ კიდევ არ დაეკარგათ ლამის ელვარება. დილის რიჟრაჟზე ისაუზმა და ფერდობზე ავიდა განძის სამალავთან. ეს იყო ოქროს მთავარი მადანი, რომელსაც იგი შეუდრეკლათ უახლოვდებოდა ოთხი დღის განმავლობაში.

— ახლა კი ჩემი ხარ, მშვენიერო მანდილოსანო, — ბუტბუტებდა იგი და თანდათან უფრო ღრმავ მიდიოდა. თხრილს უკვე ორი მეტრის სიღრმე ჰქონდა. უცებ წერაქვი ქვას მოხვდა და დაიწკრიალა. ეს იყო კვარცი, რომელიც იმტვრეოდა ყოველ დარტყმაზე. მის თვალ წინ რალაც ყვითელმა

გაიელვა. ოქროს მადიებელი ჩაცვუცქდა, ხელში კვარცი აიღო და თვალთვლიერება დაუწყო: იგი სანახევროთ ოქროსგან შესდგებოდა. მან განაგრძო წერაქვითა და ნიჩბით მუშაობა. ზოგიერთ ზოდში კვარცი იმდენათ გაფხვიერებული და დაშლილი იყო, რომ ოქრო სკარბობდა; დროგამოშვებით წმინდა ოქროს ზოდი ხვდებოდა. ერთს ზოდს წერაქვი შიგ. შუაგულში მოხვდა და ნაპერწკალი დააყრევინა, ეს ნაპერწკლები პატროსანი თვლების ელვარებას ჰგავდა.

— დაგლახვროს ეშმაკმა! აქ მხოლოდ ოქროა და მეტი არაფერი!—წამოიძახა მან. შემდეგ დღესასწაულებრივი ტონით დაუმატა:—ამიერიდან შენ ოქროს ხეობა დაგერქმევა.

იგი ახლა დაჩოქილი იყო, ზოდებს აგროვებდა და ტაშტში ჰყრიდა. უცებ მოეჩვენა სადღაც ახლო ჩრდილი დაწვაო, თუმცა არავითარი ჩრდილი არ დაუნახავს. სული შეუგუბდა, გული ყელში მიებჯინა. შემდეგ ნელ-ნელა დამშვიდდა, მაგრამ არც ზეზე წამომდგარა, არც ზევით აუხედნია. მან ვილაცასგან თითქო გაფრთხილება მიიღო და შეეცადა გაეგო ის იდუმალი ძალა, ის შეუცნობელი რაიმე, რომელიც ემუქრებოდა. არსებობს ნაკადები, რომელთაც ადამიანი როგორც არასრულქმნილი

არსება ვერ გამოარკვევს, მხოლოდ ოდნავ შეიგრძნობს. ადამიანი ასეთ მდგომარეობას განიცდის, როცა ხედავს, რომ მზეს მსუბუქი ღრუბელი გადაეფარა. ოქროს მაძიებელმა იგრძნო, რომ მასა და ცხოვრებას შუა რაღაც პირქუშმა და მრისხანემ გაირბინა. ეს იყო ჩრდილი, სიკვდილის, მისი სიკვდილის ჩრდილი.

იგი ფიქრობდა წამოვარდნილიყო და პირისპირ შეხვედროდა უცნობ საფრთხეს, მაგრამ თავი შეიკავა და თითქო აქ არაფერი იყო, წინანდებურათ დაჩოქილმა განაგრძო ოქროს ზოდების წმენდა. უკან მოხედვა ვერ გადაეწყვიტა, თუმცა დარწმუნებით იცოდა, თავზე ვიღაც ადგა. გრძობდა, რაღაც გარეშე არსება იმავე ოქროს დასცქეროდა, რომელსაც იგი ხელში ატრიალებდა და მიწისგან ანთავისუფლებდა.

მან ყურები სცქვიტა და მთლათ სმენათ გადაიქცა, სანამ ბოლოს არ გაიგონა იმის სუნთვა ვინც უკან იდგა. ოქროს მაძიებლის გაცეცებული თვალები რაიმე იარაღს ეძებდნენ, მაგრამ ყველგან მხოლოდ ოქროს ხედავდნენ, ოქრომ კი ამ წუთში დაჰკარგა მთელი თავის პირობითი ფასი. ერთგულ წერაქვსაც აღარ შეეძლო დახმარების გაწევა,

მიტომ რომ მან თვით ჩაიგდო თავისი თავი ხარო-
ში: იგი ორი მეტრის სიღრმეში იმყოფებოდა.

დრო გადიოდა და გადამწყვეტი წუთი ახლო-
ვდებოდა... გაოფლიანებული პერანგი ტანზე ცი-
ვათ მიეკრო. . სიკვდილი მოახლოვებულია. იგი აქ
უნდა მოკვდეს, მის მიერ აღმოჩენილ განძს უნდა
დააკვდეს!

მას შეეძლო ელვის სისწრაფით მობრუნებუ-
ლიყო, ხაროდან ამოვარდნილიყო და საფრთხეს
დასტაკებოდა. ან შეიძლება სჯობდა ნელნელა აწე-
ულიყო და თითქო მოულოდნელათ დაენახა მეტე-
რი? ინსტინქტი და ფიცხი ხასიათი პირველ ქცევას
უკარნახებდა, სიფრთხილე და თავდაცვის გრძნობა
მეორეს.

სანამ ასე ყოყმანობდა, ზემოდან ყურთ წამ-
ლები ხმა გაისმა და მის ტანზე ცეცხლის ტალღამ
გადაირბინა. ზევით ახტომა სცადა, მაგრამ წამო-
დგომა ვეღარ მოასწრო და მიწაზე გაინართხა,
მთლათ მოიკრუნჩხა როგორც ფოთოლი, რომელ-
საც უეცრათ იეცხლი შეეხო. ფეხები შეიზიდა,
მკერდით ოქროს ტაშტს დაემხო, პირისახე მიწაში
ჩაჰფლა... მთელი მისი სხეული საშინელმა ცახცახმა
მოიცვა, ეს ცახცახი ნელ თრთოლაში გადავიდა;
ბოლოს იგი გარინდდა.

ზემოთ კი ამ დროს ხაროზე ოდნავ გადახრილიყო დამბაჩიანი კაცი. მან კარგა ხანს უცქირა უსიცოცხლო, შეკრუნჩხულ გვამს. იარაღი ძირს დაუშვა და ისე ჩამოჯდა, რომ თხრილი და გვამი თვალწინ ჰქონოდა. შემდეგ ჯიბიდან ამოიღო სქელი ქალაღი, თამბაქო გაახვია და სიამოვნებით მოსწია. აუჩქარებლივ ეწოდა. ზოლოს ნამწვავი გადაისროლა, წამოდგა და ხაროს მიუახლოვდა. ორივე ხელებით დაებჯინა თხრილის პირებს, ისე რომ მარჯვენა ხელიდან დამბაჩა არ გაუშვია ზ ძირს ჩახტა.

მაგრამ მისი ფეხები ჯერ კიდევ მიწას არ მიჰკარებია, როცა მუხლებში საშინელი შემოკვრა იგრძნო. დამბაჩა გაეარდა და მთელი თხრილი კვამლით აივსო. ახალშოსული პირაღმა დაეცა, ხოლო ოქროს მაძიებელი კატასავით ზევიდან დაახტა და მარჯვეთ აიციდინა დამბაჩა, ისე რომ მეორე ტყვია მიწის კედელს მოხვდა. ყრუთ.

ახლა ბრძოლა უმთავრესათ დამბაჩისთვის სწარმოებდა. კვამლი თანდათან გაიფანტა და ახლათმოსულს, რომელიც წინანდებურათ პირაღმა იწვა, შეეძლო მოწინააღმდეგის დანახვა. მაგრამ უცებ მას თვალეზი დაუბნელა ოქრონარევემა-სილამ, რომელიც ზევიდან დაწოლილმა ოქროს მაძიებელმა შეაყარა... შეშფოთდა, ხელები დაუსუსტა. ერთი

წუთის შემდეგ იგი წყვილიადმა მოიცვა, ხოლო შემდეგ წყვილიადიც გაჰქრა...

მაგრამ ოქროს მაძიებელმა კიდევ რამდენჯერ ესროლა, სანამ უკანასკნელი ტყვია არ დასწვა. შემდეგ დამბაჩა გადააგდო და ფეხზე დააჯდა მიცვლებულს.

— ეს არამზადა! — წამოიძახა მან ქაქანიტ. — რა ჭკვიანი ყოფილა! მთელი მუშაობა დამასრულებია და ახლა ზურგში ტყვიას მესვრის. ყოჩალი ვინმე ყოფილა!

სიბრაზისა და დაღლილობისაგან ცრემლები აღრჩობდა. მკვდარს დააცქერდა, მაგრამ ვერ იცნო.

— პირველათ ვხედავ, ალბათ ჩვეულებრივი ქურდბაცაცაა: რიგიანი კაცი უკანიდან როდი გესვრის. მადლობა ღმერთს, ჭკუა ვასწავლე! მეორე ჯერ აღარ ისვრის.

თაჯისი ქრილობა გაისინჯა და მოიღუშა!

— არ გამიძნელდეს, აქ დაყოვნება აღარ შეიძლება.

ოქროს ტვირთი დიდი აღმოჩნდა ერთი ცხენისთვის და ოქროს მაძიებელი იძულებული გახდა ნაწილი საჯდომ ცხენზე შემოეკრა. მზე კიდევ მაღლა იდგა, როცა იგი გზას გაუდგა. გზა ძნელი სავალი იყო, ცხენები ხშირად ყალყზე დგებოდნენ. გარშემო სრული სიჩუმე იდგა, მხოლოდ დაქედილი

ცხენების ფეხის ხმა ისმოდა. უცებ ოქროს მაძიებელმა სიმღერა დაიწყო; მაგრამ ნელ-ნელა მისი სიმღერის ხმაც მისწყდა, და ოქროს ხეობა წინანდებურმა ღუმელმა მოიცვა. ხოლო ღუმელთან ერთად ხეობის სულიც დაბრუნდა.

* * *

ხელახლა წყნარათ არაკრავდა პატარა მდინარე, ხელახლა მთელემარე ბზუილი დაიწყო ტყიურმა ფუტკარმა. სურნელოვან ჰაერში ვირგინიის ვერხვების თოვლის ფანტელასავით თეთრი ყვავილები დასცურავდნენ... ხოლო ზევიდან ხეობას ალერსიანათ და შეუშფოთებლათ მზე დაჰნათოდა. ვილაც მოვიდა, კორდი გადასთელა, ფერდობი გადასთხარა, თავისი მსგავსი მოჰკლა და გზას გაუდგა... გაიქროლა ცხოვრების ქარიშხალმა, ერთი წუთით შეაშფოთა ხეობის დიდებული სიმშვიდე და წავიდა.

მ ა ტ ე რ უ ა ლ კ მ ნ ე

მატიო ფალკონე

ჩრდილო-დასავლეთით პორტოვეკიოდან გზა მთებისკენ მიდის, და საკმაოა კაცმა სამი საათი იაროს მიხვეულ-მოხვეული ბილიკით, რომელსაც ალაგ-ალაგ კლდის ნაპრალები გადმოჰყურებს, ხოლო ალაგ-ალაგ თვალუწვდენელი ზრამები სჭრის, რომ ბოლოს ფართო ტევრს მიაღწიოს. აქ სცხოვრობენ კორსიკელი მწყემსები და ყველა ის ადამიანები, რომელნიც ვერ მორიგებულან მთავრობის მართლმსაჯულებასთან. უნდა ითქვას, რომ კორსიკელი გუთნისდედა ნაკელს არ ხმარობს, მხოლოდ ტყეს სწვავს სანამ მიწის დამუშავებას შეუდგებოდეს; არა უშავს რა თუ ხანძარი მეტს მანძილს მოედო. ვიდრე განზრახული იყო: რაც უნდა მოხდეს, ფერფლით გაპოხიერებული მიწა კარგ მოსავალს იძლევა. პურის მომკის შემდეგ ხელუხლებლად დარჩენილი ხის ფესვები ხშირ ყლორტებს იყრის, ეს ყლორტები რამდენიმე წლის განმავლობაში ატე-

ხილ შამბნარათ იქცევა. აქ სხვადასხვა ჯიშის ხეები და ბუჩქები ერთმანეთში არიან გადახლართული, და ადამიანს მხოლოდ წალდით თუ შეუძლია გზის გაკაფვა. ალაგ-ალაგ ეს ტევრი იმდენათ ხშირი და გაუვალია, რომ გარეული ვერძიც ვერ გაატანს.

თუ კაცი შემოგაკვდათ, პორტოვეციოს ტევრს შეათარეთ თავი და იქ სრულიათ უშიშრათ იცხოვრებთ; მხოლოდ თოფი არ უნდა დაგიჟანგდეთ და ტყვია—წამალი არ შემოგაკლდეთ; არ დაგავიწყდეთ აგრეთვე კორსიკული წამოსასხამი: ლეიბათაც გამოგადგებათ და საბნათაც. მწყემსები რძეს, ყველს და წაბლს არ მოგაკლებენ, თქვენ არც მართლმსაჯულებისა უნდა გეშინოდეთ და არც სისხლის აღებისა, სანამ ქალაქში ჩასვლა არ დაგჭირდებათ მარაგის შესაღებათ.

მატეო ფალკონე ამ ტევრის მახლობლად სცხოვრობდა. იგი საკმაოთ შეძლებულათ ითვლებოდა, ანუ უკეთ ვთქვათ კეთილშობილათ, მიტომ რომ თვით არაფერს არ აკეთებდა, ხოლო თავს ირჩენდა `თავისი ცხვრის ფარითა და საქონლის ჯოგით, რომელთაც მწყემსები ჰყავდათ მიჩენილი. მატეო ორმოცდაათი წლის კაცი იყო. წარმოიდგინეთ მომცრო ტანის ჯმუხი მამაკაცი, კუბრივით შავი თმით, არწივისებური ცხვირით, თხელი ტუ-

ჩებით, დიდი, ცოცხალი თვლებით და სპილენძის ფერით. იგი სახელგანთქმულ მსროლელათ ითვლებოდა თვით ამ ქვეყანაში, სადაც მრავალი კარგი მსროლელია. მატეო, მაგალითად, გარეულ ვერძს არასოდეს საფანტს არ ესროდა, არამედ ასოცი ფეხის ნაბიჯზე ოცევიას ახვედრებდა თავსა ან მხარში. ღამით თოფს ისევე თავისუფლათ ხმარობდა, როგორც დღისით, მისი სიმარჯვის მაგალითები შეიძლება დაუჯერებლათ ეჩვენოს ვისაც კორსიკაში არ უმოგზაურია. ოთხმოცი ფეხის ნაბიჯზე ანთებულ სანთელს დაუდგაძდნენ თეფშის ოდენა გამკვირვალე ქალაღდის ჟკან. იგი უმიზნებდა, ხოლო სანთელს აქრობდნენ; ერთი წუთის შემდეგ სრულს სიზნელეში ქალაღდს ესროდა და ოთხიდან სამს არტყამდა.

თავისი მაღალი ხელოვნების წყალობით მატეო ფალკონემ დიდი სახელი მოიხვეჭა. ისევე ნაღდ მეგობრათ ითვლებოდა, როგორც საშიშ მტრათ; მაგრამ რადგან სულგრძელი და ხელგაშლილი იყო, ყველასთან მშვიდობიანათ სცხოვრობდა პორტოვეკიოს ოლქში. მაგრამ ამბობდნენ, კორტაში, საიდანაც მან ცოლი მოიყვანა, შეუბრალებლად გაუსწორდა თავის მოქიშპეს, რომელიც საშიშ ადამიანათ ითვლებოდა როგორც ომში, ისე სიყვარულში;

ყოველ შემთხვევაში მატეოს გასროლილათ სთელიდ-
ნენ იმ ტყვიას, რომელმაც მისი მოქიშპე განგმირა,
როცა იგი წვერს იპარსავდა ფანჯარასთან. ამ საქ-
მის დაცხრომისთანავე მატეო დაქორწინდა. მისმა
ცოლმა ჯუზეპამ მას ჯერ სამი ქალი აჩუქა (ეს გა-
რემოება მას ააფთრებდა), ხოლო ბოლოს ვაჟი, რო-
მელსაც ფორტუნატო დაარქვა; ეს იყო ოჯახის
იმედი და გვარის განმგრძობი. ქალები კარგათ გა-
თხოვდნენ: გაკირვების დროს სიძეების ხანჯლები
და კარაბინები მატეოს განკარგულებაში იქნებოდ-
ნენ. ვაჟი ათი წლისა გახდა, მაგრამ უკვე ეტყობო-
და კარგი ვაჟკაცი უნდა დამდგარიყო.

ერთხელ შემოდგომაზე მატეო ცოლითურთ
ალიონზე წავიდა სახლიდან თავისი ჯოგის დასა-
თვალეირებლათ. პატარა ფორტუნატოსაც უნდოდა
გაჰყოლოდა, მაგრამ საძოვარი შორს იყო და სახ-
ლის დატოვებაც არ შეიძლებოდა სრულიად უპატ-
რონოთ. ამიტომ მამამ როდი წაიყვანა; შემდეგ და-
ვინახავთ, როგორ ინანა.

უკვე რამდენიმე საათი გავიდა, რაც მატეო
წავიდა; პაწია ფორტუნატო მზის გულზე იწვა,
ლურჯ მთებს უცქეროდა და ოცნებობდა—მომავალ
კვირას სადილათ ბიძიას ვესტუმრები ქალაქშიო.
უცებ მისი ოცნება თოფის ხმამ შესწყვიტა. ზეზე

წამოხტა და იქით გაიხზდა, საიდანაც ეს ხმა მოის-
მა. თოფის სროლა უფრო და უფრო ახლო განმე-
ორდა; ბოლოს ბილიკზე მამაკაცი გაპოჩნდა, მას
მთიულის წვეტიანი ქუდი ეხურა, გრძელი წვერი
ჰქონდა და ძონძებში იყო გახვეული; თოფს და-
ყრდნობოდა ყავარჯენივით, მაგრამ შაინც ძლივს
მოაბიჯებდა. ეს იყო ტყვია მოხვედროდა ბარძაყში.

ეს კაცი ფირალი იყო, იგი ღამით ქალაქში
წასულიყო ტყვია-წამლის საყიდლათ, მაგრამ გზათ
კორსიკელი მფრინავი რაზმის საფარს წასწყდომო-
და. სასოწარკვეთილი შეტაკებას შემდეგ მას თავი
დაეღწია თავისი მღვერებისა და მათი ტყვიების-
თვ ს და ისეთი ციცაბო კლდეები გადაელახა, სა-
დაც მხოლოდ მთიულსა და გარკულ ნადირს შეუძ-
ლია სიარული. მაგრამ მფრინავეები თუხდაფუხ მოს-
დევდენ და ჰკრილობაცუნებას არ აძლევდა გზა გა-
ნეგრძო ტვერ სკენ.

ფირალი ფორტუნატოს მიუახლოვდა და ჰკითხა
— მატეო ფალკონეს შვილი ხარ?

— დიახ.

— მე ჯანეტო სანპიეროს მეძახიან ყვითელ
საყელოანები მომდევენ. სადმე დამშალე, მეტი სია-
რული აღარ შემიძლია.

— რას მეტყვის მამა, თუ მის ნებადაურთველად დაგმალე?

— გეტყვის, კარგი გიქნიაო.

— ვინ იცის?

— ჩქარა დამმალე, შორს აღარ არიან

— დაიცა, სანამ მამა დაბრუნდებოდეს.

— როგორ თუ დავიცადო? ხუთ წუთში აქ იქნებიან. დამმალე, თორემ მოგკლავ.

ფორტუნატომ სრულიად გულგრილათ უპასუხა:

— შენი თოფი დაცლილია, სამასრეში კი ტყვავები აღარ გაქვს.

— სატევარი ხომ მაქვს.

— ჰო, მაგრამ განა შეგიძლია დამეწიო?

ბავშვი განზე გადახტა რამდენიმე ფეხის ნაბიჯზე.

— არა შენ მატეო ფალკონეს შვილი არა ხარ! ნუ თუ ჩემს თავს შენი სახლის წინ დააქვრინებ?

ფორტუნატო ცოტა არ იყოს შეკრთა.

— რას მომცემ რომ დაგმალო?—სთქვა მან და ჯანეტოს მიუახლოვდა.

ფირალმა ხელი ჩაჰყო ტყავის ჩანთაში, რომელიც სარტყელზე ჰქონდა ჩამოკიდებული და ხუთ-ფრანკიანი ამოიღო, ეს ფული ალბათ თოფის წამ-

ლის საყიდლათ ჰქონდა გადანახული. ვერცხლის ფულის დანახვაზე ფორტუნატომ გაიღიმა, ბრწყიანა ლითონს ხელი სტაცა და ჯანეტოს წასჩურჩულა:

— ნუ გეშინია.

მაშინვე შესაძრომი გააკეთა თივის ზვინში, რომელიც იქვე იდგა სახლის გვერდით. ფირალი შიგ შეძვრა, ბავშმა თივა მიაფარა, მაგრამ პატარა სასუნთქი დასტოვა, ისე კი რომ გარედან არაფერი სჩანდა. გარდა ამისა პაწია ველური ადამიანის ოინს მიმართა: მოათრია კნუტებიანი კატა და ზვინზე დასვა, რათა კაცს სჩვენებოდა, თივას დიდი ხანია არავინ მიჰკარებიაო. ბოლოს შიწა დააყარა სისხლის კვალს ბილიკზე და ხელახლა მზეზე წამოწვა სრულიად დამშვიდებული.

რამდენიმე წუთის შემდეგ მატეოს სახლთან ექვსი ყვითელ საყელოიანი მამაკაცი გაჩნდა ათისთავის მეთაურობით. ეს ათისთავი ფალკონეს შორეული ნათესავი იყო; კორსიკის მთებში ნათესაური კავშირი უფრო შორს მიდის, ვიდრე სხვა ევროპულ ქვეყნებში. მას ტეოდორო გამბას ეძახოდნენ. იგი ყოჩალი იყო, ფირალები დაშინებული ჰყავდა. მრავალი მათგანი დაეჭირა კიდევც.

— გამარჯვება, ძმისწულო, — უთხრა მან ფორტუნატოს: — როგორ გაზრდილხარ! აქ გავლილი კაცი ხომ არ დაგინახავს?

— მაინც თქვენოდენა არ ვარ, ბიძია, — უპასუხა ბავშვმა გულუბრყვილოთ

— არა უშავს რა, გაიზრდები. მაშ მითხარო, გზაზე ხომ არაეინ დაგინახავს?

— ხომ არაეინ დამინახავს?

— ჰო, მამაკაცი, რომელსაც შავი ხავერდის გიდელა ქუდი ახურავს და წითელყვითელი ძაფით ამოქარგული ხალათი აცვია.

— მამაკაცი, რომელსაც შავი ხავერდის გიდელა ქუდი ახურავს და წითელ ყვითელი ძაფით ამოქარგული ხალათი აცვია?

— ჰო, ჰო, ჩქარა მიპასუხე და ჩემს კითხვებს ნუ იმეორებ.

— დღეს დილით ქიშკართან მღვდელმა გაიარა, ცხენზე იჯდა. მკითხა, მამა როგორ არისო, მე ვუპასუხე...

— ეჰ, მატყუარა! შენ ეშმაკობ! ჩქარა მითხარი, საით წავიდა ჯანეტო, ჩვენ მას ვეძებთ და მე უქველათ ვიცი, რომ აქ გაიარა.

— საიდან იცი?

— როგორ თუ საიდან ვიცი? ვიცი, რომ შენ დაინახე.

— განა ვინმეს დაინახავ, როცა გძინავს?

— შენ არ გძინებია, ეშმაკის ფეხო; თ.რ.ფის ხმამ გაგაღვიძა.

— მაშ თქვენ გგონიათ, თქვენი თოფები ძლიერ სკეჟენ? მამაჩემის კარაბინი ზარბაზნაივით ვარდება.

— ამხანაგებო, — მიმართა ათისტავმა ჯარისკაცებს, — შედით სახლში და კარგათ გაჩხრიკეთ, შეიძლება იქ იმალებოდეს. მას ერთი თეთი ლა დაჩა ჯანსალი, იმ არამზადას იმდენი კეჟუა კი აქვს, რომ კოკლობით გზას არ გაუდგება ტევრისკენ. გარდა ამისა სისხლის ნაკვალევი აქ თავდება

— რას იტყვის მამა, როცა გაიგებს, რომ ჩვენს სახლში შეხვედით მის ნებადაურთველათ?

-- გარეწარო, დაუყვირა ათისტავმა გამბამ და ყურში ხელი სტაცა. თუ მოვისურვე, სხვანაირათ გამღერებ! საკმაოა ოცი ხმალი შემოგკრა სიბრტყით და სიმართლეს მეტყვი.

ფორტუნატო წინანდებურათ ილიმებოდა.

— მამაჩემი მატეო ფალკონია! — სთქვა მან ხმის აწევით.

— იცი თუ არა შენ, ჰინკავ, რომ შემოდლია ქალაქში ჩაგიყვანო? იქ ვუბრძანებ ციხეში ჩაგსვან, ჩალაზე დაგადღონ, ბორკილები დაგადღონ და თავიც მოგჭრან, თუ არ მეტყვი სად იმალება ჯანეტო სან-პიერო.

ბავშს ხარხარი აუტყდა ასეთი სასაცილო მუქარის გაგონებაზე. მან გაიმეორა:

— მამაჩემი მატეო ფალკონეა.

— ათისთავო, — სთქვა ხმადაბლა ერთმა ჯარისკაცმა, — ნუ გადავიმტერებთ მატეოს.

გამბას აშკარათ შეშფოთება ეტყობოდა. იგი ხმადაბლა ესაუბრებოდა ჯარისკაცებს, რომელთაც უკვე მთელი სახლი გასჩხრიკეს. ამას ბევრი დრო არ დასჭირებია, მიტომ რომ ყოველი კორსიკელის ბინა ერთს ოთახს შეიცავს. მთელი მისი მოწყობილობა ერთი მაგიდისა, ორიოდე სკამისა, თაროებისა, ზანდუკებისა და თოფიარალისაგან შესდგება. იმავე დროს პაწია ფორტუნატო კატას ეფერებოდა და, როგორც ეტყობოდა, კმაყოფილი იყო თავისი ნათესავის და მისი ჯარისკაცების შეშფოთების გამო.

ერთი ჯარისკაცი თივის ზვინს მიუახლოვდა. მან კატას შეხედა და ხიშტი ჰკრა თივას, ამასთანავე მხრები აიჩჩა, თითქო თვით გრძნობდა, ეს სიფრთხილე სასაცილოაო. არაფერი განძრეულა და

ბავშვის სახეზეც არავეითარი მღელვარება არ გამოხატულა.

ათისთავმა და მისმა რაზმმა მოთმინება დაჰკარგეს; ისინი უკვე დაბლობისკენ იცქირებოდნენ, თითქო უკან დაბრუნებას ფიქრობდნენ; მაგრამ უცებ გამბამ გადასწყვიტა უკანასკნელი ღონისძიებისთვის მიემართა და ალერსითა და საჩუქრებით მოენადირებია უშიშარი ბავშვის გული.

— ძმისწულო, — სთქვა მან, — შენ ყოჩაღ; ბიჭი ხარ, კარგი მომავალი გელის. მაგრამ შენი ღლეჯანდელი ქცევა დასაძრახისია. ჩემი ნათესავის მატეოს გაჯავრებისა რომ არ მეშინოდეს, ეშმაკს ვფიცავ, თან წაგიყვანდი.

— ვაჰ!

— მაგრამ მისმინე... თუ კარგათ მოიქცევი, რაღაცას გაჩუქებ.

— მე კი, ბიძია, ერთ რჩევას გაძლევ. თუ კიდევ დააყოვნეთ, ჯანეტო ტევრს შეათარებს თავს, და მაშინ კიდევ რამდენიმე თქვენისთანა ძმაბიჭი დაგქირდებათ მის დასაქერათ.

ათისთავმა ჯიბიდან ძეწკვიანი ვერცხლის საათი ამოიღო და ხელში დაიჭირა.

პატარა ფორტუნატოს თვალები გაუბრწყინდა.

— ეშმაკის ფეხო, შენ ალბათ ასეთი საათის ჩამოკიდება გინდა გულზე. ფარშევანგივით ამაყათ გაიგლიდი პორტოვეკიოს ქუჩებში; გამვლელები გკითხავდნენ: რომელი საათია, ფორტუნატო? შენც უპასუხებდი, შეხედ თ ჩემს საათს.

— როცა დიდი გავიზრდები, ქალაქელი ძია ისეთაც მაჩუქებს საათს.

— ჰო, მაგრამ შენი ქალაქელი ბიძის ვაყს უკვე აქვს საათი. იგი კი შენზე პატარაა.

ბავშვმა ამოიოხრა.

— მაშ, გინდა თუ არა ეს საათი?

ფორტუნატომ აღმაცერათ შეხედა ძვირფას ნივთს, როგორც ცხოველმა, რომელსაც ეშინია ბრკყალებით შეეხოს გემრიელ ლუკმას და პირს არიდებს მას, თითქო პატრონს ეუბნებოდეს, რა სასტიკია შენი ხუმრობაო!

მაგრამ ათისთავს გამბას, ეტყობოდა, მართლაც უნდოდა საათის ჩუქება. ფორტუნატოს ხელი არ გაუწვდია. მხოლოდ მწარე ღიმილით უთხრა:

— რად დამცინით?

— გეფიცები, არ დაგცინი! მხოლოდ მითხარი, სადაა ჯანეტო და საათი შენი იქნება.

ფორტუნატომ თვალი თვალში გაუყარა ათისთავს, სცდილობდა გამოეცნო შეიძლება თუ არა მის სიტყვებს ვერწმუნოო.

— ჯარისკაცის პატიოსან სიტყვას გაძღვევ, — წამოიძახა ათისთავმა, — საათს მოგცემ ამისთვის: ჯარისკაცები მოწმეები არიან; მე არ შემიძლია სატყუა გავტეხო.

საათი პირთან მიუტანა, თითქმის ეხებოდა ბავშვის გაფითრებულ ლოყას. ბავშვს სახეზე ეხატებოდა ბრძოლა, რომელიც მის სულში სწარმოებდა საათის მიღების მძაფრ სურვილსა და სტუმართმოყვარეობის ვალდებულებას შორის. მისი გაღელვებული მკერდი თრთოდა, გული ყელში ებჯინებოდა. ამავე დროს საათი მის თვალ წინ ტრიალებდა და რამდენჯერმე ცხვირის წვერს მოხვდა. ბოლოს მან ნელ-ნელა ხელი გაიწოდა საათისკენ, შეეხო მას... ციფერბლატი ცისფერი იყო, ახლად გაწმენდილი ვერცხლის სახურავი მზეზე ბრჭყვიალებდა... ცდუნება მეტათ დიდი იყო.

ფორტუნატომ მარცხენა ხელი ასწია და ცერით მიუთითა უკან ზვინისკენ, რომელსაც თვით იყო მიყრდნობილი. ათისთავმა მაშინვე გაიგო. ძეწვეს ხელი გაუშვა და ფორტუნატო საათის ერთად ერთი მფლობელი გახდა. იგი ქურციკივით განზე გადახტა, მფრინავები იმ წუთშივე ზვინის დაშლას შეუდგნენ. თივა შეინძრა და თავი გამოჰყო სისხლით შესვრილმა ხანჯლიანმა მამაკაცმა, მაგრამ

როცა თეხზე წამოდგომა დააპირა, ძალღონემ უღალატა, და მიწაზე დაეცა. ათისთავი ეცა და სატყევარი გამოგლიჯა. მაშინვე მაგრათ გაბაწრეს წინააღმდეგობის მიუხედავად

ჯანეტო მიწაზე ეგდო, როცა ფორტუნატო მიუახლოვდა.

...არამზადავ!—უთხრა მას ფირალმა უფრო ზიზღით, ვიდრე გულისწყრომით.

ბავშვმა უკან გადაუგდო ვერცხლის ფული, რადგან იფიქრა დამსახურებული აღარ მაქვს იგიო, მაგრამ ფირალმა ამას, როგორც ეტყობოდა, არავითარი ყურადღება არ მიაქცია. მან სრულიათ დამშვიდებულათ მიმართა ათისთავს:

— ძვირფასო გამბა, სიარული აღარ შემოძლია; ჩემი ხელით წაღება მოგიხდებათ ქალაქში.

— ეს არის ჯიხვის სისწრაფით გაგვირბოდი, — უპასუხა ათისთავმა:— მაგრამ არა უშავს, მე ისე მიხარია შენი დაქერა, რომ ზურგით გატარებ და დაღლილობას კი არ ვიგრძნობ. ჩვენ, მეგობარო, ტახტრევანს გაგიმართავთ შტოებისა და შენივე წამოსახსნამისგან, ხოლო ბარში ჩასვლისას ცხენებს ვიშოვით.

— ძალიან კარგი, — სთქვა დატყვევებულმა, — მხოლოდ ცოტა ჩალა დასდეთ ტახტრევანზე, რათა გვერდები არ მეტკინოს.

სანამ მფრინავები ფუსფუსობდნენ, ზოგი წაბ-
ლის შტოების ტახტრევანს კრავდა, ზოგი ჯანეტოს
კრილობას უხვევდა, ტევრისკენ მიმავალი ბილიკის
მოსახვევში მატეო ფალკონე გამოჩნდა ცოლითურთ.
დედაკაცი ქედმოხრილი მოდიოდა, ზურგზე უზარ-
მაზარი ტომარი მოეკიდნა წაბლით სავსე, ქძარი კი
მსუბუქათ მოაბიჯებდა, ერთი თოფი ხელში ეჭირა,
ხოლო მეორე მხარზე ეკიდა, მიტომ რომ ვაჟკაცს
არ შეეფერება რაიმე ტვირთი ზიდოს გარდა სოფ-
იარაღისა.

ჯარისკაცების დანახვაზე მატეოს თავში აზრმა
გაუფლვა, ალბათ ჩემს დასაქერათ არიან მოსულიო.
მაგრამ რათ? განა მატეოს რაიმე უთანხმოება ჰქონ-
და პოლიციასთან? არა, მას არც მთავრობის, არც
ხალხის თვალში სახელი არ ჰქონია გატეხილი; მაგ-
რამ იგი კორსიკელი მთიული იყო, კორსიკელ მთიუ-
ლებს შორის კი იშვიათია ისეთი ვაჟკაცი, რომელ-
საც წარსულში რაიმე პაწია ცოდვა არ ჩაედინოს,
ვისმესთვის თოფი არ ესროლოს ან სატევარიც არ
ჩაეცეს. მატეოს სხვებზე უფრო სუფთა სინიდიისი
ჰქონდა, რადგან ათ წელიწადზე მეტია მისი თოფი
კაცისკენ არ მიმართულიყო; მაგრამ მაინც სიფრთხი-
ლეს თავი არ სტკიოდა, და მფრინავების დანახვაზე
ყოველი შემთხვევისთვის თავის დასაცავათ მოემზადა.

— ღედაკაცო, — უთხრა მან ჯუზეპას, — ტომარი მიწაზე დასდე და მხათ იყავ.

კოლმა მაშინვე შეასრულა მისი ბრძანება. მატეომ ერთი თოფი ქალს გადასცა, მეორე გასტენა და ნელის ნაბიჯით გაემართა სახლისკენ, მხოლოდ გზის პირათ ჩამწკრივებულ ხეებს მიჰყვებოდა, რათა ზტრული მოქმედების დაწყებისთანვე რომელიმე მსხვილ წაბლის ხეს ან წითელს ამოჰფარებოდა და პასუხი გაეცა. კოლი ფეხდაფეხ მისდევდა, ხელში სათადარიგო თოფი და სამასრე ეჭირა. ბრძოლის დროს კარგი დიაციის როლი იმაში მდგომარეობს, რომ თოფი გასტენოს ქმრისთვის.

მეორე მხრით არც ათისთავს ესიამოვნა, როცა თვალი მოჰკრა მატეოს, რომელიც ჩახმახ შეყენებული თოფით მოდიოდა ფეხაკრეფით.

— ვაი თუ მატეო ჯანეტოს მოკეთე ან მეგობარია და მისი დაცვა მოისურვოს, — გაიფიქრა მფრინავთა მეთაურმა: — მაშინ მისი ორი თოფის ორ ტყვიას ორი ჩვენგანი ისევე სწორათ მიიღებს მისამართში, როგორც ფოსტით გამოგზავნილ წერილს. შეიძლება არც შე დამინდოს სისხლის ნათესაობის მიუხედავათ!

კოტაოდენი ყოყმანის შემდეგ მან ვაჟკაცური გადაწყვეტილება მიიღო პირდაპირ წასულიყო მა-

ტეოსკენ და ყოველივე ეამბო როგორც ძველ ნაც-
ნობისთვის. მაგრამ მოკლე მანძილი, რომელიც მა-
ტეოსგან ჰყოფდა, დაუსრულებლათ ეჩვენა.

— ჰე, ჰე! ძველო მეგობარო!—დაუძახა მან,—
როგორ ცხოვრობ? ეს მე ვარ, გამბა, შენი ნათესავი!

მატეო უსიტყვოთ გაჩერდა და ნელა თოფი
ამართა, ისე რომ როცა ათისთავი მიუახლოვდა,
პირი სწორეთ მისკენ იყო დამიზნებული.

— გამარჯვება, ძმაო,—უთხრა ათისთავმა და
ხელი გაუწოდა.—დიდი ხანია ერთმანეთი არ გვი-
ნახავს.

— გაგიმარჯოს, ძმაო.

— გზათ გამოვიარე შენ და ჯუზეპას სანახავათ.
დღეს კარგი ნადირობა გეკონდა და თუმცა დავი-
ლალეთ, დიდი ფრინველი დავიჭირეთ. ესაა ჯანეტო
სანპიერო ვიგდეთ ხელთ.

— მადლობა ღმერთს!—წამოიძახა ჯუზეპამ,—
მეწველი თხა მოგვეტაცა წარსულ კვირაში.

ეს სიტყვები ესიამოვნა გამბას.

— საბრალოს შიოდა და რა უნდა ექნა,—ჩაი-
ლაპარაკა მატეომ.

— იგი ლომივით იცავდა თავს,—განაგრძო
ათისთავმა ცოტა არ იყოს ნაწყენი კილოთი,—ერ-
თი ჯარისკაცო მოგვიკლა, ერთსაც ტყვიით ხელი

დაუჩიქვია... შემდეგ ისე მიიმალა, ეშმაკიც ვერ იპო-
ვიდა. თუ შენი პატარა ფორტუნატო არ ყოფილი-
ყო, ვერასოდეს ვერ აღმოვაჩენდით.

— ფორტუნატო!—წამოიძახა მატეომ.

— ფორტუნატო!—გაიმეორა ჯუზეპამ.

— დიახ! ჯანეტო ამ ზვინში დამალულიყო;
მაგრამ ჩემმა პატარა ძმისწულმა გვიჩვენა მისი ბუ-
ნაგი. ქალაქიდან რაიმე საჩუქარს გამოვაგზავნიებ
მისთვის. ამასგარდა შენი და მისი სახელი აღინიშ-
ნება მოხსენებაში, რომელსაც მთავარ მსაჯულს წა-
რეუდგენ.

— შეჩვენებული! — ხმადებლა წარმოსთქვა მა-
ტეომ.

სამივენი სახლთან მივიდნენ. ჯანეტო საკაცე-
ზე იწვა, წაყვანას უპირებდნენ კიდევ. როცა გამ-
ბას გვერდით მატეო დაინახა, უცნაურათ გაიღიმა,
სახლისკენ მიბრუნდა, ზღურბლს მიაფურთხა და
სთქვა:

— გამცემელის სახლი!

მხოლოდ სასიკვდილოთ განწირული კაცი თუ
გაბედავდა მატეოსთვის გამცემელი ეწოდებია. სა-
ტევრის ჩაცემა, რომელსაც განმეორება აღარ სჭი-
რია, დაუყონებლივ შურს იძიებდა შეურაცხყოფის-
თვის. მაგრამ ახლა მატეომ მხოლოდ შუბლზე მო-

ისვა ხელი, როგორც ადამიანმა, რომელიც განად-
გურებულია მომხდარი ამბით და ვერ გამოიკვევლა.

ფორტუნატო სახლში შევიდა მამის დანახვის-
თანავე. ჩქარა დაბრუნდა, ხელში რძით სავსე ღოჭი
ეჭირა, ჯანეტოს მიაწოდა, ისე რომ მისთვის თვა-
ლი არ გაუსწორებია.

-- გამეცალე აქედან! — დაიღრიალა დატყვევ-
ებულმა საშინელი ხმით.

შემდეგ ერთს ჯარისკაცს მიუბრუნდა და უთხრა:
— ამხანაგო, წყალი დამალევიწე.

ჯარისკაცმა თავისი თასი მიაწოდა, და ფირალ-
მა წყალი მიიღო ამ ადამიანის ხელიდან, რომელიც
ცოტა ხნის წინათ ცხელ ტყვიებს სთავაზობდა. შემ-
დეგ ითხოვა ზურგზე კი არა, გულზე შემიკარით ხე-
ლებიო.

მისი სურვილი შესრულებულ იქნა. ათისტავმა
ნიშანი მისცა ავიშალოთო, გამოემშვიდობა მატეოს,
რომელსაც პასუხი არ გაუცია, და ჩქარი ნაბიჯით
დაეშვა დაბლობისკენ.

ათმა წუთმა განვლო სანამ მატეო კრინტს
დასძრავდა. შეშფოთებული ბავშვი ხან დედას უც-
ქეროდა, ხან მამას, რომელიც თოფს იყო დაყრდნო-
ბილი და თავშეკავებული გულისწყრომით უცქე-
როდა.

— კარგათ იწყებ ცხოვრებას! — სთქვა ბოლოს მატეომ დამშვიდებული ხმით, მაგრამ ვინც მას იცნობდა, ამ ხმაში მუქარას გაიგონებდა.

— მამა! — წამოიძახა ბავშვმა, თვალცრემლიანი მივარდა და დაჩოქებას აპირობდა.

— უკან დაიწი! — შეჰყვირა მატეომ.

ბავშვი უმოძრაოთ გაჩერდა რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე მამიდან; იგი უხმოთ ქვითინებდა.

ჯუზეპა მიუახლოვდა ქმარ-შვილს. მან ფორტუნატოს ძეწკვი დაუნახა ხალათ ქვეშ.

— ვინ მოგცა ეს საათი? — ჰკითხა მკაცრათ თავის შვილს.

— ჩემმა ბიძაშვილმა ათისტავემა.

ფალკონემ ხელი სტაცა საათს, ქვაზე დაანარცხა და ნამსხვრევებათ აქცია.

— დედაკაცო, ჩემია თუ არა ეს ბიჭი?

ჯუზეპას სახე შეუფაკლდა.

— რას ამბობ, მატეო? დაფიქრდი ვის ეუბნები ამას.

— მაშინ ეს ბიჭი პირველია; რომელმაც ლალატი ჩაიდინა ჩვენს გვარში.

ფორტუნატო კვლავ ცრემლებს ღვრიდა, ხოლო მატეოს ფოცხვერისებური თვალები მას ჩაშტერებოდა. ბოლოს მან თოფის ღუმე მიწას დაარტყა, მოტრიალდა, თოფი მხარზე გაიდო და ფორტუ-

ნატოს უბრძანა უკან გამომეცე ტევრისკენო. ბავშვი უსიტყვოთ დაემორჩილა.

ჯუზეპა ქმარს უკან დაედევნა და სახელოში ჩაეკიდა.

— ეს ხომ შენი შვილია, — შესძახა მან მთრთოლარე ხმით და თვალებში ჩააცქერდა, თითქო მისი სულის წაკითხვა სდომებოდეს.

— თავი დამანებე! მე მამა ვარ! — უპასუხა მატეომ.

ჯუზეპამ ვაჟი გულში ჩაიკრა, აკოცა და ტირილით დაბრუნდა შინისკენ. იქ ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაემხო და გულმხურვალეთ ლოცვა დაიწყო. ამავე დროს მატეომ ორასიოდე ნაბიჯი განვლო ბილიკზე და პატარა ხრამის ნაპირას შეჩერდა. ნიადაგი მოშინჯა თოფის კონდახით; რბილი აღმოჩნდა, ადვილი იყო მისი გათხრა. ეს ადგილი შესავერისათ ეჩვენა თავისი განზრახვის შესასრულებლათ.

— ფორტუნატო, გაჩერდი იმ დიდი ლოდის მახლობლათ!

ბავშვმა ბრძანება შეასრულა, შემდეგ მუხლებზე დაეცა.

— ლოცვები წაიკითხე!

— მამა, მამა, ნუ მომკლავ!

— ლოცვები წაიკითხე!— გაიმეორა მატეომ სა-
შინელი ხმით.

ბავშვმა ცახცახით და ქვითინით წაიკითხა
„მამაო ჩვენო“ და „მრწამს“. მამამ მტკიცე ხმით
„ამინ“ დაუმატა თვითვეულ მათგანს.

— სხვა ლოცვები არ იცი?

— მამა, ვიცი კიდევ ქალწულის ლოცვა და
ლიტანია, რომელიც ძალუამ მასწავლა.

— ეს გრძელია, მაგრამ არა უშავს რა, წაიკითხე.
ბავშვი სუსტი ხმით ათავებდა ლიტანიას.

— გაათავე?

— მამავ შემობრალე. არასოდეს ამას აღარ ვი-
ხამ! ჩალაქელ ბიძიას შევეხვეწები აპატიოს ჯანეტოს!
იგი კიდევ რალაცას ლულლულობდა. მატეომ
თოფი დაუმიზნა და უთხრა:

— ლშერთმა გაპატიოს!

ბავშვმა სასოწარკვეთილათ ძალა მოიკრიფა,
უნდოდა წამომდგარიყო და მუხლებში ჩავარდნოდა
მამას, მაგრამ გვიანლა იყო. მატეომ გაისროლა და
ფორტუნატო უსულოთ დაეცა.

მატეოს გვამისთვის არ შეუხედნია, სახლისკენ
გაემართა, რათა ნიჩაბი მოეტანა და საფლავი გაე-
თხარა. ორიოდ ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო,
წინ ცოლი გადაედგო, სროლის ხმას შეეშფოთებია.

— რა ჩაიდინე? — შეჰბლავლა ქალმა.

— მართლმსაჯულება შევასრულე დამნაშავის მიმართ.

— სად არის?

— ხრამის პირას, ახლავე დავასაფლავებ. მოკვდა როგორც ქრისტიანი; მღვდელს ვაწირვინებ. ჩვენს სიძეს ტეოდორო ბიანკის უნდა შევუთვალოთ ჩვენთან გადმოვიდეს საცხოვრებლათ



მ ლ ვ ე რ დ უ მ ი

ელ. ვერდუგო

პატარა ქალაქ მენდის სამრეკლოზე ზარმა შუალამის ქამი დარეკა. ახალგაზრდა ფრანგი ოფიცერი ვიქტორ მარშანი გრძელ ტერასზე იდგა, ეს ტერასი გარს უვლიდა კოშკის ბაღს. ოფიცერი დაყრდნობილი იყო გალაჟანს და, როგორც ეტყობოდა, ჟურო ღრმათ იყო ჩაფიქრებული, ვიდრე ეს უზრუნველ სა მხედრო ცხოვრებას შეეფერებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ადგილის მდებარეობა და ღამე მეტათ ხელს უწყობდა ფიქრებში წასვლას. ესპანიის მშვენიერ ცას ლაევარდის კამარა შეეკრა; ვარსკვლავების ციმციმი და მთვარის ალერსიანი შუქი ანათებდნენ საუცხოვო ველს, რომელიც მხატვრულათ იშლებოდა მის ფეხთ ქვეშ. ჰაერი აყვავებული ფორთოხლის სუნით იყო გაჟღენთილი, შორი-ახლო ქალაქი მენდი მოსჩანდა, იგი თითქო ჩრდილოეთის ქარებიდან თავს იცავდა იმ კლდის ძირას, რომელზედაც კოშკი იყო აგებული. საკმაო იყო მხედარს

თავი მოებრუნებია და იგი ზღვას დაინახავდა, მისი მოლაპლაპე ტალღები სურათის გარშემო ფართო ვერცხლის ზოლს ავლებდა. კოშკის დარბაზებიდან მოისმოდა ორკესტრის ხმები, მოცეკვავე ოფიცრების და ქალების სიცილი და ერთოდა შორეული ოკეანეს დრტვინვას. დამის სიგრილე ძალღონეს მატებდა მის სხეულს, რომელიც მოქანცული იყო განვლილი დღის პაპანაქება სიცხით, ხოლო მცენარეები და ყვავილები ისეთ საამურ სუნს აკმევდნენ, რომ ახალგაზრდა კაცს ეგონა სურნელოვან ტალღებში ვცურავო.

მენდის კოშკი ეკუთნოდა ესპანელ დიდებულს, მარკიზ ლეგანიესს, რომელიც ამ დროს იქ სცხოვრობდა თავისი ოჯახით. მთელი ამ საღამოს განმავლობაში მარკიზის უფროსი ქალი რაღაც სევდიანი თანაგრძნობით უცქეროდა ოფიცერს. გასაკვირალი არ არის, რომ ამის შემდეგ ახალგაზრდა ფრანგი ოცნებაში წასულიყო. კლარა მშვენიერი იყო და თუმცა მას სამი ძმა ჰყავდა, ვიქტორ მარშანი ფიქრობდა, რადგან ლეგანიესს უზარმაზარი ქონება აქვს, თავის ქალს დიდ მზითევს მისცემსო. მაგრამ განა თავხედობა არ იყო იმის ფიქრი, რომ იმ მოხუცის ქალი, რომელიც ესპანიაში ყველაზე მეტად ამაყობდა თავისი გვარით, პარიზის ბაყალის ვაჟს

მისთხოვდებოდა? გარდა ამისა აქაური ესპანელობა ფრანგებს სიძულვილით ეპყრობოდა, ფრანგ გენერალს, ამ პროვინციის დროებით მართველათ დანიშნულს, ექვი ჰქონდა მარკიზი აჯანყებას ამზადებს ნაპ-ლეონის მიერ გადაყენებული ესპანიის მეფის ფერდინანდის სასარგებლოთ; ათასეული, რომელსაც ვიქტორ მარშანი უფროსობდა, იმისთვის იყო დაბანაკებული მენდში, რომ თვალყური ედევნებია მარკიზ ლეგანიესის ერთგული ოლქის მოსახლეობისათვის. ამ ცოტა ხნის წინათ მარშალ ნეის მიერ გამოგზავნილი შიკრიკი შიშს გამოსთქვამდა ახლო ხანში ინგლისელები არ გადმომსხდარიყვნენ ამ ნაპირზე და იტყობინობოდა მარკიზს ფარული ურთიერთობა აქვს ლონდონის კაბინეტთანო. ამიტომ, თუმცა ამ ესპანელმა გულთბილათ მაილო ვიქტორ მარშანი და მისი ჯარისკაცები, ახალგაზრდა მხედარი მაინც ფრთხილათ იყო. მაგრამ, როცა ტერასზე იდგა და ქალაქს და მის მიდამოებს უცქეროდა, თავის თავს ჰკითხავდა, ნეტავ რით აიხსნება მეგობრული განწყობილება, რომელსაც ჩემს მიმართ მარკიზი იჩენს და როგორ შევათანხმო ამ კუთხის სიწყნარე გენერლის შიშთანო.

ბოლოს ეს აზრები მაინც სიფრთხილის და წინდახედულობის გრძნობამ განდევნა. ეს იყო

შეამჩნია, რომ ქალაქში მრავალ ადგილას ენთო სინათლე. თუმცა ეს დღე წმ. იაკობის დღესასწაული იყო, მაგრამ მან დილითვე განკარგულება გასცა სინათლე ჩაექროთ დაწესებულ დროს. მხოლოდ კოშკი წარმოადგენდა გამონაკლისს ამ ბრძანებიდან, მხოლოდ აქ შეიძლებოდა ხომლის ანთება. აქა-იქ მის მიერ დაყენებული ფრანგი გუშაგების ხიშტები ბრკეიალებდა; მაგრამ ჰაერში რაღაც დღესასწაულებრივი სიწყნარე მეფობდა, და არავითარი ნიშანი არ იუწყებოდა, რომ ესპანელები უკვე დღის მხიარულებაში არიან გაბმულიო. რად დაარღვია მოსახლეობამ მისი ბრძანება? ეს მით უფრო ძნელი ასახსნელი იყო, რომ მას რამდენიმე ასილთავი ჰყავდა ქალაქში გაგზავნილი სადარაჯოთ. ახალგაზრდული სიფიცხის გავლენით იგი უკვე მზად იყო გაღავანზე გადამხტარიყო და კლდეზე გაჭრილი მოკლე ბილიკით ჩასულიყო სადარაჯომდე, რომელიც ქალაქის ბჭეებთან იდგა ციხეკოშკის მხრით, მაგრამ ნელმა შრიალმა შეაჩერა. მოეჩვენა, თითქო ხეივანში სილას ქალის მსუბუქი ნაბიჯები ეხებოდა. მობრუნდა და ვერავინ დაინახა, მაგრამ სახტათ დარჩა ოკეანეს არაჩვეულებრივი განათების გამო. უცებ ისეთი საშინელი სურათი წარმოუდგა, რომ გაქვავდა. იფიქრა ივალეები მატყუებენო. მთვარის

ფერმკრთალი შუქი მაინც იმდენათ ძლიერი იყო, რომ მან საკმაოდ შორეულ სივრცეში ინგლისური ხომალდების იალქნები დაინახა. ტანში ქრუანტელმა დაუარა, მაგრამ სცადა თავისი თავი დაეჯერებინა ეს მხედველობის ცდუნებაა, ტალღებისა და მთვარის სიცელქით შექმნილიო. ამ წუთში მან თავისი სახელი გაიგონა, ჩახლეჩილი ხმით წარმოთქმული, გალაგნის გონქურში გაიხედა და დაინახა, რომ ნელ-ნელა ზევით ამოიწია იმ ჯარისკაცის თავმა, რომელმაც იგი ამ დღეს კოშკში მოაცილა.

— თქვენ ბრძანდებით, ბატონო ციხისთავო?

— მე ვარ. რა მოხდა? — ჩურჩულით ჰკითხა ახალგაზრდა ოფიცერმა, რომელსაც წინათგრძნობა უკარნახებდა ფრთხილათ მოქმედებაა საჭიროო.

— არამზადა ესპანელები რაღაც ფარულათ ფუსფუსობენ, და საჩქაროთ მოვედი, რათა ჩემი დაკვირვებანი მომეხსენებია.

— სთქვი, — უბრძანა მარშანმა.

— მე კოშკიდან ფეხაკრეფით გამოვეყევი ფანრიან კაცს, რომელიც აქეთ წამოვიდა. ფანარი საექვო რამაა, ეშმაკმა დალახვროს. არ მგონია ამ ქრისტეიანს ღმერთისა ან წმინდანისთვის დასჭირებოდეს ასე გვიან სანთლის დანთება. ალბათ ჩვენი გა-

დაყლაპვა უნდათ. სამ ნ ბიჯზე აქედან, ბატონო ციხისთავო, კლდის ქიმზე ფიჩხია დაყრილი...

საშინელმა ყვირილმა, რომელიც ქალაქიდან მოისმა, შესწყვიტა მისი სიტყვები. უცებ ციხისთავი ცეცხლმა გაანათა. საბრალო ჯარისკაცი მიწაზე გაინართხა, ტყვიით შუბლგანგმირული. წალამის და ფიჩხის კოცონის ალი ცაში ავარდა ათიოდე ნაბიჯის მანძილზე იმ ადგილიდან.

მუსიკა და სიცილი უცებ შესწყდა საცეკვაო დარბაზში. დღესასწაულის ჟივილ-ხივილი შესცვალა სიკვდილის დუმბილმა, რომელსაც დროგამოშვებით მხოლოდ კენესა არღვევდა. ოკეანეს რძისფერ ზედაპირზე ზარბაზნის შედღულმა იქუხა. ოფიცერს ცივი ოფლი დაასხა. მას ზედ ხმალიც არ ჰქონია

მიხვდა, რომ ფრანგი ჯარისკაცები დაილუპნენ და ნაპირზე ინგლისელების გადმოსხმა მზადდებოდა. იგი ხედავდა კიდევ როგორ წარსდგებოდა პატივყარილი სამხედრო სამსჯავროს წინაშე, თუნდაც ახლა ცოცხალი გადარჩენილიყო; თვალით გაზომა ხრამი და გადასახტომათ აიწვართა, რომ ხელში დონა კლარას ხელის წაფლება იგრძნო.

— გაიქეციო! ჩემი ძმები აქეთ მოდიან თქვენ მოსაკლავათ. კლდის ძირას ჩემი ძმის — ხუანიტოს ანდალუზურ ცხენს ნახავთ. აბა ჩქარა!

ქალმა ხელი ჰკრა. გონება დაბნეულმა ყმაწვილმა ერთი წუთით თვალები მიაპყრო მას; მაგრამ იმ წუთშივე იმ თავდაცვის ალლოს დაემორჩილა, რომელიც აზარადეს არ სტოვებს თვით უმტკიცესი სულის ადამიანს, ნაჩვენები მიმართულებით გაიქცა და კლდეზე დაეშვა ჯახვის სასწრაფოთ. მას ეამოდა როგორ უძახოდა კლარა თავის ძმებს: „არიქა, დაიჭირეთ!“ ესმოდა თავისი მდევრების ფეხის ხმა, ყურებთან ტყვიებმა გაუხუზუნა; მაგრამ თვალის დახამხამებაზე ჩაიბრინა ფრიალო, ცხენი დაინახა, ზედ შეახტა და ელვის სისწრაფით გაჰქრა.

რამდენიმე საათის შემდეგ გენერლის ბანაკში მაიქრა და უჯროსების წინაშე წარსდგა ვაფითრებული და თავგზა დაბნეული, როცა ისინი სადილობდნენ.

— სიკვდილით დამსაჯეთ! — წამოიძახა მან.

შემდეგ დაჯდა და თავისი საშინელი თავგადასავალი მოჰყვა. მისი ამბავი ღუმილით იქნა მოსმენილი.

— ჩემის აზრით ეს უჯრო უბედურებაა, ვიდრე დანაშაული, - სთქვა ბოლოს მრისხანე გენერალმა: -- თქვენ პასუხისმგებელი არ ხართ ესპანელების ვეზაგობისთვის; და თუ მარშალი სხვანაირათ არ განსჯის, მე თქვენთვის მიპატიებია.

იქნენ სიტყვები: სუსტოწუგეშქ წარმოადგენდა სა-
ბრალდო: იფიცრისთვის. იბრალდო

„სულიწას: იტყვის იმპერატორი, როცა ამ ამბავს
ფატიგებს! წამოიძახა მან.

„ესი...—ოფრ თქვენს დახვრეტას მოინდომებს, — სთქვა
გენერალმა, — მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ახლა
კი, — დაუმატა მან პირქუში ტონით, — ნურაფერზე
გაღაპარაკებთ გარდა შურის ძიებისა, რათა შიშის
ზარი დავსცეთ ამ ქვეყანას, სადაც ადამიანები ისე
იბრძვიან, თითქო ველურები იყვნენ.

ერთი საათიც არ გასულა და მთელი ქვეითი
ლეგიონი, ცხენოსანთა რაზმი და არტილერია გზას
გაუდგა. გენერალი და ვიქტორ მარშანი წინ მიუ-
ძლოდნენ ამ ჯარს. ჯარისკაცებმა თავიანთი ამხანა-
გების დალუპვის ამბავი გაიგეს და უზომოთ იყვნენ
გააფთრებული. მანძილი, რომელიც მთავარ ბანაკს
ქალაქ მენდიდან ყოფდა, გასაოცარი სისწრაფით
განვლეს. გზა და გზა გენერალს დასახლებული ად-
გილები ხვდებოდა, მოსახლეობას კარადისთვის ეტა-
ცნა ხელი. იგი ალყას არტყამდა ამ ბეჩავ სოფ-
ლებს და ხვრეტდა ყოველ მეათე მცხოვრებს. რა-
დაც საბედისწერო შემთხვევის გამო ინგლისური
ხომალდები ვერ მოადგნენ ნაპირს. შემდეგ გამოიკ-
კვა, რომ ამ ხომალდებს თურმე მარტო არტილე-

რიგად მოეწივნენ და წინ გამოესწრონ აღიარებენ სა-
 ტრანსპორტო ოგეშებისთვის. იმამრიგათ ქალაქს მენ-
 დას არ აღმოაჩინდა იქ დამხმარეები. რამდენადაც იმდენი
 ელოდა ინგლისურად იალქნების გამოჩენისთანავე, და
 გარემოცულ იქნა ფრანგის ჯარების მიერ. თორვის
 გაუსროლელსა და თავზარდაცემული მცხვრებლებით
 გამარჯვებულთ დანებდნენ. ფრანგი ჯარისკაცები
 მკვლევლები გრძნობდნენ, რომ შეუბრალებელი გე-
 ნერალი ტექნოს მისცემდა მთელს ქალაქს და შე-
 მუსრავდა მთელს მოსახლეობას და იმდენი მო-
 ბილი თავგანწირულებისა. ზეგავლენით კომედანტ
 ხშირი იყო ესპანიაში, წყენერალს წინადადება მიხან
 ცეს. თვით გადაეცანტო ხეიანთი თავი ფრანგისა და
 რისთვის. წენერალმა ეს წინადადება მიიღო, მხო-
 ლოდ იმ პირობით, რომ მისთვის გადაეცათ საგრე-
 თვე უკუკის ბინა და არც მარჯობიდან დაწყებულ
 უკანასკნელ მსახურამდე. ფრანგი ჯარი საარდალმა
 ამისთანა მობაჟ მიიღო და აღიარებდა დასდო აღიარა-
 ჩენ მცხვრებლებს. იმევი წყალბოქლო ჯარისკაცებს
 ნებან არ მიესცემ ქალაქი დასწვან და აღაბილთონ
 შექმნებულ მოქალაქეებთან წყვანობა იქნენ მძევლებ
 ბათ, იმინი იმუხარმაზარი კონტრიბუციისი ხაწონს
 დარს. იმწარმოსდგენდნენ. იმამედანც მოსახლეობას
 ოკლაოთხი საათის განმავლობაში უნდა გადაეხადა.

გენერალმა მიიღო ყველა ღონისძიება, რომელიც საჭირო იყო ჯარის დასაცავათ თავდასხმის განმეორებისგან: ისინი სახლებში კი არ დააბინავა, არამედ კარვებში დააბანაკა. შემდეგ კოშკში ავიდა და შეიარაღებული ძალით დაიჭირა. ლეგანისის ოჯახის წევრები და მსახურები შებოჭეს და იმავე დარბაზში დაამწყვდიეს, სადაც ორიოდ დღის წინათ ზეიმი და ცეკვა იყო გამართული. მათ გაძლიერებული ყარაული მიუყენეს. ამ დარბაზის თანჯრებიდან მთელი ის ტერასი მოსჩანდა, რომელიც ქალაქს გადაჰყურებდა. შტაბი მეზობელ გალერიაში მოთავსდა და გენერალმა, უწინარეს ყოვლისა, იქ თათბირი გამართა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიღება საჭირო იყო, რათა ინგლისელების ჯარისთვის ხელი შეეშალათ ნაპირზე გადმოსულიყო. მან აღიუტანტი გაგზავნა მარშალ ნეისთან, ბრძანა ზარბაზნები დაედგათ სანაპიროზე და შემდეგ შტაბთან ერთად დატყვევებულთა საქმეს შეუდგა. ორასი ესპანელი დაუყოვნებლივ დახვრიტეს ტერასზე. შემდეგ გენერალმა განკარგულება გასცა იმავე ტერასზე აღმდენი საღრჩობელა აღემართათ, რამდენი სულიც იყო დამწყვდიელი კოშკის დარბაზში, და ქალაქში კაცი გაგზავნა ჯალათის მოსაყვანათ. ვი-

ქტორ მარ'შანმა, დრო იხელთა და დატუსალებულნი ინახულა. ჩქარა დაბრუნდა გენერალთან.

— ნება მიბოძეთ მსჯავრდებულთა შუამდგომლობა მოგახსენოთ,—სთქვა მან აღელვებული ხმით.

— თქვენ? — იკითხა გენერალმა მწარე დაცანვის ტონით.

— ეს საშწოხნარო შუამდგომლობაა, უპასუხა მარ'შანმა:— ბარკიზმა საღრჩობელები დაინახა და იმედი გამოასთქვა, რომ მისი ოჯახის წევრებს, როგორც აზნაურებს, ჩაპოზრჩობის მაგივრათ თავის მოკვეთას მიუსჯით.

— დაე ასე იყოს,—სთქვა გენერალმა.

— ისინი აგრეთვე თხოულობენ ზიარების ნება მისცეთ და ბორკილები ახსნათ: აღძქმას იძლევიან გაქცევას არ ვეცდებითო.

— თანახმა ვარ,—სთქვა გენერალმა,— მხოლოდ თქვენ იყავით თავმდები.

— გარდა ამისა მოხუცი მათელ ბავის ქონებას გთავაზობთ, თუ სიცოცხლეს აჩუქებთ მის უმცროსს ვაჟს.

— ოღონდაც, მისი ქონება უკვე მეფე იოსებს ეკუთვნის.

გენერალი ცოტა ხნით ჩაფიქრდა შუბლ შექმუხნული. შემდეგ სთქვა:

— ძალიან კარგი. მე შეევასრულებს მის სურვილს. ვხვდები ამ უკანასკნელი თხოვნის მნიშვნელობას. დაე მან თავისი გვარის დაცვა გამოიყიდოს, მაგრამ ესპანიაში საუკუნოთ შეინარჩუნოს ძისი გამცემლობის და დასჯის ესოვნა! ქონებასა და სიცოცხლეს ვაჩუქებ მარკიზის იმ ვაჟს, რომელიც ჯალათობას იკისრებს. წადი და კრინტი აღარ დაძრა!

სურათი სურათი გაშალეს. ოფიცრები მადიანათ შეეცინენ. მხოლოდ ვიქტორ მარშანი არ იჯდა მათ შორის. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ იგი შევიდა დარბაზში, სადაც ლეგანიესის ამჟამი ოჯახი იტანჯებოდა, და სწედიანათ თვალი გადაავლო სურათს, რომელსაც ეს სადგომი წარმოადგენდა. გაახსენდა, როგორ გაიღვა აქ ორი დღით წინათ მის თვალ წინ ვალდისკორიანტელში ორი ახალგაზრდა ქალის და ვაჟის თავებმა, და იგი შეაძრწუნა აზრმა, რომ ჩქარა ისინი მიწაზე დაგორდებოდნენ, ჯალათის ნაჯახის ერთი დარტყმით მოკვეთილნი. დედ-მამა, სამი ვაჟი და ორი ქალი მოვარაყულ სავარძლებში ისხდნენ, ხელ-ფეხ შებოჭილნი და თითქო სრულიად გაქვავებულიყვნენ. რვა მსახური იქვე იდგა, მათ ხელები ზურგზე ჰქონდათ შეკრულნი. ეს თხუთმეტი კაცი დღესასწაულებრივი დუმილით უცქეროდა ერთ-

მანეთს, მათი გრძნობები მხოლოდ მათ თვალებში
თუ ამოიკითხებოდა: ეს იყო შერიგება ბედისწერა-
სთან, სინალული რომ ყოველივე მარცხით დამთარ-
და. ჯარისკაცები უმოძრაოთ სდარაჯობდნენ მათ,
ეტყობოდათ პატი ისცემით ეპყრობოდნენ თავიანთი
ფლმობელი მტრების ტანჯვას. მარშანის შემოსვ-
ლისთანავე მათი სახეები იმედმა გამოაცოცხლა. მან
ბრძანა ხელფეხი შეეხსნათ მსჯავრდებულთათვის და
კლარა თვით მოხსნა სავარძელს. ქალმა სევდიანათ
გაიღიმა. მხედარი უნებურათ შეეხო ახალგაზრდა
ქალის ხელს, სიამოვნებით დააცქერდა მის შავ თმას,
მის მოქნილ ტანს. ეს ნამდვილი ესპანელი ქალი
იყო: ესპანური კანის ფერი ჰქონდა, ესპანური თვა-
ლები, გრძელი, მოზნეკილი წამწამები.

— როგორია პასუხი? — ჰკითხა მან იმ მკმუნვა-
რე ღიმილით, რომელშიაც ადამიანი გრძნობს ახალ-
გაზრდა ქალის სულს.

მარშანმა თავი ვერ შეიკავა და ამოიოხრა.
შემდეგ თვალი გადაავლო კლარას ძმებს. უფროსი
ოცდა ათი წლისა იქნებოდა. ტანით ნაკლებ წარ-
მოსადგენი იყო, ამაყი და ზვიადი გამომეტყველება
ჰქონდა, მაგრამ კეთილშობილ მიხვრა — მოხვრაზე
ეტყობოდა მოკლებული არ უნდა ყოფილიყო გრძ-
ნობათა სითაქიზეს, რომელმაც ოდესღაც ესოდენი

სახელი 'გაუთქვა ესპანურ ზნეჩვეულებათ. მას ხუან-ნიტო ერქვა. მეორე ვაჟი, ფილიპე, ათი წლით ახალგზრდა იყო თავის ძმაზე. იგი კლარას ჰგავდა. უმცროსი რვა წლისა იყო. ამ პაწია მანუელის სახეზე მხატვარი რომაული სიმტკიცის ბეჭედს დაინახავდა. მოხუცი მარკიზის ქალარა თავი თითქო მურილიოს ტილოდან იყო ამოჭრილი.

ფრანგი ოფიცერი მიხვდა, რომ არც ერთი მათგან არ მიიღებდა გენერლის პირობას; მაინც უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა და კლარას გადასცა მისი შინაარსი. ესპანელი ქალი ათრთოლდა, მაგრამ უცებ თავი შეიკავა, მამას მიუახლოვდა და მის წინაშე დაიჩოქა.

— მამა, — სთქვა მან, — ფიცი დადეინეთ ხუან-ნიტოს, რომ უსიტყვოთ შეასრულებს თქვენს ბრძანებას, და ჩვენ კმაყოფილნი დავრჩებით.

მარკიზის მეუღლე იმედის ცახცახმა აიტანა; მაგრამ როცა თავი ქმრისკენ დაჰხარა და კლარას საშინელი სიტყვები გაიგონა, გული წაუვიდა. ხუან-ნიტომ ყოველივე გაიგო. მან დაიგმინა დაჭრილ ლომივით. მარშანმა მარკიზს სიტყვა ჩამოართვა, არც ერთი მსჯავრდებულს წინააღმდეგობას არ გასწევსო, და ჯარისკაცები დაითხოვა. მსახურნი ტერასზე გაიყვანეს, ისინი ჯალათმა ჩამოახრჩო.

როცა ოჯახი მარტო დარჩა მარშანთან ერთად, მოხუცი მამა წამოდგა.

— ხუანიტო! — წარმოსთქვა მან.

ხუანიტომ თავი გაიქნია უარის ნიშნათ, სკამზე დაეცა მოწყვეტილი და მშობლებს უსიცოცხლო, შემზარავი თვალებით ჩააშტერდა.

კლარა ძმას მუხლებზე დაუჯდა, კისერზე ხელები მოხვია, თვალებში აკოცა და მხიარული ხმით უთხრა:

— ჩემო ძვირფასო ხუანიტო, ნეტავი იცოდე როგორა ტკბილი იქნება შენი ხელით სიკვდილი! მე არ შემიძლება ჯალათის მურტალი ხელები. შენ შემომსუბუქებ ტანჯვას... ყური დამიგდე, ხუინატო, შენ ხომ არ გინდოდა, რომ ვისმეს ვრგებოდი? მაშ იცოდე, თუ..

მისმა ხავერდოვნმა თვალებმა ცეცხლის ნაპერწკალი გადაისროლეს მარშანისკენ, თითქო იმისთვის, რომ ხუანიტოს გულში კიდევ უფრო გაღვივებულიყო ფრანგების სიძულვილი.

— გამზნევი, — უთხრა ხუანიტოს საშუალო სწამ ფილიპემ: — წინააღმდეგ შემთხვევაში ალიგვება ჩვენი თითქმის მეფური გვარი.

კლარა უცებ წამოდგა, ჯგუფმა, რომელიც ხუანიტოს გარს ეხვია, გვერდით გაიწია და ეს ვა-

ვი, რომელსაც გრძნობა მორჩილებას უკარნახებდა, მამის წინაშე აღმოჩნდა პირისპირ.

— ხუანიტო, მე შენ ამას გიბრძანებ!—უთხრა მოხუცმა დღესასწაულებრივი ხნით.

ახალგაზრდა კაცი უმოძრაოთ იდგა, მამა მას ფეხებში ჩაუფარდა. კლარამ, მანუელმა და ფილიპემაც ძალაუნებურათ დაიჩოქეს მის წინაშე. ყველანი ხელებს უწვიდნენ ამ ადამიანს, რომელსაც მათი თესლი დავიწყებას უნდა გადაერჩინა. მოხუცი მამა ამბობდა:

— შეილო, ნუ თუ შენ არ გამოიჩენ ესპანურ გრძნობას და სულის ახოვანებას? რამდენ ხანს უნდა ვიდგე შენს წინაშე მუხლმოდრეკილი? განა შეგშენის, რომ საკუთარ სიცოცხლესა და ტანჯვებზე იფიქრო?... ჩემი შეილია თუ არა ეს?—სთქვა ბოლოს მოხუცმა და თავის მეუღლეს შეხედა.

— იგი თანახმაა!—სასოწარკვეთილად წამოიწია დახა დედამ, რადგან შეამჩნია, რომ ხუანიტომ წარბებებით ისეთი მოძრაობა გააკეთა, რომლის აზრად მხოლოდ მას ესმოდა. — იდე მ... —

უმცროსი ქალი, მარიკუიტა, დაჩოქილი იყვნენ სუსტი ხელებით მუხლებზე ეხეროდნენ დედას; დაროდ ცაპატვრა ძმამ, მანუელმა, დანინახა, რომ იგი ცხარე ცრემლით მტვრდა, უმცროს საყვედურით მიმართდა.

თა მას. მარშანს ძალა აღარ ეყო ამ სანახაობის სა-
ცქერათ და გარეთ გავარდა, რათა უკანასკნელად
ეცადა გენერლის გულისწყრომის დაცხოება; გენე-
რალი საუცხოვო გუნებაზე იყო და კიდევ სუფრას
უჯდა. ოფიცრებს ბევრი ესვათ, და მათ შორის
მხიარული საუბარი იყო გაბმული.

ერთი საათის შემდეგ ტერასზე მენდის ასი
რჩეული მოქალაქე გამოცხადდა, რათა გენერლის
ბრძანების თანახმად ლეგანიის ოჯახის სიკვდილ-
ით დასჯას დასწრებოდა. იქვე გამწყვდებულ იყო
ჯარისკაცების ასეული. ესპანელი მოქალაქეებმ
სახრჩობელათა ქვეშ მრათავსეს, დასერიომ მათი ტან-
ვები ეხებოდა. ჩამოხრჩობილი მსახურების იფერ-
ხებს, ცდაათე ჭეხის ნაბიჯზე, დასეთგანამართულს
დულ ემეფოტი, და ნაჯახი ბრჭყეიალებდა, დალაბდი
მზათ იყო იმ შემთხვევისთვის, თუ ხუანიტო უმარს
იტყოდა. უცებ ესპანელებს რამდენიმე კაცის ნაბი-
ჯის ხმა, ჯარისკაცების რაზმის გაზომილი სელა და
იარაღის ნელი ჟღარუნნი მოესმათ. ეს ხმები ერთო-
და მოქეიფე ოფიცრების მხიარულ დრიანტელს,
ისევე როგორც იორიოდე დლის წინათ საცეკვლო
მუსიკა სისხლისძღვრელ შეთქმულებას ვთქვავდა.
ყველამ კოშკისკენ გაიხედა. გამოჩნდნენ მარკიზის
ოჯახის წევრები, რომელნიც გასაოცარი სიმტკიცით

ახლოვდებოდნენ. მათი სახეების გამომეტყველება წყნარი და განათებული იყო. მხოლოდ ერთი მათგანი იყო ფერმკრთალი და სახეშეშლილი, იგი ძლივს მობარბაცობდა, ეტყობოდა მხნეობა ლალატობდა როგორც საცხოვრებლათ განწირულს. ჯალათი მიხვდა, რომ ხუანიტო დათანხმებულიყო დღეს მისი წაგივრობა გაეწია. მოხუცი მარკიზი და მისი მეუღლე, კლარა, მარიკვიტა და ორი უმცროსი ძმა მუხლებზე დაეცნენ რამდენიმე ნაბიჯზე თხემის ადგილიდან. ჯალათმა ხელი მოჰკიდა ხუანიტოს, განზე გაიხშო და, როგორც ეტყობოდა, ასწავლა როგორ მოქცეულიყო. რაზმის უფროსმა მსჯავრდებულნი ისე მოათავსა, რომ მათ არ დაენახათ თვით დასჯა; მაგრამ ისინი ნამდვილი ესპანელები იყვნენ და არ გამოუჩენიათ სისუსტე. კლარა პირველი მივარდა თავის ძმას.

— ხუნიტო! — შესძახა მან, — მაპატიე სულმოკლეობა! დაიწყე ჩემგან! იმავე წუთში აჩქარებული ნაბიჯების ხმა მოისმა. გამოჩნდა მარშანი. კლარა ჰკვე დაჩოქილი იყო, მისი თეთრი კისერი ნაჯახს მოუწოდებდა. ოფიცერი გაფითრდა, მაგრამ ძალღონე მოიკრიფა და ქალთან მიიღბინა.

— გენერალი მზადაა გაპატიოს, თუ ჩემი ცო-
ლი გახდები.

ესპანელმა ქალმა ფრანგ ოფიცერს ზიზლითა
და სიამაყით აღსავსე თვალეზით შეხედა.

— დაჰკარ, ხუანიტო! — სთქვა მან დაბალი ხმით.

მასი თავი მიწაზე დაგორდა ოფიცერის ფეხებ-
თან. მარკიზი ლეგანიესი შეკრთა ამ ხმის გაგონება-
ზე; ეს იყო მისი სულიერი ტკივილის ერთად ერთი
ნაშანი.

— კარგათ დავდევი თუ არა თავი, ჩემო კე-
თილო ხუანიტო? — ამის მეტი არაფერი უთქვამს სი-
კვდილის წინ პატარა მანუელს.

— ოჰ, შენ სტირი მარიკვიტა, — დაიკვნესა ხუ-
ანიტომ, როცა უმცროსი და დაინახა.

— ჰო, — უპასუხა ქალმა, — მეცოდები, საწყალო
ხუანიტო, შენ მეტათ უბედური იქნები უჩვენოთ.

შემდეგ გამოჩნდა მარკიზის წარმოსადგეი ფი-
გურა. მან დაინახა თავისი შვილების სისხლი, მიუ-
ბრუნდა უსიტყვო და უმოძრაო მაყურებლებს, ხე-
ლები გაიწოდა. ხუანიტოსკენ და ხმამაღლა წარ-
მოსთქვა.

— ესპანელებო, ჩემს ვაჟს მშობლიურ ლოცვა-
კურთხევას ვაძლევ! — ახლა-კი, მარკიზო, დაჰკარო
უშიშრათ და უებროთ.

მაკრამ, როცა ბოლოს ხუანიტომ მოხუცი დე-
და დაინახა, შეშლილივით დაიღრიალა:

— მე ხომ ამის ძუძუებმა გამომზარდეს!

ამ სიტყვების გავონებისთანავე დამსწრეებს
წემადრწუნებელი გმინვა აღმოხდა. უცებ შეწყდა
მოქეიფე ოფიცრების მხიარული ღრიანცელი. მარ-
კიზის მეუღლემ გაიგო, რომ მისი ვაჟიშვილის მხნე-
ობა ამოწურული იყო, გალავანზე გადაფარდა და
ფრილო კლდეზე დაეცა თავგატეხილი. ბრბომ კმა-
ყოფილებით ამოიოხრა. ხუანიტოს გული წაუვიდა.

— გენერალო, — სთქვა ერთმა გამოფხიზლებუ-
ლმა ოფიცერთაგანმა, — ესაა მარშანმა ამ დასჯის
ზოგიერთი გარემოება მიაძბო. მე სანაძლეოს ვდებ,
თქვენ არ გაგიციათ ეს განკარგულება ..

— თქვენ გეტყობათ დაგავიწყდათ, ბატონე-
ბო, -- წამოიძახა გენერალმა, — რომ ერთი თვის შემ-
დეგ ხუთასი ფრანგის ოჯახი შავს ჩაიცვას და, რომ
ჩვენ ესპანიაში ვიმყოფებით. ხომ არ გინდათ აქ
დასტოვოთ თქვენი ძელები.

ამ გაწყრომის შემდეგ ვერც ერთმა ოფიცერ-
მა ვერ გაბედა თავისი ქიქის დაცლა.

* *
*

იმ პატივისცემის მიუხედავად, რომლითაც გა-
რემოცულია მარკიზი ლეგანდისი, მიუხედავად ელ ვერ-

დუგოს ანუ ჯალათის საპატრიოსახელწოდებისა, რომელიცესპანიის მეფემ უბოძა ფრანგების განდევნის შემდეგ, მას კაეშანი ღრღნის, იგი განდევილივით სცხოვრობს და იშვიათად სტოვეზს ციხეკოშკს. ქედმოხრილი იმ საშინელი დანაშაულის სიძძიმის ქვეშ, რომელიც სხვებში აღტაცებას იწვევს, მოუთმენლად ელის მეორე ვაჟის დაბადებას, რათა უფლება მოიპოვოს, რომ შეუერთდეს მწუხარე აჩრდილებს, თავისი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრებს.

მ მ ა თ ნ ა ჯ ი ს ი

ქმათ ნაფიცო

ეს მოხდა, როცა საფრანგეთში ჰანრი მეორე მეფობდა, რომელიც ისტორიაში იმითაა ცნობილი, რომ მშვენიერი დიანე უყვარდა. იმ დროს არსებობდა ერთი ჩვეულება, რომელიც შემდეგ იშვიათი გახდა, ხოლო ბოლოს სრულიათ მოიშპო ქამთა მსვლელობაში. ეს მშვენიერი და კეთილშობილი ჩვეულება იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველი რაინდი ვალდებული იყო ქმათ ნაფიცო აერჩია, რის შემდეგ ეს ორი ერთგული და პატიოსანი ადამიანი ერთმანეთს არ შორდებოდა კუბოს ფიცრამდე; ისინი ძმები ხდებოდნენ, თვითნებური მათგანი ვალდებული იყო თავისი ძმობილი დაეცვა მტრის იარაღისა და კარისკაცების ბოროტი ენისაგან. მას უნდა გაებათილგებია ყოველი ბრალდება, რომელიც მის ძმობაღს უპატიოსნობას, მოლაღატეობას ან სხვა რაიმე ცუდ ქცევას მიაწერდა, და მაშინვე ხმაღში გამოეწვია შეურაცხყოფელი: მიტომ რომ მას ეჭვი არ

უნდა ჰქონოდა — ეს ყოველივე ცილისწამებააო. თავის თავად იგულისხმება, ძმობილები ერთმანეთს შველოდნენ კარგსა თუ ცუდ საქმეში და ერთად იყოფდნენ სიხარულსა და მწუხარებას. ხშირათ უფრო ახლო იყვნენ ერთმანეთთან, ვიდრე ღვიძლი ძმები, რომელნიც შემთხვევით არიან შეკავშირებული ბუნების მიერ, მაშინ როცა ძმობილთ უფრო ღრმა და იღუმალი ნათესაობა აერთებს. და ასეთი დაძმობილება ხშირათ შობდა უმშვენიერეს მოქმედებას, როგორსაც ძველათ ბერძნები და რომაელები ასრულებდნენ. მაგრამ ჩემი მოთხრობის საგანი ისეთია, რომ ისტორიკოსებს არ აუწყვრიათ, არც საყოველთაოდაა ცნობილი.

ამ ჩემ მიერ ზემოთ აღნიშნულ დროს ორი ახალგაზრდა ტურენელი, რომელთაგან ერთი მალიეს ოჯახის უმცროსი ვაჟი იყო, ხოლო მეორე გვარათ ლავალიერი, ძმათ ნაფიცნი გახდნენ სწორედ რაინდობის ხარისხის მიღების დღეს. მათი ხელმძღვანელი ომის ხელოვნებაში ცნობილი მხედართმთავარი მორმორანსი იყო, და რავენასთან ბრძოლაში მათ ისეთი ვაჟკაცობა გამოიჩინეს, რომ მრავალი ხნიერი რაინდის ქებაც დაიმსახურეს და თავიანთი მხნე ოსტატიც ასახელეს. მალიე ამ გააფთრებელ ბრძოლაში ლავალიერმა გადაარჩინა, ორივენი

დაქრნენ, მათ სიხლით განამტკიცეს თავიანთი ძმობა, როცა თავიანთი მისწავლებლის ნორმორანსის კარავში იწვნენ.

ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ თუმცა მალეც გვარში მრავალი ლამაზი მამაკაცი ყოფილა, თვით უმწიო იყო და სილამაზით ეშმაკს თუ შეედრებოდა; სამაგიეროთ მშვენიერი ტანი ჰქონდა: ახოვანი იყო, ბეჭებში ბრტყელი; ამასთანავე ღონიერიც როგორც ფრანგთა მეფე პეპინი, რომელიც, როგორც ცნობილია, გვარისანი მოქიდავე ყოფილა. ლავალიერი, პირიქით, ისეთი მოხდენილი ყმაწვილი იყო, რომ მნახველს ეგონებოდა მისთვისაა გამოგონილი ნაზი არშიება, ჭვირფასი მაუდის შარვალი და ვერცხლის აბზინდიანი თეხსაცმელი; მას სხვა ღირსებასთან ერთად თერფლის ფერი კულელები ჰქონდა, ერთი სიტყვით ისეთი ჭაბუკი იყო, რომ მშვენიერი სქესის არსებანი კარგათ გაერთობოდნენ მის საზოგადოებაში. ერთხელ ტახტის მემკვიდრის ცოლმა, პაპის ძმის წულმა ლავალიერის შესახებ სიცილით უთხრა ნავარის დედოფალს, რომელსაც უყვარდა ასეთი ხუმრობა:— „იცი, ეს დარბაზის ყრმა კარგი მალამო აყოველივე ავადმყოფობის წინააღმდეგ!“ როცა თექვსმეტი წლის ტურენელმა ეს სიტყვები გაიგონა გაწილდა, რადგან კომპლიმენტი გაკიცხვით მიიღო.

როცა ომის გათავების შემდეგ მალიე იტალი-
დან დაბრუნდა, აღმოაჩინა, რომ დედას სრულიათ
მოეგვარებია მისი დაქორწინების საქმე და სარ-
ძლოთ დანბოს ქალი აერჩია, რომელსაც სილამაზესა
და კობტა გარეგნობას გარდა დიდი შეძლებაც
ჰქონდა, შემოსავლიანი მამულები სოფლათ და საუ-
ცხოვო სახლი პარიზში, ბარბეტის ქუჩაზე, იტა-
ლიური სურათებით და მშვენიერი ავეჯეულობით
შემკული. სწორეთ ამ დროს გარდაიცვალა მეფე
ფრანსუა, რომლის სიკვდილმა საყოველთაო შიშის
ძრწოლა გამოიწვია, მიტომ რომ განსვენებული
მეფე ნეაპოლის ავათმყოფობით იყო დასნეულებული,
ამას კი შეიძლებოდა თვით სასახლის მანდილოსნე-
ბის დასნეულება მოჰყოლოდა. სწორეთ ამავე დროს
მალიე იძულებულა გახდა პიემონტში გამგზავრებუ-
ლიყო სამსახურში; იგი დიდათ შეწუხებული იყო,
რომ თავის ახალგაზრდა, მომხიბლავ ცოლს ხიფათისა
და მოულოდნელობას ანაბარა სტოვებდა, იმ ყმაწვი-
ლების გუნდის გასაწიწკნით, რომელნიც არწივები-
ვით თავხედნი და ამპარტავანნი იყვნენ და ისევე
ხარბათ უცქეროდნენ ქალებს, როგორც ჩვეულე-
ბრივი მომაკვდავნი ღორს უცქერიან გახსნილების
დღეს. მალიემ, რომელსაც ეჭვი ქენჯნიდა, ხოლო
მისი ცოლის საზოგადოება აშინებდა, გადასწვიტა

ერთგვარ ცხრაკილტულში დაემწყვდია და ამისა თვის ქვემორე აღწერილ ღონისძიებას მიმართა.

დილით გამგზავრების დღეს მან მოიხმო თავის ქმათ ნაფიცო. როგორც კი ჰიშქართან ლავალიერის ბედაურის თქართქური გაიგონა, საწოლიდან წამოხტა, თუმცა მისი მშვენიერი მეუღლე ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო იმ მსუბუქი დილის რულიდან, რომელიც ესოდენ სასიამოვნოა ზარმაცებისათვის. ლავალიერი სასტუმრო ოთახში შემოვიდა, მეგობრები ერთმანეთს მიესალმენ და ფანჯრის რაფას დაეყრდნენ.

— მე, რასაკვირველია, ღამითვე აქ გავჩნდებოდი, — უთხრა ლავალიერმა, — მაგრამ ერთი სიყვარულის ისტორია მქონდა მოსათავებელი და ეს არის იმ მანდილოსანს გავშორდი. შენ გინდა თან წაგყვებ პიემონტში? მას უკვე ვუთხარი ამის შესახებ, ერთგულება აღმითქვა. მაგრამ ბევრს არ ვინალვლი თუნდაც ჰომატყუოს: მეგობარი ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე სატრფო!

— არა, ჩემო ძვირფასო ძმაო, — უპასუხა მალიემ, გულაჩუყებელმა მეგობრის სიტყვებით, — მე მინდა მეტი რამ გთხოვო შენი ჩემდამი სიყვარულის დასამტკიცებლათ. შიგიძლია თუ არა ჩემი ცოლის მფარველობა იკისრო, მისი ხელმძღვანელი გახდე,

იბრუნო, რომ მან არავითარი გაუფრთხილებელი ნაბიჯი არ გადასდგას, პასუხი აგო ჩემი პატიოსანი სახელისთვის? ჩემი აქ არყოფნის დროს აქვე დასახლებები. მწვანე დარბაზში და ჩემი ცოლის რაინდი იქნები.

— მე არ მეშინია არც შენი, არც შენი ცოლის, არც ჩემი თავისა, — უპასუხა პირქუშათ ლავალიერმა, — მაგრამ ვუფრთხი იმ ბოროტ ენებს, რომელთაც შეუძლიათ შემთხვევით ისარგებლონ ჩვენს წასახლებებლათ.

— მენდე სრულიად, — სთქვა ამის საპასუხოთ. მალიემ და მკერდზე მიიკრა მეგობარი: — თუ ბედს სურს რქოსანი გამზადოს, ნაკლებ შევწუხდები თუ ამის მიზეზი შენ იქნები... მართალია, ამ შემთხვევაშიც ნალეული მიმკლავს, რადგან ჩემი სასიქადულო უმანკო ცოლი გაგიუებით მიყვარს. ეს სთქვა და პირი იბრუნა, რადგან არ უნდოდა მეგობრისთვის დაენახებია ცრემლები, რომელიც დაპალუხათ წაპოსცივინდა თვალებიდან; ლავალიერმა ეს შეამჩნია, ხელი მოჰკიდა მეგობარს და უთხრა:

— ძმაო, გეფიცები, სანამ ვინმე შენს ცოლს შეეხებოდეს, იგი მიწაზე დაეცემა ჩემი დაშნით განგმირული. და თუ თვით მე არ მოვეცედი, შენი ცოლის სხეული უკან დაბრუნებულს ხელუხლებელი

დაგხვდება, ხოლო სული, როგორც კარგათ იცი, ადანიანის განმგებლობის გარეშე იმყოფება. —

— მაშ, კარგი, საქმე გადაწყვეტილია, — წამოიძახა მალიემ, — კუბოს ფიცრამდე შენი მოვალე ვიქნები!

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე მალიე გზას გაუდგა, რადგან არ უნდოდა გალხობილიყო ოხვრისა, ვიწისა და ცრემლებისაგან, რაიცა ცოლებს ყოველთვის აღმოხდებათ ხოლმე გამოთხოვების უამს. ლავალიერმა ბეგობარი ქალაქის კარიბჭემდე მიაცილა და უკან დაბრუნდა, რათა იქ დაეცადა, სანამ დასაძინებელი ოთახიდან გამოვიდოდა მარა დანბო, რომლისთვისაც მას ქმრის წასვლა უნდა ეუწყებია და თავისი თავი გადაეცა სრულს განკარგულებაში. ეს ყოველივე ისე მოხდენილათ შეასრულა, რომ ყველაზე უბიწო ცოლიც კი უარს ვერ იტყოდა ასეთი რაინდის სამსახურზე. მაგრამ მარის არ სჭიროდა ახსნა-განმარტება, რადგან ფარულათ ყური დაუგდო ბეგობრების საუბარს და დიდათ ნაწყენიც იყო, რომ ქმარმა ეჭვი გამოსთქვა მის შესახებ. როგორც ცნობილია, ყოველ ადამიანურ საქმესა და აზრს წალმა პირიც აქვს და უკულმაც, და ცხოვრების რთული მეცნიერება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველს საგანს წალმა პირიდან შეეხილოთ. ქალისთვის თავის

მოწონება მიტომ გვიჭირს, რომ მას ისეთი რამ აქვს, რაც თვით მასზე უფრო ქალურია. ჩვენ, მამაკაცებმა კი არასოდეს ცუდი აზრები არ უნდა გავაღვიძოთ ქალებში და თუ მათი დამორჩილება გვინდა, თვით უნდა დავემორჩილოთ მათ: მგონია, ამაშია ცოლქმრობის ძნელი ამოცანის საუკეთესო გადაწყვეტა.

მარი დანბო მეტათ კმაყოფილი დარჩა რაინდის თავაზიანობისა და ყველა წინადადებისა; მაგრამ სახეზე მსუბუქმა ღიმილმა გაურბინა: თავში აზრმა გაუელვა, თავისი ახალგაზრდა მცველი აუძულებინა არჩევანი მოეხდინა პატიოსნებასა და სიამოვნებას შორის, და ალერსიანი მოპყრობითა და ნაზი შეხედვით მეგობრობა, დაეთმო ბინები აშუკობის გულისთვის.

ყოველივე თითქო ხელს ეწყობდა მარი დანბოს ზრახვების განხორციელებას,—მარტო ის რად ღირდა, რომ ლავალიერს ერთ ჭერ ქვეშ უნდა ეცხოვრა მასთან. და რადგან ქალს ვერაფერი ვერ გადაახვევინებს დასახულ მიზანს, მარიმ, სხვა ქალების წაბაძულობით, გადასწყვიტა თავის ბადეში. გაიბა ახალგაზრდა რაინდი. ქალი ვაჟს აიძულებდა შუალამემდე მის ოთახში დარჩენილიყო ბუბრის წინ და მისი სიმღერა ესმინა; ხან ვითომდა უნებურათ

თმა გაეშლებოდა, მკერდი გაელელებოდა ან სხვა რაიმე მშვენიერება გამოუჩნდებოდა. ამასთანავე მისი თვალების ელვარება თითქო ამაოთ სცდილობდა მისი იღუმალი ზრახვებრს დამალვას; დილით ხშირათ ვაჟთან ერთად სჯირნობდა ბაღში, მჭიმეთ ეყრდნობოდა მის ხელს, ღრმით ოხრავდა და ტანით ეკვროდა მის ტანს; იგი მას აიძულებდა მაშინს თასმა შეეკრა მისთვის, ეს თასმა მუდამ ეხსნებოდა სიარულის დროს; ერთი სიტყვით ელაციცებოდა, როგორც ეს მხოლოდ ნებიერ და ალერსიან ქალს შეუძლია. დიდ მზრუნველობას იჩენდა თავისი სტუმრის მიმართ, ხშირათ შედიოდა მასთან, ჰკითხავდა ხომ არაფერი გაკლიათო, კარგია თუ არა ლოგინი, გაწმენდილია თუ არა ჰაერი, ღამით გამსკვალავი ქარი ან დღისით მზის სიცხოვლე ხომ არ გაწუხებთო; ამასთანავე ყოველთვის სთხოვდა — ნუ დამიმაღავთ თქვენს ჩვეულებასა და სურვილესო.

— თქვენ ალბათ დილით ლოგინში რამეს სვამთ; რა გიყვართ: თათლი, რძე თუ ხილის ნახადი? უმადოთ ხომ არ ხართ სადილათ ან ვახშმათ? მხოლოდ ენა დასძარით და ყოველი თქვენი სურვილი შესრულდება. თხოვნით ჩემი შეწუხების ნუ გეშინიათ.

ამ მზრუნველობას თან სდევდა მრავალი კუ-
კლუცი ქცევა. სხვათა შორის რაინდის ოთახში ისე
არ შევიდოდა, თუ არ წამოეძახა:

— თუ გაწუხებთ, გამაგდეთ... თქვენ სრუ-
ლიათ თავისუფლათ უნდა გრძნობდეთ თავს... ახ-
ლავე მივდივარ...

რაინდი, რასაკვირველია, მუდამ სთხოვდა,
დარჩითო. ქალი ვაჟთან ყოველთვის მეტად მსუბუ-
ქათ ჩაცმული შედიოდა, ისე თვალთმაქცურათ აშ-
ხელდა თავისი მშვენიერი სხეულის ნაკვთებს, რომ
თვით მხიბრწნილი პატრიარქი მათუსაილიც უეჭველათ
ნდომისაგან დაიჭიხვინებდა თავისი ასსამოცი წლის
სიმძიმის მიუხედავად.

თავის მხრივ ლავალიერიც, ნატიფი როგორც
აბრეშუმის ძაფი, ნებას აძლევდა დიასახლისს ელა-
ლობა მასთან, რადგან ბედნიერი იყო, რომ ამ ქალის
ყურადღების და მზრუნველობის საგანი სხვა არავინ
გახდა. თვით ვაჟი კი მას მუდამ უცხოეთში წასულ
ქმარს ახსენებდა.

ერთხელ საღამოთი, მეტათ ცხელი დღის შემ-
დეგ, ლავალიერს შეეშინა თავისი სეფექალის პი-
რისპირ ცქერისა და თვალეზღაბრილმა ლაპარაკი
ჩამოუგდო იმაზე, თუ როგორ ძლიერ უყვარს იგი
ქმარს, რა რიგ კეთილშობილია მალიე და იქვიანი
ერთსა და ამავე დროს.

—მაშ რათ დაგასახლათ აქ, თუ ასეთი იქვიანია?

— განა ეს უდიდესი სიფრთხილე არაა?—უპასუხა ვაჟმა:—განა თქვენ ისეთი მცველისთვის არ უნდა ჩაებარებანეთ, რომელიც მტრებისგან დაგიცავდათ?

— მაშ თქვენ ჩემი დარბაზის ყრმა ყოფილხართ?—სთქვა ქალმა.

— დიახ, მე ამით ვამაყოფ, — წამოიძახა ლავალიერმა.

— ცუდი არჩევანი მოუხდენია, მართალი მოგახსენოთ!

ამ სიტყვებთან ერთად ქალმა ვაჟს ისეთი ვნებიანი თვალეები მიაპყრო, რომ პატიოსანი ძმათნაფიცი იძულებული გახდა დაუყონებლივ დაეტოვებინა თანამესაუბრე, რომელიც, როგორც ეტყობოდა, მეტათ შეურაცხყოფილი იყო, რომ უარს ეუბნებოდნენ სიყვარულის ტურნირის გამართვაზე. მარტოთ მარტო დარჩენილი მარი დანბო ოცნებაში წავიდა, იგი სცდილობდა გამოეცნო ვაჟის უარის მიზეზი, მიტომ რომ ქალისთვის ძნელი გასაგებია თუ როგორ შეუძლია ვინმეს აითვალისწინოს ის ძღვენი, რომელსაც ჩვეულებრივ მამაკაცები სიამოვნებით ლებულობენ და დიდათაც აფასებენ. მისი აზრები ერთმანეთში გადაიხლართენ, მათ ქალი შორს

გაიტაცეს, და ბოლოს, მარი დანბოსთვის ნათელი გახდა, რომ ლავალიერი უღრმესი სიყვარულით უყვარდა.

ამ რიგათ მარი დანბომ, ბოლოს, გაიგო რაც ადრევე უნდა გაეგო, სახელდობრ რომ კეთილშობილი რაინდი სხვა ქალის ბადეში მოჰყვა, რათა თავი დაეღწია მის მიერ გადასროლილი ბადისთვის; იგი შეუდგა გამოძიებას, სად შეეძლოთ მის სტუმარს გულისთქმის საგანი ეპოვა, და გადასწყვიტა, რომ ალბათ ან მშვენიერ ლიმეილზეა შეყვარებული, ან დედოფალი ეკატერინე მედიჩის ერთ ერთ ქალზე—ქალბატონ დენევერსა, დესტრესა ან ჟიაკზეო. იგი მეშურნეობით გაიმსქვალა, მაგრამ გადასწყვიტა ჯერჯერობით შეეზღუდა თავისი ცდუნებით აღსაესე თამაშობა თავის გუშაგთან და მხოლოდ ხანდახან შუბლზე ნაზათ ეკოცნა მისთვის.

უცილობელია მარი დანბო უფრო ლამაზი, ახალგაზრდა, სანდომიანი და მომხიბლავი იყო, ვიდრე მისი მოქიშპეები; ყოველ შემთხვევაში ამას ეუბნებოდა მისი გონება; მისი სულის ყოველი ნიჭი, მისი ნებისყოფის მთელი ძალა და აგრეთვე წმინდა ფიზიკური ნდომა, რომელიც ქალებს თანდაყოლილი აქვთ, მას უკარნახებდა იერიში განაგრძე რაინდის წინააღმდეგო. ამ მხრითვე მოქმედობდა სპორტის სიყვარულიც.

ქალი კატასავით იგრიხებოდა ვაჟის წინაშე, უღიტინებდა მის გრძნობებს, ნელნელა ითვინიერებდა და ალერსს არჩევდა მას, ისე რომ ერთხელ სალამოთი, როცა ქალმა უგუნებობა მოიმიზეზა, ვაჟი იძულებული გახდა ეკითხა—რა მოგდითო.

ამის საპასუხოთ თითქო ოცნებაში წასულმა მარი დანბომ თავისი ამბავი მოჰყვა, ლავალიერი კი მუსიკასავით ისმენდა მის სიტყვებს. ქალი სჩიოდა ჩემი სურვილის წინააღმდეგ გამათხოვეს, დიდათ უბედური ვარ, არ ვიცი რა არის სიყვარულის სიხარული, ჩემი სიცოცხლე ცრემლებითაა საფარული, რადგან ქმარი არ მაკმაყოფილებსო; სულით ქალწული ვარ და მხოლოდ ცხოვრების ბნელ მხარეებს ვიცნობ, თუმცა კარგათ გამეგება სიყვარულის შეება და სიტკბოება, რომლისკენაც ჩემი მსგავსნი მიისწრაფვიანო; შურიტ ვუცქერი იმათ, ვისაც შეუძლია ეს შეება და სიტკბოება სხვებს მიანიჭოს თუნდ ძვირფასი მსხვერპლის გაღებითო; მზათ ვარ სიყვარულის ერთი დღისა. ან ლამისთვის ცხოვრება გავსწირო და მხევლად ვიქცე, მაგრამ იმას, ვინც ჩემთვის ყველაზე ძვირფასია არ სურს ჩემთვის ყურის დაგდება, თუმცა ჩენი კავშირის დამალვა არც ისე ძნელია, რაკი ქმარი ესოდენ დანდობილიაო; და, ბოლოს, თუ სატრფომ უარი მითბრა, ჯავრი მომკლავსო.

ეს ტაყები ამოღებულია იმ ლექსიდან, რომელიც ქალებმა უკვე არტახებში იციან ზეპირათ, ისინი წარმოთქმულ იქნენ გრძელი პაუზებით და სულის სიღრმიდან ამოხეთქილი კენესა — ვიშით, შემკობილ იქნენ მრავალი მომხიბლავი ოინით, ციური ძალების მოწოდებით და შორეულ სივრცეში გახედვით; ქალის ლაწევები ანთებული იყო, იგი მზათ იყო თმა დაეგლიჯა მწუხარებისაგან, ერთი სიტყვით გამოყენებულ იქნა მთელი დედაკაცური არსენალი, და რადგან ამ სიტყვათა ნიაღვარის მიწები ის გულის თქმა იყო, რომელიც თვით მახინჯებს ალაჩაზებს, კეთილ შობილმა რაინდმა თავი ვერ შეიკავა, მარის ფეხთ ქვეშ დაეცა ზ ამბორით ზ ცრემლებით დაჰფარა ისინი; ქალი კი ვაჟს არ უცქეროდა, მხოლოდ თითქოს სავსებით ნებდებოდა მას. მაგრამ ბედმა განაგო, რომ მარის ამ საღამოს არ გადაელახა მართებული საზღვრები, მიტომ რომ ლავალიერმა სასოწარკვეთილი ხმით უთხრა:

— ქალბატონო, მე უბედური და უღირსი კაცი ვარ!

— მაგას რად ამბობთ! — უპასუხა ქალმა.

— ჩემთვის ბედნიერება დახშულია, არ შემიძლია სავსებით თქვენზე გავხდე.

— რატომ? — ჰკითხა ქალმა.

— ვერ გამოგიტყდებით,

— ნუ თუ ცუდი რამ გჭირთ?

— დიახ, ცუდი რამ, რასაც შეუძლია თქვენ შეგბაღლოთ.

— სთქვით, მე თვალებზე ხელს ავიფარებ.

მან თვალთმაქცურათ პირზე ხელები აიფარა, ასე რომ რაინდს თითებს შუა ხედავდა.

— მაშ იცოდეთ, — დაიწყო ლავალიერმა, — რომ იმ საღამოს, როცა თქვენ იმდენი ანერსიანი სიტყვა მაფრქვეით, მე ვერაგმა და დასაძრახისმა სიყვარულმა გამიტაცა; მაგრამ რადგან არც ჩემი ბედნიერების მოახლოვების მჯეროდა და ვერც გრძნობათა გამხელას გიბედავდით, გაყიდულ დედაკაცებთან წავედი და იქ გადამდები სენი შევიძინე, რომელიც შეიძლება მომაკვდინებელიც იყოს.

შეშფოთებულმა ქალმა ოდნავ შეჰკივლა და უნებურათ ხელი ჰკრა ლავალიერს, ეს საბრალო კი შემკრთალი გავიდა ოთახიდან. მაგრამ ვერც კი მოასწრო კარებზე ჩამოკიდებულ ნოხს გაშორებოდა, რომ მარი დანბომ ხელახლა ოხერა და ვიში დაიწყო: „აჰ, რა უბედურებაა!“ გაიძახოდა ქალი, სიყვარულით გამსქვალული სამმაგათ აღკვეთილი ხილისადმი; მარი ღრმა მწუხარებაში ჩაეარდა; ამასთანვე სიბრაღულით აივსო მეგობრისადმი.

ერთელ სალამოს ვაჟი ჩვეულებრივზე უფრო მშვენიერი ეჩვენა და განუცხადა, თუ ქმარი არ მეცოდებოდეს, მეც შენსავით დავსწეულდებოდი, რათა ერთი და იგივე სატანჯველი გაგვეცადაო.

— მე იმდენათ მიყვარხართ, რომ ვალდებულები ვარ კეთილგონიერება გამოვიჩინო,— უპასუხა ლავალიერმა, საჩქაროთ გამოეთხოვა და მ ვენიერ ლიმეილის ქალთან წავიდა.

რაინდს ძალა არ შესწევდა მარის მწველი თვლების შეხედვა აეჭანა, იგი ანთებული იყო, როცა მის გვერდით იჯდა სადილათ ან სალამოს, ქალიც სცდილობდა არ შეხებოდა რაინდის სხეულს, მხოლოდ უცქეროდა მას. ამრიგათ მარი თავს იცავდა აბეზარი მოაშიკე კარისკაცებისაგან, მიტომ რომ, როგორც ცნობილია, ქალისა და ვაჟისთვის არ არსებობს უფრო გარდაუვალი დაბრკოლება და უფრო ერთგული დარაჯი, ვიდრე სიყვარული, რომელიც ეშმაკის აღის მსგავსათ ედება ყველაფერს, რასაც ახლო გაეკარება.

ლავალიერს ერთხელ მოუხვდა თავის სეფექალს გაჰყოლოდა დედოფალი ეკატერინეს მიერ გამართულ საცეკვაო სალამოზე და იქ ეცეკვნა მშვენიერ ლიმეილთან, რომელიც გაგიჟებით მოსწონდა. სეფექალები შურით უცქეროდნენ ლიმეილს, რომე-

ლიც მხოლოდ იმას ფიქრობდა, როგორმე ლავალიერი დაეპყრო. ჯერ კიდევ ცეკვაც კი არ დაწყებულიყო, რომ მან რაინდს მეორე დღისათვის პაემანი დაუნიშნა ნადირობაზე. დედოფალი ეკატერინე მედიჩი პოლიტიკური მოსახრებით ყოველთვის ხელს უწყობდა ასეთ რომანებს და, როგორც გამოცდილ პურის მცხობელს შეეფერება, მაშით ცეცხლს უკეთებდა ლუმელში; როცა მის თვალ წინ წყვილ-წყვილათ მოხდენილი ქალვაყები ტრიალებდნენ, იგი ეუბნებოდა მეფეს:

— სანამ ესენი აქ ერთმანეთს ებრძვიან, ვერ მოიცილიან შეთქმულების მოსახდენათ თქვენს წინააღმდეგ.

— ჰო,—უპასუხა მეფემ,—მაგრამ ეს არ ეხება იმათ, ვინც რელიგიური მიზნებისთვის იბრძვის.

— იმათაც მოვუვლით,—სიცილით უპასუხა დედოფალმა:—შეხედეთ ლავალიერს, მას ხომ თარულ ჰუგენოტათ სთვლიან, ამავე დროს იგი თავის ბადეში გაუხვევია ჩემს საყვარელ ლიმეილს, რომელიც საკმაოდ გამოცდილია, თუმცა ესაა თექვსმეტი წლის ჰასაკა მიაღწია.

— ამას ნუ ელით, თქვენო უდიდებულესობავ,—სიტყვა ჩაუერთო მარი დანბომ,—რადგან ლავალიერი იმავე სენითაა დაავადებული, რომელმაც

სიციცხლე მოუსწრაფა მეფე ფრანსუას და თქვენ ხელი შეგიწყოთ დედოფალი გამხდარიყავით.

ამ გულუბრყვილო ცნობის გაგონებაზე დედოფალმა, მშვენიერმა დიანემ და მეფემ, რომელნიც ერთად იდგნენ, გადაიხარხარეს, და ჩქარა მთელმა დარბაზმა გაიგო მათი სიცილის მიზეზი. ლავალიერი სასაცილოთ აიგდეს, საბრალოს ერჩია მიწა გახეთქოდა; მისმა მოქიშპეებმა დაუყონებლივ ეს ამბავი სიცილით აცნობეს ლიმეილის ქალს, და მანაც საშინელი ავადმყოფობის შიშით ცივი წყალი გადაასხა თავის თაყვანისმცემელს. ლავალიერს ყველანი გაუბოდნენ, თითქო იგი კეთროვანი ყოფილიყო: მეფემაც რალაც მკვახე სიტყვა წასჩურჩულა, და რაინდი იძულებული გახდა საღამო დაეტოვებინა მარისტან ერთად, რომელიც შეძრწუნებული იყო თავისი გაუფრთხილებელი საქციელით. ქალმა გაიგო, რომ თვითვე დალუპა საყვარელი ადამიანი, შეურაცხყო მისი პატიოსანი სახელი და გაუფუჭა სარბიელი; ცნობილია, ექიმები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ცუდი სენით დაავადებული ადამიანი ჰკარგავს თავის სახეს, ბავშვის გაჩენის უნარს, და ძვლებიც კი უშავდებაო. არც ერთი დედაკაცი სამეფოში არ მისთხოვდებოდა ასეთ ადამიანს.

ჭერკულესის სასახლიდან, სადაც საცეკვაო საღამო იყო გამართული, მალევე სასახლეში მისვლამდე რაინდს კრინტი არ დაუძრავს, იმდენათ განადგურებული იყო მწუხარებით; შინ შესვლისთანვე მარცხ უთხრა:

— ძვირფასო მეგობარო, ვგრძნობ დიდი ტანჯვა მოგაყენეთ.

— ქალბატონო, — უპასუხა რაინდმა, — ჩემი ნაღველი კიდევ გაქარღვბა, თქვენ კი მართლაც არასასიამოვნო მდგომარეობაში ჩაეარდით. ყველანი იკითხავენ, როგორ შეეძლო იმის გაგება თუ რა საფრთხე მოელოდა ლავალიერის სიყვარულიდანო?

— სამაგიეროთ ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ყოველთვის ჩემთან იქნებით, — უპასუხა ქალმა: — შიტომ რომ ჩემ მიერ მოყენებული სირცხვილისა და უპატიურობის სამაგიეროთ ახლა თქვენი ერთგული მეგობარი, თქვენი დიასახლისი და თქვენა გულის სეფექალი ვიქნები; კიდევ მეტს ვიტყვი, თქვენი მსახური გავხდები. მინდა თავი შემოგწიროთ, რათა სამარცხვინო ლაქა მოგაშოროთ და ღამეები გავსტეხო, რათა მოგარჩინოთ. ხოლო თუ მკურნალები იტყვიან სნეულება სხეულში იმდენათ განჯდარი აქვს, რომ განსვენებული მეფის ბედი ელისო, არ დაგტოვებ და თქვენთან ერთად მოვკვდები იმავე

სწეულებით. არა,—და მთავრა ქალმა ქვითინით,—
არ არსებობს მსხვერპლი, რომლითაც შეიძლებოდეს
ჩემ მიერ მოყენებული ბოროტების გამოსყიდვა.

იგი კიდევ უფრო ხმამაღლა ატირდა, მიიბნი-
და და კინალამ გული წაუვიდა. შეშინებულმა ლა-
ვალიერმა ხელი სტაცა და მის გულს შეეხო; ქალი
გონს მოვიდა, როცა მოსაყვარულე ხელის სითბო
იგრძნო, მაგრამ მოზღვავებული ვნებათაღელვის
გამო კინალამ ხელახლა გრძნობა დაჰკარგა.

— ეჰ, დღეიდან მხოლოდ უმანკო და მსუბუქი
ალერსი იქნება ჩვენი ერთად ერთი სიხარული; მაგ-
რამ ეს შაინც შეუდარებლათ სქარბობს იმ სიამოვ-
ნებას, რომელსაც ჩემი საბრალო მალიე მანაქებდა. ნუ
წამართმევთ თქვენს ხელს, იგი აქ ახლოა ჩენს სულთან
ამ სიტყვების საპასუხით აღელვებულმა და
გაფითრებულმა რაინდმა გულუბრყვილოთ აღიარა.
ამ წუთში უსაზღვროთ ბედნიერი ვარ, მაგრამ ჩემი
აჯათმყოფობა მწვავედება და ასეთ ტანჯვას სიკვდი-
ლი მირჩევნიაო.

— მაშ ერთად მოვეკვდეთ!—უთხრა ქალმა.

მაგრამ ამის შესრულება ძღვილი არ იყო და
როცა შეყვარებულნი თავთავიანთ ოთახში წავიდნენ,
ვაჟი თავისი ლიმეილის დაკარგვას ნანობდა, ხოლო ქა-
ლი ახლათ განცდილ, უბადლო სიხარულზე ფიქრობდა.

ამ მოულოდნელი შემთხვევის გამო ლავალიერი იძულებული გახდა უარი ეთქვა ცოლის შერთვაზეც და სიყვარულზეც და ველარ ბედავდა სახლიდან თავის გამოყოფას; იგი დარწმუნდა რა ძვირათ უჯდება ხანდახან მამაკაცს ქალის კარის მცველად გადაჭყევა. მაგრამ რამდენადაც უფრო მტკიცეთ იცავდა პატიოსნებასა და სათნოებას, მით უფრო სასიამოვნოთ ეჩვენებოდა თავის განწირვა ძმობილისთვის. მაგრამ უკანასკნელ დღეებში მისი ვალდებულება მეტად ძნელი შესასრულებელი, თითქმის აუტანელი გახდა, როგორც ქვემოთ დავინახავთ.

თანაგრძნობის შეგნებამ, ზიანმა, რომელიც რაინდს მიაყენა, განუცდელი სიამოვნების აზრმა, ყოველივე ამან გამბედაობა შეჰმატა მშვენიერ მარი დანბოს, მაგრამ მისი სიყვარული პლატონური რჩებოდა და მხოლოდ უმანკო აღერსით იყო შეფერადებული. ცნობილია, მეფე ფრანსუას სიკვდილის შემდეგ მრავალი სეფექალი, რომელთაც არ სურდათ თავიანთ თაყვანისმცემელთ გაშორებოდნენ და ამავე დროს დაავადებისა ეშინებოდათ, უბიწო აღერსსა და სამიჯნურო სიტყვების გაცვლა-გამოცვლაში პოულობდნენ ნუგეშს. ლავალიერს არ შეეძლო ამის უარი ეთქვა მარისთვის, რომელიც ყოველ საღამოს მის გვერდით ჯდებოდა, იღებდა მის ხელებს,

ლოკით ნაზათ ეხებოდა მათ და მხოლოდ თვალებით ჰკოცნიდა რაინდს. ასეთ სათნო მდგომარეობაში რაინდი თავს ისე გრძნობდა, როგორც სატანა აიაზმით სავსე ფიალაში, ქალი კი დაუღალავა ელაპარაკებოდა თავის ღრმა, მტანჯველ სიყვარულზე, შეუსრულებელ სურვილთა უსაზღვროებაზე. მთელ იმ აღზნებას, რომელსაც ქალები სიყვარულში ამხელენ, როცა ღამის წყვდიადში სხვა სანთელი არანთია გარდა თვალებისა, იგი აღფრთოვანებით გადმოსცემდა ხან თავის მისტიური მოძრაობის, ხან სულის ნათელი თრთოლის შემწეობით. ისინი თითქო ერთმანეთში გადნენ, მათი ნაზი ლიტანია თითქო ყველა დროის შეყვარებულთა ლიტანიის განმეორება იყო (ამ ლიტანიას ტაეპები ტელემის წინამძღვარმა ძველი ხელნაწერებიდან ამოიღო და თავის მონასტრის კედლებზე დასწერა; იქ წაეკითხე ლათინურათ და აქ ვთარგმნი კეთილი ქრისტიანების სახელმძღვანელოთ).

— ჰო,—ამბობდა მარი დანბო,— შენ ჩემი ძალა და სიცოცხლე ხარ, ჩემი ბედნიერება და საუნჯე!

— თქვენ კი,—უპასუხებდა ვაჟი,— ჩემი ანგელოზი, ჩემი მარგალიტი ხართ!

— შენ ჩემი სერაფიმი ხარ!

- თქვენ ჩემი გული ხართ!
- შენ ჩემი ღმერთი ხარ!
- თქვენ ჩემი ცისკარის და სალამოს ვარსკე-
ლავი ხართ! ჩემი პატიოსნება და მშვენიერება, ჩემი
სამყარო ხართ!
- შენ ჩემი დიდი ღვთაებრივი მბრძანებელი
ხარ!
- თქვენ ჩემი დიდება, სარწმუნოება და სა-
ხელი ხართ!
- შენ ჩემი ნაზი, მამაცი, მშვენიერი, კეთილ-
შობილი, ძვირფასი რაინდი, მფარველი მეფე ხარ;
შენ ჩემი სიყვარული ხარ!
- თქვენ ჩემი ფერია, ჩემი ცხოვრების ყვავი-
ლი, ჩემი სიზმარი ხართ!
- შენ ჩემი ყოველი საათის, ყოველი წუთის
აზრი ხარ!
- თქვენ ჩემი თვალების სიხარული ხართ!
- შენ ჩემი სულის ძახილი ხარ!
- თქვენ ღლის სინათლე ხართ!
- შენ ნაპერწკალი ხარ ღამის წყვდიადში!
- თქვენ უსაყვარლესი ხართ ქალთა შორის!
- შენ გასალმერთებელი ხარ კაცთა შორის
- თქვენ ჩემი სიხლი, ჩემი მე, ჩემზე უკე-
თესი ხართ!

— შენ ჩემი გული და ჩემი ლამპარი ხარ!

— თქვენ ჩემი წმინდანი, ჩემი ერთად ერთი სიხარული ხართ!

— სიყვარულში პირველობა შენ გეკუთვნის და თუმცა ჩემი სიყვარული უსაზღვროა, ვფიქრობ, რომ შენ კიდევ უფრო გიყვარვარ, რადგან შენ ჩემი მბრძანებელი ხარ!

— არა, პირველობა თქვენ გეკუთვნით, ჩემო მარი!

არა, მე შენი მხევალი ვარ, შენი მსახური, მე არათფერი ვარ და შენ შეგიძლია ნაცრათ მაქციო!

— არა, მე ვარ თქვენი მონა, თქვენი ერთ-გული დარბაზის ყრმა; მე თქვენთვის სიოს ერთი დაბერვა ვარ, თქვენი პაწია ფეხებისთვის ნოხა ვარ, ჩემი გული თქვენი ტახტია!

— არა, ჩემო მეგობარო, შენი ხმა გულს მიგმირავს!

— თქვენი შეხედვა კი მწვავს!

— მე ქვეყანას. ისე ვუცქერო, თითქო თქვენ ჩემი გრძნობა იყოთ!

— მაშ გულზე ხელი დამადე და შეამჩნევ როგორ ვფითრდები, როცა ჩემი სისხლი შენს სისხლს სიცხოველეს ართმევს.

ამ ბრძოლაში მათი ანთებული თვალები კიდევ უფრო ელავდნენ, და რაინდი აორკეცებდა მარი დანბოს სიხარულს, როცა მკერდზე ხელს ადებდა. ამ მსუბუქ მოძრაობაში იხატებოდა მთელი მისი სიყვარულის ძალა, თავს იყრიდა ყველა მისი სურვილი, და იგი იღეოდა ბედნიერებისაგან. მათი თვალებიდან ცხარე ცრემლები სცვიოდა, ისინი ერთმანეთს ეხვეოდნენ, როგორც ცეცხლის ენები ეხვევიან შეშას, მაგრამ ამით ყოველივე თავდებოდა. ლავალიერმა ამაოთ როდი აღუთქვა თავის მეგობარს, ცოლის სხეულს შეგინახა და არა სულსო.

მალიემ სწორეთ დროზე შემოსთვალა შინ ვბრუნდებოდნო, მიტომ რომ ვერავითარი სათნოება ვერ აიტანდა ასეთ წამებას; რამდენადაც უფრო თავს იჭერდნენ შიყვარებულნი, მით უფრო გავარვარებული ხდებოდა მათი ოცნება.

რაინდმა მარი მარტოთ მარტო დასტოვა და მეგობრის შესახვედრათ გაეშურა ბონდიში, რათა თან ხლებოდა ტყის გზაზე, სადაც მოგზაურობა სახიფათო იყო. ძველებური ჩვეულების მიხედვით მათ ღამე ერთად გაათიეს ბონდიში, ერთ ლოგინში ჩაწვნენ და დიდხანს ილაპარაკეს: ერთმა თავისი სამხედრო თავგადასავალი მოჰყვა, ხოლო მეორემ სასახლის კორები, სიყვარულის ამბები და სხვა.

მაგრამ მალიეს პირველი შეკითხვა მარის შეეხებოდა, და ლავალიერმა განუცხადა, მას შენი სახელი არ შეუბღალავსო. ამ სიტყვებმა ქმარი უსაზღვროთ გაახარა.

მეორე დღეს სამ-ვენი ერთად ისტდნენ, და თუშცა მარი დიდათ შეწუხებული იყო, ქალური თვალთმაქცობით მხიარულად ეალერსებოდა ქმარს; მაგრამ ამავე დროს მეგობარის დასანახათ ნაზათ გულს უთითებდა, თითქო ეუბნებოდა—ეს შენიაო!

ვახშმობის დროს ლავალიერმა უცებ განაცხადა ომში მივდივარო. მალიე სახტათ დარჩა, თან გაყოლა მოინდომა; მაგრამ ლავალიერი გადაქრით წინ აღუდგა.

— ქალბატონო, — უთხრა ლავალიერმა მარი დანბოს, — მე თქვენ სიცოცხლეზე მეტათ მიყვარხართ, მაგრამ პატროსნებას მაინც უფრო ვაფასებ.

რაინდი გაფითრდა; მარიც გაფითრდა; არასოდეს თავის შექცევის დროს მათ იმდენი სიყვარული ამ გამოუმეღავენებიათ, რამდენიც ამ წუთში გამოუმეღავენა. მალიემ გადასწყვიტა ერთი დღის სავალზე გაეცილებია თავის მეგობარი.

შინ დაბრუნებისთანავე ლაპარაკი ჩამოაგდო იმის შესახებ, თუ რა უნდა ყოფილიყო მისი მეგობრის უცაბედი გამგზავრების ფარული

მიზეზი; მარიმ, რომელიც განუწყვეტლივ თავისი მეგობრის ტანჯვაზე ფიქრობდა, სთქვა:

— ჩემთვის ყოველივე ნათელია: მას სცხვენია აქ დარჩენისა, რადგან ყველამ იცის, რომ ნეაპოლური სენითაა დაავადებული.

როგორ?— წამო. ძახა გაკვირვებულმა მალიემ:— ჩვენ ორჯერ ერთს ლოგინში ვიწექით, ერთხელ ბონდში, მეორეჯერაც გუშინ; არავითარი სენი არ სჭირს; ლავალიერი ისევე ჯანმრთელია, როგორც თქვენი თვალი.

მარის ცრემლები წახქდა; უსაზღვრო იყო მისი აღტაცება ამ კეთილშობილებისა და თავგანწირულების წინაშე, ამ ფარული ვნებათაღელვის ღრმა ან ჯვის წინაშე. მაგრამ ქალი გულის სიღრმეში მალავდა თავის სიყვარულს და იმ დღესვე მოკვდა, რა დღესაც ლავალიერი მოჰკლეს მეცის ციხის გალავანთან, როგორც ამას ბურდელ დებრანტომი იუწყება თავის მოგონებებში.

მხედართმთავრის სული

მხედართმთავრის ცოლი

მხედართმთავარმა გრაფმა დარმიანიკმა ამაღ მედიდურობის გამო გადასწყვიტა ცოლათ შეერთო გრაფი ბონის ასული, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა ახალგაზრდა სავუაზი, მეფე კარლოს VI კარისკაცის ვაჟი.

მხედართმთავარი თავგამოდებული მეომარი იყო; თვალტანათ წამოუსადეგი, წლების ტვირთით დამძიმებული, სახე დანაოჭებული და ბანჯგვლიანი გრაფი მეტის მეტათ მოსაწყენი იყო თავისი მკმუნვარე სიტყვებით: მისი აზრები ხან სახრჩობელას ეხებოდა, ხან ცხარე ბრძოლას, ხან სამხედრო ოინებს, დაშორებულს სიყვარულის ოინებისაგან. ეს მოლაშქრე ნაკლებ ფიქრობდა სიყვარულით თავის შექცევაზე და თავის დაქორწინებას სხვა უფრო საქმიანი მიზნებისთვის იყენებდა. ცოლებს კი, როგორც ცნობილია, არ უყვართ, რომ მათი სხეულის მშვენიერებათა ერთად-ერთი მოწმე მათი

საწოლის ფეხი იყოს. ამიტომ, როცა გრაფის ასული მხედართმთავრის ცოლი გახდა, კიდევ უფრო გაუცხოველდა სიყვარული სავეუაზისადმი, რაც ამ უკანასკნელმა, რასაკვირველია, მაშინვე შეამჩნია. მიჯნურებმა ერთ ხმაზე ააწყვეს თავიანთი ფანდურები, რათა სიყვარულის სიმღერა ეთქვათ, და ჩქარა დოდოფალი იზაბელას ყურებამდე ცნობამ მიაღწია, რომ სავეუაზის ცხენები უფრო ხშირათ მისი მოყვრის დარმინიაკის თავლაში სჭამდნენ ქერს, ვიდრე სენ პოლის პალატში, სადაც, როგორც ცნობილია, სავეუაზი სცხოვრობდა მამასთან ერთად, მას შემდეგ რაც პარიზის უნივერსიტეტის განკარგულებით მათი ძველი სასახლე დაანგრიეს.

ამ ქველ და ბრძენ დედოფალს შეეშინა რაიმე უსიამოვნება არ შეემთხვეს ჩემს ბიძაშვილსო: მან იცოდა, რომ მხედართ თავარს ისევე ადვილად შეეძლო დაშნის შემოკვრა, როგორც ხუცესი ლოცვა-კურთხევას არიგებს ხოლმე, და ერთხელ ეკლესიიდან გამოსვლის დროს თავისი ხანჯალივიტ ბასრი გონებით შენიშნა გრაფის მეუღლეს, როცა მან სავეუაზისთან ერთად ხელი ჩაჰყო აიაზმაში.

— ჩემო მეგობარო, ნუ თუ სისხლს ვერ ხედავთ ამ ფიალის ფსკერზე?

— ჰო, თქვენი უდიდებულესობავ,—სიტყვა ჩაუროთო სავუაზიმ,—მაგრამ სიყვარულს სისხლი უყვარს.

დედოფალმა ეს სიტყვები მეტად მოსწრებულ პასუხათ მიიმჩნია და კიდევ ჩაიწერა სამახსოვროთ, ხოლო შემდეგ გაიხსენა, როცა მეფემ, მისმა მბრძანებელმა, შური იძია ერთ მის სატროფოზე, როგორც ამას ქვემოთ გავიგებთ.

ყველას პირადი გამოცდილებით მოეხსენება, რომ სიყვარულის პირველ დღეებში ორივე მიჯნური თრთის, ეშინიათ ჩვენი საიდუმლოება არ გამომჟღავნდესო, ერთმანეთსაც კი ეჭიშპებიან თვალთმაქცობაში როგორც კეთილგონიერებისა, ისე გარეშეთა მოტყუების სიამოვნების გამო. მაგრამ შემდეგ ხშირათ ერთ წუთში დავიწყებას ეძლევა ყოველივე, რაც კეთილგონიერებით იყო მოპოებული და ან საბრალო ქალი განცხრომის დროს კაკანათში ებმება. ან მისი მეგობარი შემთხვევით თავისი დარბაზობის და გამოსათხოვარი კოცნის კვალს სტოვებს დავიწყებული ხელთათმანისა, ლილისა ან დეზების სახით. და ამას მოსდევს ხანჯლის ჩაცემა, რაიცა ნაფლეთებად აქცევს ქსოვილს, ხელოვნურათ ამოქარგულს სიყვარულის მოვარაყებული ყვავილებით. მაგრამ, როცა სიცოცხლე კნე-

ბათა ლელვობათა აღსავეს, სიკვდილისა არ უნდა გვეშინოდეს, და ქმრის დაშნა აშვიკისთვის მშვენიერი დასასრულია, თუ საზოგადოთ სიკვდილი შეიძლება მშვენიერი იყოს. სწორეთ ასეთი დასასრული ელოდა მხედართმთავრის მეუღლის სამიჯნურო თავგადასავალს.

ერთს მშვენიერ დღეს გრაფ დარშინიას ბი-რგუნდის დუკის ლანიდან გაქცევის შემდეგ ბევრი თავისუფალი დრო აღმოაჩნდა, და მან გადასწყვიტა საწოლ ოთახში შესულიყო, რათა დილა მშვიდობისა ესურვა თავისი ცოლისთვის; ეშინოდა მისი გულისწყრომა არ გამოეწვია და შეეცადა რაც შეიძლება ფრთხილათ გამოეღვიძებია; მაგრამ ქალი ჯერ კიდევ დილის რულში იყო გახვეული, თვალი არ გაუხელია, მხოლოდ მიბნედილი ხმით უთხრა:

— თავი დამანებე, კარლოს!

— ოჰო,—ჩაილაპარაკა მხედართ მთავარმა. როცა იმ წმინდანის სახელი გაიგონა, რომელიც მას არ ერქვა,—ჩვენ ვილაც კარლოსი გვყოლია თავში?

ცოლს აღარ შეხებია, საწოლს მოსხლტა, დაშნა იწიშვლა და გაათორებული შეიჭრა პირისუა-

რეშის ოთახში, რადგან დარწმუნებული იყო მას ეცოდინება თავისი ქალბატონის საიდუმლოებაო.

— ეშმაკის კერძო!— შესძახა მრისხანეთ:— ილოცე, რადგან ახლავე უნდა მოგკლა ვილაც კარლოსის ხელის შეწყობისთვის, იგი აქ დაეთრევა ჩემი შინ არ ყოფნის დროს.

— ვინ მოგახსენათ, ბატონო, — უპასუხა ქალმა.

— იცოდეთ. არ დაგინდობ, თუ შენი შეცოდებანი და მათი შედეგები არ აღიარე. ხოლო თუ ენა დაგება და წაიბოროძიკე, ერთ წუთში აგკუწავსოქვი!

— ამკუწეთ, — განუცხადა პირისფარეშმა, — სულ ერთია ჩემგან ვერაფერს გაიგებთ.

მხედართმთავარი გააცოფა ამ გაბედულმა პასუხმა, მან დაშნა ჩასცა ქალს და ცოლისკენ გაიქცა, ხოლო გზათ დაუძახა მეჯინიბეს, რომელიც ყვირილს შეეშფოთებია და კიბეზე არბოდა საშველათ:

— ჩქარა ადი ზევით, ცოტა არ იყოს გადავაქარბე ბილეთას დასჯის დროს.

სანამ ცოლთან შევიდოდა, თავის მძინარე ვაჟთან შეიჭრა, ტლანქათ გამოაღვიძა და თან წაათრია დედასთან. ამან კიდევ ფართოთ თვალები დაედლო, როცა ატირებული ბავშვი დაინახა, შემდეგ

კი დიდათ შეშფოთდა, როცა საშინლათ განრისხებული ქმრის სისხლიანი ხელები შეამჩნია.

— რა მოგივიდათ?—ჰკითხა მან.

— ქალბატონო,—წამოისროლა მხედართმთავარმა დაუფიქრებლათ,—ეს ბავშვი ჩემია თუ თქვენი მეგობრის სავუაზისაა?

ამ სიტყვების გაგონებაზე გრაჟის შეუღლეს ფერი ეცვალა, იგი შვილს ეცა შეძრწუნებული.

— ოჰ, რასაკვირველია, ჩვენი!

— თუ არ გსურთ, რომ ამ ბავშვის თავი თქვენს ფეხებთან დაეცეს, გამოტყდით და პირდაპირ მიპასუხეთ: მყავს თუ არა თანაშემწე?

— გყავთ.

— ვინ არის?

— ეს არ არის სავუაზი, და მე არასოდეს არ დავასახელებ ადამიანს, რომელსაც არ ვიცნობ.

მხედართმთავარი ზეზე წამოხტა და ცოლს ხელი სტაცა, რათა დაშნის დარტყმით დაედუმებია, მაგრამ ქალმა მეფურათ შეხედა და შესძახა:

— შეგიძლიათ მომკლათ, მაგრამ არ გაბედოთ ჩემი შეხება.

— სიცოცხლე მიჩუქებია,—განუცხადა მან.— მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ სიკვდილზე უარეს სასჯელს მიიღებთ.

მხედართმთავარმა იცოდა, რომ ქალები გა-
ჭირვების დროს ყოველგვარ ცბიერობას, მანქანე-
ბას და მზაკვარობას იგონებენ ან მარტო-მარტო,
ან თანამზრახველებთან ერთად და ამ უხეში და
არა სასიამოვნო ლაპარაკის შემდეგ განრისხებული
საწოლიდან გავიდა მსახურების დასაკითხავად. მათ
პასუხი აგეს როგორც ღმერთის წინაშე განკითხ-
ვის დღეს. ვერავინ ვერ მიხვდა, რა უნდა ყოფი-
ლიყო ამ მოკლე, მაგრამ ვერაგი დაკითხვის საბაბი.
მათი პასუხიდან მხედართმთავარმა ის დასკვნა
გააკეთა, რომ არც ერთი ჩემი მსახური საქმეში გა-
რეული არ არის და ყველაფერში დამნაშავეა ბა-
ლის მცველი ძაღლიო. მან სიბრაზისაგან დააღრჩო
ეს ცხოველი. მხედართმთავარმა გადასწყვიტა,
რომ მისი მოქიშპე სახლში ბალიდან შემოდიოდა.
ეს ბალი მდინარეს უერთდებოდა ფარული ხვრე-
ლით. აქ მკითხველს უნდა განუმარტოთ, რომ და-
რმინიაკის მამულს ვრცელი ადგილი ეჭირა მეფის
სასახლის მახლობლად. სენტანტუანის ქუჩისკენ მშვე-
ნიერი ქვის ჭიშკარი ჰქონდა, თვით მამული შემოზ-
ღუდული იყო კოშკებიანი გალავნით, რომელიც
სენას გადაჰყურებდა. მხედართმთავარმა შექმნი-
ლი მდგომარეობა ასწონ-დასწონა და გადასწყვიტა

საიმედო ხაფანგი მოეწყო, რომელშიც მიჯნური ორივე ფეხით გაებმებოდა.

— წმინდანებს ვფიცავ,—სთქვა მან,—რომ ჩემი რქების დამდგმელი ველარსად წამივა, და შემდეგ ვნახოთ როგორ გავუსწორდები.

ბანჯგვლიანმა მხედართმთავარმა, რომელსაც არა ერთხელ უომნია გრანდუკა იოანე უშიშარის წინააღმდეგ, უცებ შეადგინა ბრძოლის გეგმა უცნობი მტრის დასამარცხებლად. მან ამოიჩნია ყველაზე ერთგული და მარჯვე მოისარნი და კოშკებში დამალა მდინარის მხრით. საშინლათ დასჯას დაემუქრა, თუ ისინი ისრებით არ გაუმასპინძლდებოდნენ ყველას, ვინც, გარდა მისი მეუღლისა, დღისით იქნებოდა თუ ღამით უცნობს შემოუშვებდა ბაღში; იგივე ზომები იქნა მიღებული სენტანტუანის ქუჩაზე ამართულ ჭიშკართანაც.

ყველა მსახურთ, მოძღვრის გამოუკლებლათ, ბრძანება მიეცა, არსად წასულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დასჯა ელოდათ. ციხე დარბაზის ორივე მხარეს დაყენებულ იქნენ მხედართმთავრის პირადი მცველები; მათ დაევალათ თვალ-ყური ედევნებიათ მეზობელი ქუჩებისთვის. რათა უცნობი მიჯნური, რომელმაც მათ პატრონს

ერთი წყვილი რქა მიუძღვნა, ცოცხლათ დაეჭირათ იმ წუთში, როცა იგი სასახლეს მიუახლოვდებოდა თავხედი განზრახვით თავისი ბაირალი დაერქო გრაფის კანონიერ სამფლობელოზე.

ასეთი იყო ხათვანი, რომელშიც უეჭველათ ყველაზე მზაკვარი ადამიანიც კი გაებმებოდა, თუ ღმერთი ისეთ დახმარებას არ გაუწევდა, როგორიც პეტრე მოციქულს გაუწია, როცა ამ უკანასკნელს თავში აზრათ მოუვიდა ზღვაზე გაესეირნა ფეხით.

მსედართმთავარს საქმე ჰქონდა პუასიში და ნასადილევს იქ გამგზავრებას აპირებდა ცხენით; ეს იცოდა მისმა საბრალო მეუღლემ და წინა დღითვე თავისი თაყვანისმცემელი მოეპატიჟნა, რათა მასთან ის სასიამოვნო დუელი გაემართა, რომელშიც ქალი ყოველთვის თავის უპირატესობას გრძნობდა.

სანამ ქმარი ყოველგან ფხიზელ და მკვირცხლ გუშაგებს აყენებდა, რათა უცნობი მიჯნური დაეჭირათ, რომელი მხრიდანაც არ უნდა გაჩენილიყო იგი: ცოლიც დროს არ ჰკარგავდა უნაყოფოთ.

ხოლო პირისფარეში, რომელიც დაშნით იყო კედელზე მილურსმული, ნელ-ნელა განთავისუფლდა და ფეხის თრევით ქალბატონთან მივიდა, რათა ეთქვა თქვენს ქმარს არაფერი გაუგია ჩემგანო; სანამ სულს დაღევდა, გრაფის მეუღლე ანუგეშა

ყველაფერში ჩემი და შემცვლის, ციხე—დარბაზის მრეცხავი ქალი, რომელიც წელებზე ფეხს დაიდგამს, რათა გასიამოვნოთ, რადგან მთელს უბანში ცნობილია როგორც დიდათ გაქნილი და დაოსტატებული სიყვარულის საქმეებშიო.

გრაფის მეუღლემ გამოიტირა თავისი ერთგული პირისფარეში და მაშინვე მრეცხავი მოიხმო, რათა მასთან ერთად ღონისძიებანი მოეფიქრა სავუაზის გადასარჩენათ. უწინარეს ყოვლისა გადასწავიტეს რაინდისთვის ეცნობებიათ მხედართმთავრის ექვეების შესახებ: დაე, ფრთხილათ იყოსო.

შემდეგ მრეცხავმა ზურგზე მოიღო თეთრეულით სავსე კალათი და შეეცადა ეზოდან გასულიყო. მაგრამ კარიბჭესთან გუშაგი დახვდა, მან გადაჭრით უარი უთხრა გარეთ გაშვებაზე. თავის ქალბატონის სიყვარულის გამო მრეცხავი შეეცადა მოისარის სუსტ სიმზე ემოქმედნა და ისე მოხიბლა, რომ თუმცა იგი შეჭურვილი იყო, თავი ვერ შეიკავა და კარგათ გაერთო ამ დედაკაცთან; მაგრამ ამის შემდეგ მაინც არ გაუშვა ქუჩაში; სხვა დარაჯნიც და მოისარნიც ასეთივე მიუდგომელნი აღმოჩნდნენ, თუმცა ისინი თავაზიანი და მოხდენილი ვაჟკაცები იყვნენ

— თქვენ გულქვა და უმადური ადამიანები ყოფილხართ, თუ არ გსურთ სამაგიერო მომიზნოთ,—გაიძახოდა დედაკაცი.

მაგრამ მან შესძლო ყველაფრის შეტყობა და თავის ქალბატონისკენ გაეშურა, რათა მისთვის გრაფის განკარგულებანი გაეცნო.

როცა გრაფის მეუღლემ გაიგო, რომ მხოლოდ მას ჰქონდა უფლება პალატიდან გარეთ გასულიყო, გადასწყვიტა მაშინვე ესარგებლა ამ უფლებით. მაგრამ ვერც კი მოასწრო გასროლილი ისრის მანძილი გაეგლო, რომ ოთხი დარბაზის ყრმა შეუერთდა, ხოლო მოშორებით ორი მოისარი აედევნა. მაშინ დაღონებული ქალი უკან დაბრუნდა, თავის ოთახში შევიდა და ტირილი დაიწყო მაგდალინელის მსგავსად, როგორც ამ წმინდანს სურათებზე ხატავენ ხოლმე.

— და აი ახლა, ჩემს სატრფოს მოჰკლავენ,-- მოსთქვამდა იგი,—და ვერასოდეს ველარ ვიხილავ; ველარ ვიგემებ მის აღერსს, მის მოხდენილ ქცევას! ნუ თუ მიწაზე დაეცემა ეს ლამაზი თავი, რომელიც ასე ხშირათ ისვენებდა ჩემს მუხლებზე? ნუ თუ ვერ შევსძლებ ამ ძვირფასი და საყვარელი თავის მაგივრათ ჩემს ქმარს რომელიმე ცალიერი და ბინძური თავი შევუგდო?

— რა იქნებოდა, — უცებ წამოიძახა მრეცხავმა ქალმა, — ბატონურათ რომ მოგვერთო მზარეულის შვილი, რომელიც ვაგიჟებით შეყვარებულია ჩემზე, მაგრამ მე საშინლად მომწყინდა, და ამ სახით სახლიდან გაგვეშვა ფარული ხერელის გზით.

ქალებმა ერთმანეთს შეხედეს, მათ თვალებში სატანის ცეცხლმა გაიელვა.

— და როცა ახალგაზრდა მზარეული მოკლული აღმოჩნდება, მერწმუნეთ, მოისარნი ყოველს მხრით გაფრინდებიან წეროებივით.

— ჰო, მაგრამ ჩემი ქმარი გაიგებს მზარეულის შვილის სიკვდილს, — წამოიძახა გრაფის ცოლმა, გულზე ხელი იტაცა და თავი გაიქნია: — არა, ჩემი ძვირფასო, საჭიროა, აქ კეთილშობილი სისხლი დაიდვაროს!

შემდეგ ერთი წუთით ჩაღიქრდა და გახარებული სახით მიმართა მრეცხავ ქალს:

— იცი რა, მგონია შენი რჩევის წყალობით მოვისაზრე როგორ გადავარჩინო ჩემი მეგობარი, ამისთვის ისე დაგაჯილდოებ, რომ ბელნიერი იქნები სიკვდილამდე.

ცრემლები მოიწმინდა, ხელში პარკი და ლოცვანი დაიჭირა და უბიწო სასძლოს სახით გზას გაუდგა პავლე მოციქულის ეკლესიისკენ, საიდანაც

მწუხრის ზარების ხმა მოისმოდა. არასოდეს შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, რათა თავისი ღეთის-შოსაყობა გამოეჩინა, ისეთივე გულმოდგინე მლოცველი იყო, როგორც დანარჩენი სეფექალები. ამ ეკლესიის წირვა-ლოცვას ხალხი დაცინვით სალხინოს უწოდებდა. მიტომ რომ აქ თავს იყრიდა გალალეებული. უსაქმური მოაშიკეების ბრბო. სასა-ლუქოთ გამოწყობილი. სურნელება შეკმეული ახალგაზრდა ქალების და ვაჟების საზოგადოება, და ყოველივე მხრით მხოლოდ ღერბიანი ტანისამოსი და მოვარაყული დეზები სჩანდა.

გრაფის მეუღლე ეკლესიაში დღესასწაულებრივი სახით შევიდა, დარბაზის ყრმების, ორი მოისარის და ჩამდენიმე შეიარაღებული ჯარისკაცს ამალითურთ. უნდა ითქვას, რომ მშვენიერ რაინდთა შორის, რომელნიც მუდამ დაფარფატობდნენ სასახლის მანდილოსნების გარშემო, ერივნენ გრაფის მეუღლის თაყანისმცემლებიც; ისინი ყოველთვის ალტაცებით შეჰყურებდნენ მას და მზათ იყვნენ სული გაეწირათ მისთვის, როგორც ეს ხშირათ ხდება ახალგაზრდობაში, როცა ჭაბუკები ჩამდენიმე საყვარელ საგანს ირჩევენ იმ იმედით, რომ მრავალი ქალის გულიდან ერთს მაინც მოვი-ნადირებთო.

ამ ნისკარტ დაღებულ ონავარ ფრინველებს შორის, რომელნიც გემრიელ ნადავლს უთვალთვალებდნენ და უფრო ქალების სკამებსა და ლოცვანებს უცქეროდნენ, ვიდრე საკურთხეველსა და მის მსახურთ, იყო ერთი ახალგაზრდა რაინდი, რომელსაც გრაფის მეუღლე დროგამოშვებით ალერსიან შეხედავს აღირსებდა ხოლმე, მიტომ რომ. როგორც ეტყობოდა, იგი სხვებივით უსაქმური არ იყო, გრაფის მეუღლე კი სხვებზე მეტის გატაცებით მოსწონდა.

ჭაბუკი მუდამ უმოძრაოთ და უსიტყვოთ ერთსა და იმავე სვეტს იყო მიყრდნობილი და ალტაცებული თვალებით შესცქეროდა თავისი გულის ქალბატონს. მისი ფერმკრთალი სახე სევდიანი იყო. მისი გარეგნობა მოწმობდა, მას კეთილშობილი გული უნდა ჰქონოდა, ანთებული მწველი, მაგრამ უიმედო ვნებით. ასეთი ადამიანი ცოტაა ქვეყანაზე, მიტომ რომ ჩვეულებრივ მამაკაცები სიყვარულის ხელშესახებ ნაყოფს ამჯობინებენ, ვიდრე უხილავ სიხარულს, რომელიც ჩვენი სულის იდუმალ კუნჭულებშია დამალული.

მხედართმთავრის ცოლი ფიქრობდა, ეს უბრალოთ, მაგრამ ლაზათიანათ და ერთგვარი გემოვნებით ჩაცმული ჭაბუკი ალბათ ბედის მაძიებელი

ღარიბი რაინდია, შორი გზით მოსული თავისი წამოსასხამითა და დაშნით, რომელნიც მთელ მის ავლა-დიდებას უნდა წარმოადგენდნო. ქალსაც მოსწონდა ვაჟის შავი კულულები, მოქნილი სხეული და მორცხვი, მორჩილი გარეგნობა და სულით და გულით წარმატებას უსურვებდა საქმეებსა და ქალების სიყვარულში. მაგრამ რადგან არ უყვარდა თავისი თაყვანისმცემლების უყურადღებოთ დატოვება. იგი ხშირათ ვნებას აღვივებდა ვაჟში და ამისათვის ხან გამამხნეებელ მოძრაობას ხმარობდა, ხან ნაზ შეხედვას. რომელიც შემპარავი იყო როგორც გველის დაგესვლა. იგი ათამაშებდა ამ ახალგაზრდა სიცოცხლეს, როგორც ლალ დიაცს შეეფერებოდა, რომელიც შეჩვეულია უფრო ძვირფასი საგნებით თავის გართობას, ვიდრე ეს უცნობი რაინდი იყო. ამ მხრივ ქალი თავის ქმარს, მოხუც მხედართმთავარს. ჰგავდა, რომელიც ხშირათ მთელს სამეფოს სდებდა ბედის სასწორზე.

სამი დღის წინათ გრაფის მეუღლემ მწუხრიდან გამოსვლის დროს დედოფალს თავისი ახალი თაყვანისმცემელი ანიშნა და სიცილით უთხრა:

— აი, მამაკაცი აღსავსე თვისებებით!

ეს მოსწრებული გამოთქმა დიდათ მოეწონათ სასახლეში, და ჩვენ მხედართმთავარი დარმინია-

კის მეუღლეს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ იგი დღემდე შერჩა ფრანგულ ენას.

ჭაბუკმა მართლაც არ გაამტყუნა ქალის შეხედულება. იგი აღმოჩნდა უდროშო რაინდი, ჟიულიენ დებუა ბურედონი, რომელსაც მამისაგან ერთი ნაფოტიც კი არ დარჩენოდა სამკვიდროთ, დედისაგან კი მხოლოდ სილამაზე მიეღო; და მას გადაეწყვიტა სწორეთ ეს ერთად-ერთი თავისი სიმდიდრე გამოეყენებინა სასახლეში, რადგან იცოდა, რომ სეფექალები დახარბებული არიან ამ განძს და დიდათ აფასებენ უცოდველათ დატკობას მზის ჩასვლასა და განთიადს შორის. მან ისიც იცოდა, რომ მრავალმა მისმა მსგავსმა ცხოვრებაში გამარჯვებას მიაღწია ქალის პატარა ფეხებით გატკეპნილი ბილიკით. მაგრამ ჟიულიენმა კარგათ ვერ გაზომა თავისი სიყვარულის ძალა და ერთბაშით მთელი მარაგი დახარჯა. როცა სალხინო მღვდელ მსახურებას დაესწრო და გრაფის მეუღლე დაინახა მთელი მისი აყვავებული მშვენიერებით. იგი ისეთი ტრფიალების აღმა მოიცევა, რომ ერთ წუთში დაჭკარგა ჭამა-სმის უნარი. სიყვარულის მრავალ სახეს შორის ეს ყველაზე უარესია, მიტომ რომ მიჯნურს მარხვას აყვარებს სიყვარულის მარხვის დროს, ასეთი ორმაგი სენი კი საკმაოა ადამიანის საფლავის კარამდე მისაყვანათ.

გრაფის მეუღლეს სწორეთ ეს ჭაბუკი გაახსენ-
და შექირვების დროს, და მან გადასწყვიტა დაუ-
ყონებლივ წინადადება მიეცა მოკვდი ჩემი გულია-
თვისო.

ეკლესიაში შესვლისთანვე ქალმა თვალი
მოჰკრა საბრალო რაინდს, რომელიც იმავე სვეტ-
თან იდგა თავისი ბედნიერების მოლოდინში, რო-
გორც ავადმყოფი, რომელიც გაზაფხულში მზის
ამოსვლას ელის. გრაფის მეუღლემ პირი იბრუნა
და რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა დედოფლისკენ,
რათა თავის სასოწარკვეთილ მდგომარეობაში
რჩევა და დახმარება ეთხოვა მისთვის, მაგრამ ამ
დროს ერთი თანხმლები ჯარისკაცთაგანი მოკრძა-
ლებით მიუახლოვდა და უთხრა:

— ქალბატონო, ჩვენ ნაბრძანები გვაქვს ნება
არ მოგცეთ ვინმეს დაელაპარაკოთ, ვინც უნდა
იყოს იგი, თუნდ დედოფალი ან თქვენი მოძღვარი.
და იცოდეთ, თქვენი და ჩვენი სიცოცხლე ამაზეა
დამოკიდებული.

— განა სიკვდილი თქვენი ვალდებულება
არაა?—იკითხა ქალმა.

— ჰო, მაგრამ ჩვენი ვალდებულებაა ბრძანე-
ბის ასრულებაც,—უპასუხა მოისარმა.

მაშინ გრაფის მეუღლემ თავისი ჩვეულებრივი
ადგილი დაიჭირა და თავის მალმერთებელს შეხე-

და. იგი კიდევ უფრო გამხდარი და ფერწასული ეჩვენა.

— მით უკეთესია,—ჩაილაპარაკა ქალმა თავისთვის,—მისი სიკედილი ნაკლებ დამტანჯავს: ეს ყმაწვილი ისედაც ნახევრად მკვდარია.

ამ აზრის გაფიქრებისთანავე მან რაინდს მიუძღვნა ერთი იმ ნაზ შეხედვათაგანი, რომელთაც თავიანთ, თავს ნებას აძლევენ მხოლოდ სეფექალები ან მეძავი დედაკაცები; ცბიერმა სიყვარულმა მისი მშვენიერი თვალები აანთო და თითქო დაგესლა სვეტზე მიყრდნობილი ჭაბუკი. ვინ არის ჩვენს შორის ისეთი, რომ არ უყვარდეს ცხოვრების ეს მოწოდება, რომელიც გულს გადაუვლის ცხელ ტალღასავით? მხედართმთავარის ცოლმა რაინდის უსიტყვო პასუხში სიამოვნებით იგრძნო, თუ რა ყოვლის შემძლე იყო მისი ძლევაამოსილი შეხედვა. ქალის შეფაკლებული სახე ბერძენ და რომაელ ორატორებზე უფრო მკერმეტყველათ ლაპარაკობდა და ვაჟის პასუხიც ასეთივე ნათელი იყო. ქალმა ვაჟი ოცდაათჯერ მაინც განგმირა თავისი თვალებით და ბოლოს დარწმუნდა იგი უკან არ მოიხედავს, ისე მოკვდება ჩემი გულისთვისო. ამ აზრმა ქალზე ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ლოცვის ღროს თავი ძლივს შეიკავა, იმდენათ ძლიერი

სურვილი ჰქონდა, რაინდისთვის სიყვარულის ერთ მძაფრ განცდაში სრული სიხარული მიენიჭებია, რათა შემდეგ მისთვის არ ესაყვედურათ ამ ჭაბუკს არა მარტო სიცოცხლე, არამედ ბედნიერებაც კი წაართვიო.

როცა მღვდელი მობრუნდა, რათა თავისი მოვარაყული სამწყსოსთვის ეთქვა,—მშვიდობა თქვენდა, განვედითო, მხედართმთავრის ცოლი გასაკვალი კარისკენ გაემართა, თავის მალმერთებელს გვერდით ჩაუარა და ხანგრძლივი შეხედვით სთხოვა უკან გამომყეო; შემდეგ რათა დარწმუნებულიყო, რაინდმა სწორათ გაიგო ჩემი სურვილიო, ქალმა კიდევ მოიხედა და შენიშნა, რომ იგი ოდნავ შეიჩხა, მაგრამ მორცხვობდა და ვერ ბედავდა ადგილიდან დაძრულიყო. რაკი ვაჟმა დაინახა, ქალმა განმეორებით მომიწოდაო, ხალხს შეუერთდა და ფეხაკრებით უკან დაედევნა. იგი ხან წინ მიაბიჯებდა, ხან უკან, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ და აუცილებლად გრაფის მეუღლის ანთებულ თვალებს ხვდებოდა, რომელიც მას თავისკენ იზიდავდა, როგორც მეთევზე ფრთხილათ ეწევა ანკესს იმის შიშით, რომ ზედ წამოგებული თევზი არ გამეჭკესო. ერთი სიტყვით, გრაფის მეუღლე ისე სცდილობდა წყალი თავისი წისქვილისკენ გადაეგდო, რომ ვინც

მას შეხედავდა, იტყოდა, არავე არ ჰგავს ისე მე-
ძვე ქალს, როგორც მალალი წრის მანდილოსანიო.

როცა გრაფის მეუღლე თავისი ეზოს ჭიშკარს
შიადგა, ცოტათი შეყოყმანდა, უკან მობრუნდა და
რაინდს ისეთი სატანისებური გამომეტყველებით
შეხედა, რომ ამ უკანასკნელმა მყისვე მიიზინა
თავისი გულის მბრძანებელთან. ქალმა ხელი მისცა
და ორივენი აღგზნებულნი და მთრთოლვარენი
შევიდნენ მხედართმთავრის სადგომში. ამ საბე-
დისწერო წუთში გრაფის მეუღლეს სიკვდილის პი-
რისპირ შერცხვა თავისი განუსჯელობისა და შეა-
წუხა იმ აზრმა, რომ სავუაზის დალატობდა. რათა
ხიფათს გადაერჩინა; მაგრამ ეს სინიღისის ქენჯნა
უნაყოფოც იყო და დაგვიანებულიც.

— ჩქარა გამყეთ ჩემს ოთახში,—უთხრა ქალ-
მა რაინდს,—უნდა მოგელაპარაკოთ.

ქაბუკმა არ იცოდა, თუ სიკვდილი მოელოდა
და სიტყვებს ვერ პოულობდა თავისი ბედნიერე-
ბის გამოსახატავად. როცა მრეცხავმა უცნობი დაი-
ნახა, გაიფიქრა, სჩანს მეფის კარის მანდილოსნები
ჩვენზე უკეთ ყოფილან დახელოვნებული ასეთ სა-
ქმეებშიო. შემდეგ რაინდს დაბლა თავი დაუკრა;
მაგრამ მის სახეზე გამოჰკრთოდა ერთგვარი დამ-

ცინავი აღტაცება ამ ადამიანის წინაშე, რომელიც სიცოცხლეს სწირავდა ასეთი უბრალო რამისთვის.

— ჩემო კარგო,— მიმართა ხმადაბლა გრაფის ცოლმა მრეცხავ ქალს:— მე ძალა არ შემიწევს მას ჩემი სტუმართმოყვარეობის მიზეზი გავეუმხილო.

— ქალბატონო. რა საჭიროა ბევრი ახსნა-განმარტება? გააბედნიერეთ და შემდეგ ფარული გასასვლელით გაისტუმრეთ. ომში იმდენი ხალხი იღუპება უბრალო რამისთვის, ნუ თუ არ შეიძლება ეს კაცი პატარა სიხარულისთვის მოკედეს? რამდენიც გასურთ, იმდენ ქაბუკს გიშოვით, თუ ნუგეშის ცემა დაგჭირდათ:

— არა,— წამოიძახა გრაფის ცოლმა,— ყოველივეს გავეუმხელ: დაე ეს სასჯელი იყოს ჩემი ცოდვისთვის.

უცნობ მიჯნურს ეგონა ჩემი გულის დიუფალი ღონისძიებას ღებულობს, რათა მყუდროება არავინ დაგვირღვიოს მომავალი საუბრის დროსო; მოშორებით იდგა და ფანჯარაში იცქირებოდა. მართალია, ქალის საქციელს მეტის-მეტათ გაბედულათ სთვლიდა, მაგრამ ეგონა ჩემში იმდენი ღირსებაა თავმოყრილი, რომ ასეთი სიგიჟე ადვილი ასახსნელიაო. მაგრამ ძლივს მოასწრო ყოველივე ამის გაფიქრება, გრაფის ცოლმა უკვე თავისი ოთა-

ხის კარი შეაღო და ანიშნა შემოდით. აქ მოიხსნა მთელი თავისი დიდებულება და მის ფეხქვეშ დაეცა, როგორც სრულიად უბრალო დედაკაცი.

— მშვენიერო ქაბუკო,—სთქვა მან,—თქვენს წინაშე დიდი დანაშაული მიმიძღვის, რადგან იცოდეთ ამ სახლიდან გასვლისთანვე სიკვდილი მოგელით. სხვა ვაჟის სიყვარულმა დამათრო და ყოველივე დამიბნელა ამ ქვეყანაზე; და ამის მაგივრათ, რომ ჩემს სატროფოს აქ შეეცვალოთ, თქვენ მას შეეცვლებით იმ წუთში, როცა იგი უნდა მოჰკლან. აი ის ბედნიერება, რომლისთვისაც აქ მოგიყვანეთ

— ეჰ,—უპასუხა დებუა ბურედონმა, რომელმაც სულის სიღრმეში დაჰფარა თავისი სასოწარკვეთილება,—მადლობელი ვარ იმისთვისაც, რომ გამომიყენეთ როგორც თქვენი საკუთრება. ისე გაგიღებით მიყვარხართ, რომ თითქო ქალი ვიყო, წყურვილი მტანჯავს ყოველ დღე შემოგთავაზოთ ის, რის მოცემაც მხოლოდ ერთხელ შეიძლება. მაშ მიირთვით ჩემი სიცოცხლე!

ამ სიტყვის წარმოთქმის დროს საბრალო რაინდი ქალს ისე უცქეროდა, თითქო უნდა თვალკვებით შესვას იგიო. როცა გრაფის ცოლმა ეს ვაჟაკური და სიყვარულით აღსავსე სიტყვები მოისმინა, წამოდგა და სთქვა:

— ეჰ, როგორ შეგიყვარებდით, თუ საუუაზო არ მყოლოდა!

— ჰო,—უპასუხა რაინდმა,—ჩემი ბედისწერა სრულდება, მიტომ რომ ვარსკვლავთ მსახვრალმა მიწინასწარმეტყველა, შენი სიკვდილის მიზეზი მაღალი წარმოშობის ქალის სიყვარული იქნებაო. მაგრამ გეფიცებით,—განაგრძო მან და მახვილს ხელი იტაცა.—ჩემს სიცოცხლეს ძვირად გავყიდი დამოვკვდები იმით დაკმაყოფილებული, რომ ჩემი სიკვდილი ბედნიერებას მოუტანს საყვარელ არსებას. მიჯობს მის ზსოვნაში ვიცოცხლო, ვიდრე სინამდვილეში.

ამ ვაჟკაცის სხივოსანმა სახემ და გაბედულმა მიმოხვრამ სულის სიღრმემდე შეაშფოთა გრაფის მეუღლე. მაგრამ ამასთანავე ცოტა არ იყოს შეურაცხყოფაც იგრძნო, რომ რაინდი მზათ იყო მას. გან'შორებოდა ჯილდოს უთხოვნელად.

— წამოდით, მე თქვენ შეგაიარალებთ,—უთხრა ქალმა ისეთის მოძრაობით, თითქო მისი მოხვევა სდომებოდეს.

— ოჰ, დიუფალო,—სთქვა რაინდმა და უნებურათ თვალები აუცრემლდა,—ნუ თუ თქვენ ისე ძვირად აფასებთ ჩემს სიცოცხლეს, რომ გინდათ ჩემი სიკვდილი შეუძლებელი გახადოთ?

— ეკ.—წამოიძახა ქალმა, სრულიად დამორჩილებულმა ამ ანთებული სიყვარულით,—არ მინდა ყოველივე ამის დასასრულზე ვიფიქრო. ახლა გამომყეთ, ხოლო შემდეგ ერთად წავიდეთ და ფარულ გასავალთან მოვკვდეთ.

ქალ-ვაჟს ერთი და იგივე ალი მოედო. ისინი ერთმანეთს გადაეჭდნენ და ვნების აღზნებაში ყოველივე დაივიწყეს ამ ქვეყანაზე, ხიფათიც, სიცოცხლეც და სიკვდილიც.

ამ დროს კარიბჭის მცველებმა მხედართმთავარს უკვე აუწყეს მიჯნურის მოსვლა, ისიც მოახსენეს, რომ სიყვარულით გონებადაკარგულმა ქაბუკმა, არც ეკლესიაში და არც გზაზე ყურადღება არ მიაქცია თქვენი მეუღლის მიერ მიცემულ გამაფრთხილებელ ნიშნებსო. მაგრამ მხედართმთავარი გაეშურა არა თავის ცოლის ოთახებისა, არამედ ფარული შემოსასვლელისკენ, მიტომ რომ ამავე დროს სხვა გუშაგებმა სავუაზის მოახლოება აცნობეს.

და მართლაც ეს უკანასკნელი შეპირებულ საათზე მოვიდა, მაგრამ როგორც იმ მიჯნურებს შეეფერება, რომელთაც თავში მხოლოდ სათაყვანებელი საგანი უზის, გრაფის მზვერავეები ვერ შეამჩნია და დანდობილათ მიადგა ფარულ შესავალს.

ეს შემთხვევა იყო იმის მიზეზი, რომ გრაფმა ხელის მოძრაობით შეაჩერა კარიბჭის მცველები და შესძახა:

— მე ვიცი, რომ ნადირი ხაჯანგთან ახლოა!

მაშინ ყველანი ფარული შესავლისკენ გაიქცნენ და ყიჟინი ასტეხეს: „სიკვდილი მაგას! სიკვდილი მაგას!“ ჯარისკაცები, მოისარნი, მათი ზემდეგნი და თვით მხედართმთავარი თავს დაესხნენ საეუაზის, რომელსაც სწორეთ გრაფის ცოლის ფანჯარასთან მოუსწრეს. და ამრიგათ ამ ბეჩავის გულის საკლავი კვნესა შეუერთდა ჯარისკაცების ღრიალს და მიჯნურთა ვნებიან ხვნეშას და ჩურჩულს, აღსავსეს მოუთმენლობითა და შიშით.

— აჰ,—წამოიძახა შეძრწუნებულმა გრაფის ცოლმა,—იქ საეუაზი კვდება ჩემი გულისთვის

— სამაგიეროთ მე ვიცოცხლებ თქვენთვის,—უპასუხა დებუა ბურედონმა,—და ბედნიერი ვიქნები, თუ იმავე ფასით გადაგიხადე, რომელსაც იგი იხდის ამ წუთში.

— ახლავე დაიმაღეთ ამ ნიშში და ნოხს ამოეფარეთ,—უთხრა გრაფის ცოლმა,—მხედართმთავრის ნაბიჯები მესმის.

და მართლაც კარებში გრაფი გამოჩნდა, ხელში კაცის თავი ეჭირა.

—აი, ქალბატონო,—სთქვა მან და თავი ბუხარზე დასდო,—აი ეს გაკვეთილი ცოლის ვალდებულებას მოგაგონებთ.

— თქვენ უდანაშაულო კაცი მოგიკლავთ,— უპასუხა ქალმა, ისე რომ ფერი არ შესცვლია:— საგუაზი ჩემი საყვარელი არ ყოფილა.

და მან მხედართმთავარი ისე გაზომა ქალური ცბიერებითა და გამბედაობით აღსავეს თვალით, რომ ამ უკანასკნელმა იფიქრა მოვტყუებულვარ და მართლაც ამაოთ დამიღვრია სისხლიო

— მაშ ვისზე ლაპარაკობდით ძილში დღეს დალით ?

— მეფე კარლოსი დამესიზრმა.

— რათ არ მითხარით ეს, ჩემო ძვირფასო?

— განა ამას დამიჯერებდით, როცა ისე მხეცურად გააფთრებული იყავით?

მხედართმთავარმა ყურის ძირი მოიფხანა და ჰკითხა:

— მაშ საგუაზის რატომ აღმოაჩნდა ფარული კარების გასაღები?

— ეს უკვე აღარ ვიცი,—მკვახეთ უპასუხა ქალმა,—იმედი მაქვს დამიჯერებთ, რაც უკვე გითხარით.

და გრაფის მეუღლე მარჯვეთ შემოტრიალდა მაშის ქუსლზე. თითქო უნდოდა ენიშნებია მივდივარ. რათა განკარგულებანი მოვახდინო ოჯახშიო. დარმინიაკი შეშფოთებული უცქეროდა საბრალო სავუაზის თავს. ხოლო დებუა ბურედონი სცდილობდა ხველა შეეკავებინა და ყურს უგდებდა როგორ ბუტბუტებდა რალაცას გრაფი თავისთვის.

ბოლოს მხედართმთავარმა ორჯერ მაგრაო დაარტყა მაგიდას და წამოიძახა,---ახლა კი თამამად შემოიძლია პუასსიში გავემგზავროო და ოთახიდან გავიდა. როცა ჭაბუკმა მისი ცხენის თქარა-თქური გაიგონა. სამალავიდან გამოვიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა და ღამის წყვედიადში მიიმალა.

სავუაზი ცხარეთ გამოიტირა მისმა გულის დიუფალმა. რომელმაც თავის დროზე ყოველივე მოიმოქმედა. რათა იგი სიკვდილს გადაერჩინა. შემდეგ ქალს კიდევ უფრო დაენანა თავისი ბედშავი თავყვანისმცემელი: საქმე ისაა, რომ მან ზემოთ მოთხრობილი ამბავი დედოფალ იზაბელას უამბო, ამან კი დებუა ბურედონი თავის ბიძაშვილს წაართვა და თვით დაიახლოვა, რადგან გაკვირებული იყო მისი სიმამაცით და ღირსეული ყოფა-ქცევით. მაგრამ ეს რაინდი მართლაც სიყვარულისთვის ყო-

ფილიყო განწირული. დედოფლის წყალობამ ისე გაათამამა, რომ დაცინვა დაუწყო მეფე კარლოსს. ერთს იმ იშვიათ დღეს, როცა მეფე თავის ჭკუაზე იყო. შურიანმა კარისკაცებმა აცნობეს დედოფალი გლალატობსო. მაშინ უბედური ჭაბუკი, როგორც ცნობილია, დაუყოვნებლივ ტომარში ჩასვეს და სენაში გადააგდეს ბარანტონის ბორანის მახლობლად.

ზემოთნახქვამს უნდა დავუმატოთ, რომ იმ დღიდან. როცა მხედართმთავარმა ასე გაუფრთხილებლად იხმარა თავის მახვილი, მისი მეუღლე მუდამ მას აყვედრიდა ჯერ ერთი და მერმე ორი ადამიანის სიკვდილს, და ამიტომ იგი ყარყუმის ბეწვივითაც რბილი გახდა და ქეშმარიტების გზასაც დაადგა. იგი ცოლს ქებას ასხამდა ჭკუისა და სათნოებისათვის, რაიცა ამ უკანასკნელს უეჭველათ დამსახურებული ჰქონდა. ხოლო მთელი ამ ამბავიდან. როგორც ძველი მწერლების მოთხრობებიდან, რომელშიც ყოველთვის თავის შესაქცევი და ჭკუის სასწავლი ნაწილია შეერთებული, შეიძლება ის დასკვნა გავაკეთოთ. რომ ქალებმა მძიმე წუთებში არ უნდა დაჰკარგონ სულის მშვიდობა, რადგან სიყვარულის ღმერთი მათ არასოდეს არ დასტოვებს, განსაკუთრებით თუ ისინი ლამაზები, ახალგაზრდები და კეთილშობილები არიან; მეორე მხრივ

მათმა აზიკებმაც პაემანზე მისვლის დროს თავქარიანობა არ უნდა გამოიჩინონ. არამედ თუ მხრებზე თავის შერჩენა სურთ, ფრთხილათ უნდა მიახედ-მოიხედონ, რათა ხაფანგში არ მოხვდნენ. მატომ რომ, ბოლოს, მშვენიერ ქალის შემდეგ უველაზე ძვირფასი არსება ამ ქვეყნათ, ჩვენის ფიქრით. ღამაში მამაკაცია.

უ ნ ა ა რ ს ი

ტყის ქვითანი	5
ოქროს ხეობა	17
მატეო ფალკონე	37
ქელ ვერდუგო	63
ქმათ ნაფიცი.	87
ზხედართმთაურის ცოლი	117

პირველი მოთხრობა ამ კრებულში ეკუთვნის სამხრეთ-ამერიკელ მწერალს ვენტურა ბარსია კალდერონს; მეორე-ჩრდილო-ამერიკელ მწერალს ჯეკ ლონდონს; მესამე ფრანგ მწერალს პრუსპერ მერიმეს, ხოლო უკანასკნელი სამი ფრანგ მწერალს: მონტენო ბალზაკს.